

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო  
საზოგადოების გამოცემა

# საქართველოს სიძველენი

ტომი II

ე. თაყაიშვილის რედაქტორობით

ტფილისი 1909.

715  
3  
X

Издание Грузинскаго общества Истории и этнографии

## ГРУЗИНСКІЯ ДРЕВНОСТИ

ТОМЪ II.

Подъ редакціею Е. ТАКАЙШВИЛИ


Edition de la Société géorgienne d'histoire et d'ethnographie

## LES ANTIQUITÉS GÉORGIENNES

TOME II

Sous la rédaction de M. E. Takatchvili

TIFLIS 1909.



## Грузинскія древности, томъ II.

Второй томъ „Грузинскихъ древностей“ составленъ по тому же плану какъ и I-й \*) и содержитъ въ себѣ 509 актовъ, обнимающихъ періодъ съ XI по XIX вѣкъ.

Въ этотъ томъ вошли: законодательные акты, хартіи (сигели) и жалованныя грамоты царей, царицъ, царевичей, правителей, эриставовъ, князей, дворянъ, католикосовъ, епископовъ и другихъ знатныхъ лицъ; царскія грамоты, опредѣляющія цѣну крови членовъ княжескихъ и дворянскихъ родовъ; жалованныя грамоты (гуджары) церквамъ и монастырямъ; жалобы и прошенія, поданныя царямъ, царицамъ и правителямъ и послѣдовавшія на нихъ резолюціи; повелѣнія царей, царицъ, царевичей и правителей; протоколы рѣшеній мдиванбеговъ (судей), съ утвержденіями царей, царицъ и царевичей; медиаторскія рѣшенія; купчія крѣпости на имѣнія и на крестьянъ; присяжные листы свѣтскихъ и духовныхъ лицъ о взаимномъ согласіи, дружбѣ и вѣрности, въ подтвержденіе свидѣтельскихъ показаній и др., заемныя письма съ указаніемъ размѣра процентовъ; закладныя записи; тарханныя грамоты объ освобожденіи отъ повинностей; азатныя грамоты объ освобожденіи отъ крѣпостной зависимости; поручительства; описи приданаго; завѣщанія;

---

\*) I-й томъ изданъ въ 1899 г. и заключаетъ въ себѣ 431 актъ съ XIV по XIX в.

#### IV

раздѣльные акты; описи повинностей и податей; описи приношеній по случаю смерти членовъ княжескихъ и дворянскихъ фамилій; письма царей, царицъ, царевичей и др. знатныхъ лицъ.

Акты эти большею частью принадлежатъ фамиліямъ князей Орбеліани, Эристовыхъ, Багратіонъ-Давидовыхъ, Солаговыхъ и Джаваховыхъ и дворянъ Пицхелаури, Цинамдзгваровыхъ и другихъ.

Въ концѣ книги прилагается хронологическій указатель актовъ.

---

## LES ANTIQUITÉS GÉORGIENNES, TOME II-ME.

Le tome II-me «Des antiquités géorgiennes» est rédigé sur le même plan que le premier\*) et renferme 509 documents qui embrassent une période du XI-me au XIX-me siècle.

Dans ce volume sont inserés: les actes législatifs, les chartes (sigéllis) et les actes de faveur des rois, des reines, des princes royaux, des régents, des didéboulis (grands) et des aznaouris (nobles); des catholicos-patriarches, évêques et des autres dignitaires; les chartes des rois fixant le prix du sang des différentes familles princières et nobles; les actes de donations (goudjaris) aux églises et aux monastères; les plaintes et requêtes adressées aux rois, aux reines et aux régents et leurs arrêts; les ordonnances des rois, des reines, des princes royaux et des régents; les procès-verbaux et les arrêts des divanbegs (juges) avec les confirmations des rois, des reines et de princes royaux; les arbitrages; les titres d'achat de terres et de serfs; les serments des personnes laïques et ecclésiastiques de fidélité, d'accord et d'amitié; les serments à l'appui du témoignage; les lettres de change avec indication de l'intérêt; les titres de gage; les lettres d'immunités, les lettres d'affranchissement; les cautions; les inventaires de dot; les testaments; les partages; les listes des impôts et des charges; les listes des dons à la mort d'un membre de la famille princière ou noble; la correspondance des rois, reines, princes royaux et de divers dignitaires.

---

\*) Le premier tome a paru à Tiflis en 1899, et contient 431 documents de XIV à XIX siècle.

Ces documents appartiennent aux familles des princes Orbéliani, Eristavi, Bagration-Davithichvili, Solaghachvili et Djavakhichvili et aux azaouris Phitskhelaouri et Tzinamdzhvichvili. •

A la fin du volume se trouve une table chronologique des documents.

---

## წინა-სიტყვაობა.

მეორე ტომი „საქართველოს სიძველენი“-სა შედგენილია იმავე გეგმით, როგორც პირველი ტომი \*). შეიცავს სულ 509 სიგელ-გუჯარს და სხვა აქტებს მეთერთმეტი საუკუნიდან დაწეული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე. ექვსი-ოდე სიგელ-გუჯრის გარდა, აქ სულ უცნობი მასალაა შეკრებილი. ამ ტომში უმეტეს ნაწილათ მოთავსებულია სიგელ-გუჯრები, რომელნიც ამ ათის წლის განმავლობაში შეიკრიბა ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთ-საცავებში და აგრეთვე ის მასალანი, რომელნიც ჩვენ შევაკრავთ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში მოგზაურობის დროს. უმეტეს ნაწილათ აქ დასტამბულია სიგელ-გუჯარნი ჯავახიშვილებისა, ორბელიანთა, ბაგრატიონ-დავითიშვილებისა, სოლდაშვილებისა, ერისთავთა, წინამძღვარინთა, ფიცხელაურთა და სხვათა მრავალთა საქართველოში ცნობილთა გვართა და მოხელეთა. ჯავახიშვილების სიგელ-გუჯარნი გადმოსცა წერა-კითხვის საზოგადოებამ მარიამ დავითის ასულმა ჯავახიშვილისამ. ორბელიანთა სიგელ-გუჯრები ჩვენ კარგი ხანია მივიღეთ კნენა მარიამ ვანტანგის ასულის ჯამბაკურიან-ორბელიანისაგან და გადავუცითა წერა-კითხვის საზოგადოებას. ბაგრატიონ-დავითიშვილების სიგელ-გუჯარნი გადმოსცა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ კნენა ელისაბედ ერისთავისამ, სადა ბაგრატი-

\*) პირველი ტომი იბეჭდებოდა „მომბის“ დამატებათ და შემდეგ 1899 წელს ცალკე წიგნათ გამოვიდა წინა-სიტყვაობით და ქრონოლოგიურის სარჩევის დამატებით.

ონ-დავითიშვილის ასულმა \*). ერთი ნაწილი ბაგრატიონ-დავითიშვილების სიგელ-გუჯრებისა მ. გ. ჯანაშვილს გადმოეწერა დავით ბაგრატიონ-დავითიშვილის სიგელ-გუჯრებიდან და დედნები უკან დაუბრუნებია, ხოლო უკანასკნელი ცეცხლის მსხვერპლი გამხდარიყვნენ დავითის სახლთან ერთად \*\*). ფიცხელაურის სიგელ-გუჯრები ჩვენ ჩამოციტანეთ ქსნის ხეობიდან და მათი გადაწერა იკისრა ა. ი. სარაჯიშვილმა \*\*\*). წინამდგარანთა გვარეულობის სიგელ-გუჯარნი და კიდევ სხვები დ. გ. კარიჭაშვილმა გადმოსცა ჩვენს საზოგადოებას და ზოგაერთის გადაწერაც მან იკისრა. სხვა საბუთების გადმომცემნი თავის ადგილებზე არიან მოხსენებულნი. კორექტურაში დროგამოშვებითი დახმარება აღმოგვიჩინეს ალ. ივ. სარაჯიშვილმა, ა. ვ. ქუთათელაძემ და დ. გ. კარიჭაშვილმა. მეორე ტომს საქართველოს სიძველეებისას თან ახლავს ალბომი, რომელშიაც მოქცეულია ზაფხულ-გრაფიული პირები ბაგრატ IV (1027—1072) და დავით IV (1268—1269) სიგელებისა. მზადდება შემდეგი ტომიც და ვთხოვთ ეგულა იმ პირთ, რომელთაც სიგელ-გუჯრები მოეპოვებათ, წარმოადგინონ ტფილისის საზნაურო დეპუტატთა კანცელარიაში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის. დაბეჭდვის შემდეგ სიგელ-გუჯრები უკანვე დაუბრუნდებათ, ხოლო თუ ისურვებენ, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავში შეინახება.

## ე. თაყაიშვილი.



\*) უმეტესი ნაწილი ამ სიგელ-გუჯრებისა, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეს ეხება, დასტამბული იქნება შემდეგ ტომში. შემდეგ ტომში იქნებიან აგრეთვე მოთავსებულნი ჯავახიშვილების და ორბელიანების სიგელ-გუჯრებიც, რომელნიც მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნიან.

\*\*) მ. გ. ჯანაშვილის გადაწერილ გუჯრებს ეკუთვნიან ჩვენს გამოცემაში №№ 194, 242—482.

\*\*\*) იხილე ქვემოთ, გვ. 577, შენიშვნა.

# საქართველოს სიგელები.

1. ოპიზის სიგელი მეფისა ბაგრატ IV. სიგელი 144×28 სანტიმეტრი, დაწერილია მშვენიერს ეტრატზე მეთერთმეტე საუკუნის მხედრულის ხელით და ამჟამად შესდგება ხუთი ერთმანერთზე აბრეშუმის ძაფით მიკერებულის ნაჭერისაგან. თავი და ბოლო აკლია, ესე იგი ერთი ნაჭერი აკლია თავში და ერთიც ბოლოში. ძაფები, რომლებითაც თავი და ბოლო მიკერებული ყოფილა შენახულს ნაწილთან, დღესაც მოჩანან. მელანი დედნისა შავია და ისე კარგათ მოჩანს, თითქო სიგელი გუშინ იყოს დაწერილი. ეს სიგელი ნაპოვნია იმერეთში დ. ფურცელაძის მიერ, რომელმაც მისი რუსული თარგმანი დასტამბა თავის შრომაში: **Церковные гуджары. Тифлисъ 1881 г.** (გვ. 120 - 121). შემდეგ ქართული ტექსტი, რუსული თარგმანი და მშვენიერი გარჩევა ამ სიგლისა დაბეჭდა დ. ბაქრაძემ წიგნში: **Статьи по исторіи и древностямъ Грузіи. Приложение къ LV-му тому Запис. Имп. Акад. Наукъ № 1. СПБ. 1887, стр. 20—30.** დედანი ეხლა ეკუთვნის წერაკითხვის საზოგადოების წიგნთსაცავს. ჩვენ სრულად მოგვყავს ცალკე ალბომში პალეოგრაფიული ასლი ამ შესანიშნავი სიგლისა, რომელიც ძრიელ საყურადღებოა როგორც ისტორიულ და იურიდიულის მხრით, ისე პალეოგრაფიულის მნიშვნელობითაც. აქ აშკარათ სჩანს, რომ მხედრული ასოები წარმომდინარეობენ ხუცურის ასოებისაგან და მეთერთმეტე საუკუნეში ბევრ მხედრულ ასოს ჯერ კიდევ ხუცურის ხასიათი და გამოხატულობა აქვს. სიგელში მოხსენებულნი არიან წინაპარნი



ბაგრატ IV: მამფალი გუარამ († 883); ერისთავთ ერისთავი გურგენ († 968); მეფეთ მეფე გურგენ († 1008); მისი შვილი ბაგრატ III (980—1014); ბაგრატ III შვილი გიორგი I (1014—1027) და ამ უკანასკნელის შვილი ბაგრატ IV (1027—1072), რომელსაც გაურჩევია დავა ადგილების შესახებ ორთა მონასტერთა შორის ჭოროხის ხეობაში ოპიზისა და მიჯნაძორისა და დაუდგენია ის განაჩენი, რომელიც სიგელშია მოყვანილი. ბაგრატ IV იხსენიებს კიდევ თავის შვილს გიორგი კურაპალატს ანუ გიორგი II, რომელიც მეფობდა 1072—1089 წლებში. შენიშვნებში მოგვყავს 27 შემთხვევა, როდესაც ჩვენ დ. ბაქრადეს სიტყვების კითხვაში ვერ ვეთანხმებით. სინამდვილე მკითხველს შეუძლია შეამოწმოს ალბომის საშეალებით.

1027—1072..... [მო]ვიდეს ჩუენ წინაშე ქეთათის, სხლსა სამკუიდრედრებელსა ჩუენსა, ესე მამანი მიჯნაძორეთელნი და მამანი ოპიზარნი და მოიუგანნეს მიჯნაძორეთელთა ხატნი წმიდათა მოციქულთა ჰეტრესი და ჰავლესი და ნაწილნი წმიდის ბართლომე მოციქულისანი, და მოიხუნეს სიგელნი გურგენ ერისთავთა ერისთავისანი <sup>1)</sup>, გურგენ მეფეთა მეფისანი <sup>2)</sup>, ჰაზის ჩემის ბაგრატ გურგენისა <sup>3)</sup> და მამის ჩემის გიორგი მეფისანი <sup>4)</sup>, რომლითა იგი ტეენი და ზღვარნი მიჯნაძორეთელთა დაემტკიცნეს და კრულთბითა მოწმობანი კათალიკოსთა და მღდელთა-მოდღუართანი. და მოიდეს ოპიზართა დაწერილი გურგენ მამეთელისანი <sup>5)</sup>, რომლითა მას ტეესა და ზღვარსა მიჯნაძორეთელთა ერსოდეს, და ამათ მიჯნაძორეთის სიგელთა შინა გურგენ მამეთელისა დაწერილი, რომელ ოპიზართათუის დაუწერია, არა კსენებულ იყო არცა დამტკიცებულად და არცა

<sup>1)</sup> დ. ბაქრადე კითხულობს: ერისთავისა.

<sup>2)</sup> დ. ბაქრადე კითხულობს: მეფისა.

<sup>3)</sup> Ibid: კურაპალატისა.

<sup>4)</sup> Ibid.: მეფისა.

<sup>5)</sup> Ibid.: მამეთლისა.

კარდაგდებულად, და ჩუენ ესე შოოთი მათი გუემძიმდა, რავდენ იგი წმიდანი (წდანი) უდასნონი მშუიდობის და დაწენარების და ჩუენ მეფეთა ლოცვისათუის აღშენებულნი არიან. და გუელს მიდგინა <sup>1)</sup> დმერთმან და მადლმან მათ წმიდათამან, და კელვუავ ხარკებით სუ-რავს მათსა, შეგვრიბენ კარსა დაბაზის ჩუენისას მდდელთ-მოდ-ღუარნი, ერისთავო ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა (უჭთა) კევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთა-ნი, და დავსენით წინაშე ჩუენსა და წავიკითხენით მათნიცა და მათ-ნიცა დაწერილნი და, რომელი სიტუუის ტები <sup>2)</sup> იუო მათ შორის, მოვისმინეთ, და სამართლად ესე გავიგონეთ, რომელ კელნი ამათნი მრავალნი (მრწნი) და შტკიცენი იუენეს, და ჩუენგან მათი გატეხა <sup>3)</sup> არა ჭერ იუო, და სუელს მათ ბირველთა მეფეთას არა <sup>4)</sup> დავამძი-მებდით, და თუმცა თბიზარნი უნუგეშინისცემოდ გავუეშნეს, იგინი შეწუხდებოდეს, და ესე ჩუენ ბრალად შევინახეთ <sup>5)</sup>, და აწ სალო-ცველად მეფობის ჩემისა და შვილის ჩემისა გ ი თ რ გ ი კ უ რ ა-ზ ა ლ ა ტ ი ს ა და სალოცველად სუელსა <sup>6)</sup> მათ ბირველთა მეფეთას ესრეთ განვაგე <sup>7)</sup> და დავამტკიცე <sup>8)</sup> საქმე მათი: ტუენი და ზღვარნი ამათნი, ვითა მათ ბირველთა მეფეთა დაწერილთა სიკელ-თა <sup>9)</sup> შიგან უწერან, ნიშნით ზღვარნი: სამხრით ს ა მ წ ე რ ი-ს ა <sup>10)</sup> წ ე ა ღ ი, ვითა შ ა ვ შ ე თ ი ს ა წ ე ა ღ ს ა ჩუერთვის და ტ ი ხ ა რ ი ს <sup>11)</sup> კ ლ დ ე და ქ ე დ - ქ ე დ ი ვითა წავალს; დასავ-

1) Ibid.: გულსმდგანი.

2) Ibid.: გება.

3) Ibid.: გატეხა.

4) Ibid.: არ.

5) Ibid.: დავინახეთ

6) Ibid.: სულისა.

7) Ibid.: განვაგეთ.

8) Ibid.: დავამტკიცე.

9) Ibid.: სიგელსა.

10) Ibid.: სამწყურის.

11) Ibid.: ტახირის.

ლით ეყუანთა ქედი და ჩრდილოით დიდუბისა ხ.კრთ-  
ვისი და საქათმის კირი <sup>1)</sup>, ვითა ქედ-ქედი წავალს, დიდი  
ქედი ერთ კარი, ესე ზღვარნი მტკიცენი არიან მიჯნაძორეთას  
ზედა, და ქედს აშერთი არა უც საქმე და სასარჩლოი ოპიზართა  
საღესველთა <sup>2)</sup> სათიბისაგან კიდე. და ამისდა ნაცვლად რა-  
თამცა (რამცა) ოპიზარნიცა გულსავესე ვევენს საღოცველად სულისა  
ჩემის თავსავე ჩემს დავათმინე: ავიდე სამამასხლისრისა სამსახურე-  
ბლისა <sup>3)</sup> ჩუენისაგან ბარეგანის სოფელი და მივეც ოპიზარ-  
თა სატრანჰოდ, და ვარდავსწყუიდე <sup>4)</sup> მათ შორის საზიდი და  
სარჩელი, რათა ესე ორნივე წმიდანი უდაბნონი მშუილობით და უშ-  
ყოთველად იუენენ და მეფობასა ჩემსა და ძესა ჩემსა გიორგი  
კურაპალატსა გუილოცვიდენ, და მათ ჰირველთა მეფეთა, მა-  
შენებელთა და შემწირველთაცა, ულოცვიდენ <sup>5)</sup>, რათა ღმერთმან  
მეოხებითა მათ წმიდათა მოციქულთათა <sup>6)</sup> და მათდა მიმართ ვედ-  
რებითა მათ წმიდათა მამათათა <sup>7)</sup> დღეს მას განგითხვისსა ულ-  
ხინოს ცოდვილსა სულსა ჩემსა და მიკსნას სასჯელთაგან საუკუნეთა.  
აწ ვინცა ჭნახოა ბრძანება <sup>8)</sup> და სიგელი ესე ჩუენი, შემდგომთა  
ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ ერისთავთა, ერისთავთა, ტა-  
ლისა <sup>9)</sup> და კლარჯეთისა ტანუტერთა და უოველთა კელის-უფალთა  
და საქმის მოქმედთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ კელ-ჭუოფთ შლასა  
და შეცვალებას ამისა. და უკუეთუ ვინმე, რასაცა ჟამსა, რაიცა გუ-  
არი კაცი, დიდი გინა მცირე, ადგეს და ამას ნაქმარსა <sup>10)</sup> ჩუენსა

<sup>1)</sup> Ibid.: კარი. დედანში კირი სწერია (ნახე ალბომი), თუმცა შეიძლება ეს შეცდომით ეწეროს კარის მაგიერ.

<sup>2)</sup> Ibid.: სლესველთა

<sup>3)</sup> Ibid.: სამსახურებელისა.

<sup>4)</sup> Ibid.: ვარდავსწყუიდე.

<sup>5)</sup> ეს სიტყვა გამოშვებულია დ. ბაქრაძის გამოცემაში.

<sup>6)</sup> Ibid.: მოციქულთათა.

<sup>7)</sup> Ibid.: მამათათა.

<sup>8)</sup> Ibid.: ბრძანება.

<sup>9)</sup> Ibid.: ტალისა.

<sup>10)</sup> Ibid.: ნაქმარსა.

აქცეკდეს, გამცაურისხდების შამაი, ძე და სუელი წმიდაი, და ესემცა წმიდანი მოციქულნი არიან მოსაჯულნი <sup>1)</sup> სულისა მისისანი დღეს მას განკითხვისასსა, და ჩემნი ბრადნი მისგან იძიენ დმერთმან. და თქუენ, წმინდაო (წღო) მეუფეო, ქართლისა კათალიკოსო (ჟ), და წმინდანო (წღანო) მღდელთ მოძღუარნო უჯუარო...

2. სიგელი მეფისა დავით IV, რუსუდანის ძისა, ნარინად წოდებულისა, 132 X 24 სანტიმეტრი, დაწერილია ეტრატზედ მეცამეტე საუკუნის მხედრულის ხელით. ჩვენ გვაქვს მარტო პალეოგრაფიულად გადმოღებული პირი ამ სიგლისა გასანთლულ ქალაღზე, რომელიც გადმოიღეს ილია პეტრეს ძემ და ერმილე კაცოს ძემ ნაკაშიძეებმა ამ ათის წლის წინ და გადმოგვცეს ჩვენ. დედანი ჰქონია ერთ გლესს ხეფინის-ხევეში, შორაპნის მაზრაში. ვინაიდგან ნარინ დავითის ხელ-მოწერილს სხვა სიგელს ჩვენამდის არ მოუღწევია, ანუ უკეთ ვსთქვათ, ჯერ არ აღმოჩენილა, ამიტომ ეს სიგელი, ისე როგორც იყო გადმოღებული სრულად მოვათავსეთ ალბომში (იხ. გვ. 7—10). როგორც ამ პალეოგრაფიული ტაბულიდან სჩანს, სიგელი დაზიანებულად შენახულა, რვა ადგილას ტყავი ამოფლეთილია და სიგელი სრულად არ იკითხება, თუმცა საზოგადო მისი შინაარსი ცხადია. ამას გარდა სტრიქონები 34 და 35 ერთი და იგივეა და ეს გამეორება პირის გადმომღებს უნდა მიეწეროს და არა თვით დედანს. სახელი დავით მეფისა ნაკლულევა-ნობის გამო სიგელში აღარ იკითხება, მაგრამ რომ აქ დავით IV ნარინი იგულისხმება, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ის რუსუდანის ძედ არის მოხსენებული. სიგელი დაწერილია 32 ინდიკტიონს დავით IV. დავით ნარინი ქართლის ცხოვრებით გამეფდა 1234 წელს და ერთი კვინკლოსის მინაწერით, (ქორდანია, ქრონიკები, II გვ. 124) 1236 წელს. პირველ შემთხვევაში თარიღი ჩვენი სიგლისა იქნება 1266 და მეორე შემთხვევაში 1268 წელი. ჩვენს ალბომში მოყვანილი პალეო-

<sup>1)</sup> Ibid.: მოსაჯულენი.

გრაფიული პირი ამ სიგლისა გვიჩვენებს, თუ როგორ შეცვლი-  
ლა მხედრულის ხელის ხასიათი მეცამეტე საუკუნეში. აგრეთვე  
საყურადღებოა ენის მხრით ნაწილის „ყე“-ს მიმატება სიტყვის  
ბოლოს, როგორც დღემდის დარჩენილია ქიზიყში, იმერეთში  
და უფრო რაჭაში.

1266—1268. სასელითა ღი[სთა და გ ი თ ი ს ა ] გ ა ნ . ბ ა გ -  
რ ა ტ უ ნ ი ა ნ ი ს , რ უ ს უ დ ა ნ ი ს ძ ი ს ა , ნ ე ბ ი თ ა ღ ი ს ი თ ა , ა ფ ხ ა ზ თ ა ,  
ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა , რ ა ნ თ ა , კ ა ხ თ ა და ს ო მ ე ხ თ ა მ ე თ ე ს ა შ ა რ ვ ა ნ შ ა და შ ა ჰ ა ნ შ ა  
და ე ო ვ ლ ი ს ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა და ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ა ო ლ ო ბ ი თ მ შ ე რ ო ბ ე -  
ლ ი ს ა . მ ო ვ ი დ ე ს რ უ ე ნ წ ი ნ ა შ ე ხ [ ე თ ე ი ნ ი ს კ ე ვ ] ე ლ ნ ი და წ ა -  
ქ ე ე ლ ნ ი და მ ო ი ხ უ ნ ე ს ს ი გ ე ლ ნ ი . . . . ს ა მ ე თ ე ს ა გ ი ო რ -  
გ ი ს ნ ი , რ ო მ ლ ი თ ა შ ე ე წ ე ა ლ ნ ე ს და შ ე უ ვ ა ლ ე ქ ნ ე ს ი გ ი ნ ი , და გ ვ ე -  
ჰ ა ჯ ნ ე ს , რ ა ი თ ა მ ც ა შ ე ე ი წ ე ა ლ ე ნ ი თ და ს ი გ ლ ი თ ა ა მ ც თ რ უ ე ნ ც ა და უ -  
მ ტ ე ი ც ე თ და შ ე უ ვ ა ლ ვ ე ქ ე ნ ი თ და კ ა მ ო ვ ი ე ვ ა ნ ე თ ე ო ვ ლ ი ს ა შ ე ს ა ვ ლ ი ს -  
გ ა ნ ს ა კ ე ლ მ წ ი თ ე ო ს ა , ს ა ე რ ი ს თ ა ვ თ - ე რ ი ს თ ა ო ს ა და ს ა კ ე ლ ი ს უ ე ლ ო ი -  
ს ა . და გ უ ა ჯ ე რ დ მ ე რ თ მ ა ნ და ვ ი ს მ ი ნ ე თ ჰ ა ჯ ა ი და [ მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა ] ი ხ ე თ ე -  
ნ ი ს - კ ე ვ ე ლ თ ა ი და წ ა ქ ე ე ლ თ ა ი და შ ე ვ ი წ ე ა ლ ნ ე თ ი გ ი ნ ი და შ ვ ი ლ ნ ი  
და ე ო ვ ე ლ ნ ი მ ო მ ა ვ ა ლ ნ ი მ ა თ ნ ი და მ ი უ ბ ო ძ ე თ ს ი გ ე ლ ი ე ს ე და ა ვ ჰ ა -  
დ ე თ ე ო ვ ე ლ ი შ ე ს ა ვ ა ლ ი ს ა კ ე ლ მ წ ი თ ე ო ი , ს ა ე რ ი ს თ ა ვ თ - ე რ ი ს თ ა ო ი და  
ს ა კ ე ლ ი ს უ ე ლ ო ი , და თ ე რ ა ს ნ ა დ ი რ ო ბ ა ი ჰ ე ქ ო ნ ე ბ ო დ ა . ჰ ა გ რ ე ვ ე მ ი უ -  
ბ ო ძ ე თ და თ ე ლ ე უ ლ ი და რ ი ს ა ც ნ ა დ ი რ ო ბ ა ი კ ა მ ო ა რ ნ დ ე ს ე ე და მ ო კ ლ ვ ა ი  
ე ს ე . . . . მ ი ს ი ნ ა დ ი რ ო ბ ა ი ა რ ა ჰ ე ქ ო ნ დ ე ს ე ე , მ ი ს ტ ე ი ს [ მ ტ ვ ე ლ თ ა უ ] ხ უ -  
ც ე ს ი და ტ ე ი ს მ ტ ვ ე ლ ნ ი ვ ი თ ა წ ე ს ი ა , [ ი ს ე გ ა და ] ა კ დ ე ვ დ ე ს გ ა რ ე თ ,  
შ ი გ ა ნ უ ჩ ა უ დ გ ე ბ ი ა ნ , და ი გ ი და უ უ რ ვ ე ბ ლ ო ბ ა ს ნ ე ი კ ა დ რ ე ბ ე ნ . თ ე  
კ ა ც ი მ ო კ ლ ა ნ , ც ე ც ხ ლ ი ს შ ე უ დ ე ბ ლ ო ბ ა ი და მ ო უ რ ბ ე ვ ლ ო ბ ა ი , ვ ი თ ა გ ი -  
ო რ გ ი მ ე თ ე ს ა გ ა ნ ბ ო ძ ე ბ უ ლ ს ს ი გ ე ლ ს ა შ ი გ ა ნ უ წ ე რ ა ი ა ე ე , ჰ ა გ რ ე ი ე ო ს ,  
და ი გ ი ნ ი და უ უ რ ვ ე ბ ლ ო ბ ა ს ნ ე ი ქ მ ე ნ . . . . ღ ვ ი ნ ი ს მ კ რ ე ე ე ლ ნ ი და ჩ ა -  
მ ო მ ა წ ე ე ვ ა რ ნ ი ს ა კ ლ ა ვ ს ა . . . [ ქ ა ] თ ი ს ა მ ე ტ ს ა ნ უ ს თ ო ვ ე ნ . ჰ ე ქ ო ნ დ ე ს  
ს [ ი გ ე ლ ი ე ს ე ] ხ ე თ ე ნ ი ს - კ ე ვ ე ლ თ ა და წ ა ქ ე ე ლ თ ა მ კ უ ი დ რ ( ა ) დ , მ ა მ უ ე ლ ო -  
ბ ი თ , მ ტ ე ი ც ე დ , შ ე უ ც ვ ( ა ) ლ ე ბ ლ ა დ და შ ე უ ვ ა ლ ა დ ე ო ვ ლ ი ს შ ე ს ა ვ ლ ი ს ა და  
გ ა მ ო ს ა ვ ლ ი ს ა გ ა ნ , მ ა თ და შ ვ ი ლ თ ა და . . . ე ო ვ ე ლ თ ა მ ო მ ა ვ ა ლ თ ა მ ა თ -  
თ ა , და ა რ ვ ი ნ გ უ ი ბ ა ს ნ ე ბ ა მ შ ლ ე უ ლ ი და მ ა ქ ტ ე ე ე ლ ი ბ ძ ა ნ ე ბ უ ლ ი ს ა მ ი ს

ჩუენისაი, არც ვინ მეუენებლე მაწუენელი და დამ[შლეელი] მათი. აწ ვინცა ჭნახოთ ბძნებაი და სიგელი ესე ჩუენი [ერის-თავო ერისთავთა, დიდებულთა, აზნაურთა, ათხმაზურთა (?), ნი..... ტუის მცველი უხუცესთა, ტუის მცველთა და [უფ-ველთა] საქმის მოქმედთა ჩუენთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უზღავთ ბძნებას და სიგელს ამას ჩუენს, და ნურცა-რას ვინ დააკლებთ ნუ დიდს და ნუ მცირეს, თუენიერ შეწუენის და თანს დგომის. დაიწერა ბძნებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკ-ტიონს მეფობის ჩუენისსა ოც და მეათე ორ მეტესა კელითა ზარდახანის ჩუენის [მწიგნობრის] მიქაელ ეზეკიელი სიონისა. (ხელის მოწერის ნაშთი დავით მეფისა ნახეთ ალბომში, გვ. 10). ჩვენის აზრით აქ უნდა იკითხებოდეს: ქ. [მეფეთ მეფისა დავით-თი]სა ნებისათა ღთისისითა).

- 3.** კეთილ მოყვრობის წიგნი ბეჭა მანდატურთ უხუცესისა და კახა ჯავახიშვილისა, 45×12,3 სანტიმეტრი, დაწერილია ქა-ლალზე მეცამეტე საუკუნის მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახ-მარია თითოეულის სიტყვის შემდეგ ორ-ორი წერტილი თავი და ბოლო წერილს აკლია და გვერდებიც დაზიანებული აქვს. ის სიტყვები და ასოები, რომელნიც აზრით დავუმატეთ, დიდ ფრჩხილებში ჩავსვით. წერილი ეკუთვნის 1285—1308 წლებს, ვინაიდან ბეჭა მანდატურთ უხუცესი და მისი შვილები სარგის ყვარყვარე და შალვა ამ დროს ცხოვრობდნენ.

1285—1308..... რომელი წი.... მოციქული... წინასწარ-შეტუქვლთა, მოციქულთა და ეფელთა წმიდათა, [რომელნი სთნო] ეუენეს უფალს დას ჩენს (sic) იესო ქრისტეს, და ზარზმის ხატისა-ითა ჭტუქულისა [მიქელ მთავარ ანგელაზისითა, დაგიწერე უთუმი-ცოი დრო დაუდებელი და მიზეზისა] გან უმიზეზოი თქუენ კახასა, თქუენს ცოლშვილს, მე ბეჭამან მანდატურთ უხუცესმან, ჩემმან [ქემან], სმცხის სწასდარმან, სარგის, უუარეუარე: [ნათესავ]ნი ეოფილან ჩუენი სხელი და თქუენი ოდეს მამ[აი იყო], და მათი უგანით, რაი მე დაყრწი, ჩენის (sic) სხლის [ეროიანერთას მოყვარენი, მომ-

კმარებულნი, მეშუელნი. [და] ქემან ჩემან თქუენი დაი შეირათ და ვეღარაი სიუყარულია უოფილ ვიუკენით. აწ უკანის ჩუენ ვიმსახენით, და ზეკიანი და მოგეტ და ვერ ვითმე(?) იუენეს და კიდე გან[საცდელ]დი გარდაუშუით. აწ ამას იქით ვიუენეთ ჰაგრევე [ვითა წინას] უოფილ ვართა გაუერელები და მოდაწერილები. ლატოი და გამვლენელი ქრისტეს წინაშე, ქრისტეს წინაშე (ქ: წე: ქ: წე) და შეფეთა წინაშე, [მ]ოურავი მთქუმელი და მნდომი მართლითა გუღითა[ითა] და მოკმარების მნდომი და მთქუმელი ჩემთა სსუმ... გუერდით რაიც საქმე გედვას მართლითა სამარ[თლ]ვი, აუ თქუენიცა მოუყარე იუოს და მე და იგი <sup>1)</sup> თქუენს და მას შუა ვიუო, თუ რა გიშუელო სახესა ჩემსა], და გიშუელო და ვითა ამას წინათა მოუყარენი და განუერელები ვიუენეთ, და მოგაკმარა ჩემი სხელი [გუელ]მართლად, რაიც ვიცოდე და არ გაგემეფაფნო და უკეთესისა მდომი და რაიც დამიწერია და მო[გაკ]ლო, ჭთო, ჭთო, მამამან, ქემან და სულმან წმიდამან და ძლმან და ზარზმისა ხატმან და ანჩისა ხატმან. და აუ ანუ სიტუუით რაი გამოგანჩნდეს, ანუ საქმით და საქმითა ესე დაწერილი გაგიტეხო, მას უკან... ვიუენეთ არც თქუენი მკუიდრი თქუენი დაუკლებ[ელ]ი და მიმგურელი და თუ რა.... (წერილის მეორე გვერდზე დატულია ცოტა დაზიანებული მანდატურთ უზუცესის ბეჭას ხელის მოწერა ხუთ სტრიქონათ.)

4. წყალობის სიგელი მეფისა ივანე ჯავახიშვილისადმი მიტემული დაწერილია ქალაქლზე ძველის მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ. თავი აკლია და მარჯვენა მხარეც ისე დაზიანებულია, რომ მრავალი სიტყვები აკლია. ინდიკტიონის მიხედვით სიგელი მეფე გიორგი ბრწყინვალეს უნდა ეკუთვნოდეს.

1338. ....უოფლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითა უღობითა კელმწიუედ მწერობელმან.. მოვადეს წინაშე ჩუენსა ჩუენი დიდად ერდგული თორეღ [ი ი ვ ა ნ ე და გუეჟა და მოგ უ) აკსენა, რათამცა კ ა ე რ [ი ს ა ძირსა მანასტერი ა] თ ე ნ ა გ უ ე ნ ი მი გუეპისა, დაგუაჟერა ღნ და... ვინებედ თორეღ ი ს ა ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

<sup>1)</sup> დედანში ერთად სწერია: მედაიგი (?).

ს ა ი ვ ა ნ ე ს ი და [მიუბოძეთ] კოყრისა ძირსა მონასტერი ათენა-  
გუენი სამკუიდროდ... და შეუცვლელად და, გქონდეს შენ თო[რელ]  
ი ვ ა ნ ე ს ა კოყრის ძირსა მონასტერი ათენაგუენი... და ფოველთავე  
მომავალითა მისითა, მიმდგომითა, ველითა, ვენაკითა, ტეითა, წელითა,  
წისქულითა, სანადიროთა და ფოველითა სამართლიანითა მძღვრითა და  
თავისუფლად, და არავინ გუიბრძნებია მძღველი ბძანებულისა ამის ჩუ-  
ენისა, არცა შეუნებლე მავნებელი ამისი. აწ ვინცა ნახოთ ბრძანებაი  
და სიგელი შემდგომად ჩუენსა შეფეთა, ანუ დედოფალთა, ერისთავ-  
თა ერისთავთა, ტფილისისა ამირაა ამირათა, კოყრისა დაბი[სა]...  
და მოურავთა, ფოველთავე დაუმტკიცეთ და... ბრძანებას და სიგელსა  
ამას ჩუენსა, და ნუცა რას ვინ დააკლე[ბთა, ნუც დიდსა] და ნუც  
მტერსა, თუნიერ შეწევნისა და ააწადგომისა [კიდე, და თქუენ  
ქართლის კასადიკოზო და ფოველზო მდრდელზო, [წყ]ალობით და-  
უმტკიცეთ. დაიწერა ბძანებაი და სიგელი [ესე ჩუენი ინდიკტიონსა]  
შეფობისა ჩუენისასა: ღთ: კელითა კარისა მწიგ[ნობრისა] აბრძანა  
ავგაროზის ძისთა. (ბოლოს მოყვანილია ხელის მოწერა რომელშიაც  
ჩუენის აზრით უნდა იკითხებოდეს: „ქ. ვამტკიცებ გიორგი“. ამას შემდეგ  
მქრალის მელნით არის მეორე ხელის მოწერა, მაგრამ ეს ისეთი ნაკვან-  
ძია, რომ გარჩევა შეუძლებელია).

5. სიგელი ჯავახიშვილებისა, 35×15 სანტიმეტრი, დაწერი-  
ლია ქალღვრულ მხედრულ ხელით. ნიშნებათ თითოეუ-  
ლის სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თავი და  
მარცხენა მხარე სიგელისა დაზიანებულია დროთა ვითარების  
გამო, სიგელი უნდა ეკუთვნოდეს გიორგი ბრწყინვალეს. ქო-  
რონიკონის პირველი ასო „კ“ სანახევროთ მოჩანს.

1339, ი ვ ნ ი ს ი ს ნ. ... გიბოძეთ შენ მეაფრეთა უხუცესსა  
.... შადვა რაგუარ ჰატრონსა... .. ებოძა შენი მამული შენთუის,  
ჭაკრეგვი ჩუენ შეგიწყალებთ და გიბოძეთ უცილებლად ყოველის სული-  
ერისგან, ვერავინ გეცდილებოდეკ ერდგულად მსახურებას შინა შეფო-  
ბისა ჩუენისასა, ურდოს დაშქარს შინა და გარე ყოველგან, და ვინც  
ამისი ხართ აზნაურისშვილი, მსახური და გლეხი, ეგვლაი მსახურებდით  
2



ერდგულად და თავდადებით. ვინც ლაშქარს წაგიტანოს, ლაშქარს წაჭეუ-  
ვით, ვინც შინა დაგაგდოს, შინა მსახურებდით. დაიწერა ქნიჯნს:  
[კ]ზ: იენისს: ვ: კეღითა კარისა მწიგნობრისა ჩუენისა ქ ა ვ თ ა რ ი ს  
შ ვ ი ჯ ი ს (? , ბ ო ც ო ი ს ი თ ა . (ბოლოს ხელის მოწერა ისეთი ნაკვან-  
ძია, რომ გარჩევა შეუძლებელია).

6. სიგელი ჯავახიშვილის გამრეკელისა, 29×17,5 სანტ., და-  
წერილია ქალაღზე ძველი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმა-  
რება ორ-ორი წერტილი. სიგელი საკმაოდ დაზიანებულია და  
ზოგიერთი სიტყვები და ასოები გადასულია, თავში აკლია.  
სიგელი უნდა ეკუთვნოდეს გიორგი ბრწყინვალეს.

1345. ოკდომბრის 12. ..შენდა გიბუძები (sic) ჯ ა ვ ა ხ  
ხ ი ს შ ვ ი ჯ ს გ ა მ რ ე კ [ ე ლ ს ა ], შეიღთა ს ა რ ი ჯ ნ ა შენ.....  
შენთისა გიბოძები (sic), გქონდეს და ვერაფინა გეტილეზოდეს, ვითა  
შენს..... ლეს ჭმართებსა ერდგოლად (sic) სამსახრსა შიგანა მეფო-  
ბის ჩენსსა (sic), ორდოს (sic) ლაშქარსს შინა და გარე, და კ ა გ ი ე ო ს  
ს ო (ს) ორი გლეხი მისთ მიწით (მწთ) და საქონებადითა, კ ო მ ნ ა კ ო  
მ ი ს ძ ე და ბ ო რ ტ ე ო ლ ა შენსა ბიძას ძის შ ა ლ ვ ა ს ა შვილს  
ჭქონდეს, მისისა საქმის შეკაზმამდის, ნორსა (sic) ეტილები და სა-  
თათროსა და საყლნოსა და სჩენს (sic) სამსახურსა თანა დაიყენებდი,  
და ვერაფინ რა საქმე დაიგოს შენს მგტმა. დაიწერა ქჯნს: ლ გ:  
ოკდომბერსა: ი ბ: ბძანება და ნიშანად გიბოძებ.. კეღით კარისა მა...  
ჩმისა მ ა ც რ ი ტ ი ს ძ ი ს ა და ვ ი თ ი ს ა ი და შ ა ლ ვ ა ს ... დანა  
სხუასს (სხსს), ვისა გინდა ჩენი ბძანება და ნიშანი ჭქონდეს, ეელა (sic)  
ამით გაგიტარე და ესე დაგიმტკიცე ბძანებაი (ბძ). (აქ არის ხელჩართული  
ხელის მოწერა მეფისა, რომელიც არ განირჩევა).

7. სიგელი ქვენიფნაველის წითლოსანისა, 146×27 სანტიმეტ-  
რი, დაწერილია ქალაღზე მეთოთხმეტე საუკუნის მხედრულის  
ხელით, ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი თითოეულის  
სიტყვის შემდეგ. ბოლოს ხელის მოწერას მეფისას ცოტა აკ-  
ლია, ქალაღი მოხებულია. სხვაფრივ სიგელი კარგათ არის  
დაკული. საყურადღებოა მეფის სახელი ა ნ დ რ ო ნ ი კ ე, რო-

მელიც საქართველოს სხვა წყაროებში მეფეთ არ იხსენიება. თარიღის მიხედვით სიგელი ეკუთვნის 1348 წელს და ამ დროს საქართველოში მიღებული ქრონოლოგიით მეფობდა დავით მეშვიდე, გიორგი ბრწყინვალის შვილი. თუ ეს ჩვენი სიგელი დავით მეშვიდეს ეკუთვნის, შეგვიძლია დავსკნათ, რომ ის მამას მეფედ უკურთხებია 1339 წელს (ამ წელს უდრის ინდიკტიონი) და მისი მეორე სახელი ანდრონიკე ყოფილა. წითლასან ქვენიფნაველი, ქსნის ერისთავი, ლარგველის შვილი, სხვა წყაროებში ჯერ ცნობილი არ არის და მით უფრო საყურადღებოა ეს სიგელი.

1348. ქ. სახელითა ჭთისათა, ანდრონიკესგან ბაკრა-ტუნიანის, ნებითა ჭთისითა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშე და შანშე და ყოფილს აღმოსავლეთის და დასავლეთისა კელმწიფედ მზერობელისა, მოვიდა ჩუენს<sup>1)</sup> წინაშე ქუენიფნაველი, ღარგელისა შვილი, წითლასან და გუ(ე)აჯა და მოგ(უ)აკესნა, რათამცა ქართლის მოხსნისა და ღარისეულნი სოფელნი კარბაი და გარეჯარ ბაკურის უბანი მისთისმცა მიგ(ვე)ბოძებეს და დაგუაჯერა (დაგუაჯერა) ჭთმან და ვისმინეთ აჯაი ქუენიფნ(ე)ველისაი წითლასანისი, ვინადგან მათის ცოლის ძმის მუხუსძეს საღარესცა მისთის და მისთა ღისწულათის ეანდერძა მისი მამული, ჩუენტა შევიწყალეთ და მიუბოძენით ქართლის სოფელნი კარბაი და გარეჯარ ბაკურის უბანი მისითა სამართლიანითა მძღვრითა შვიდრად, სამამულოდ, შეუვლად და შეუცვალებლად. ჭქონდენ ქუენიფნაველის წითლასანსა შვილთა და მამავლთა მისთა ყოველთავე ქართლის სოფელნი კარბაი და გარეჯარ ბაკურის უბანი მათითა სამართლიანითა მძღვრითა, მთითა, ბარითა, ტუითა, ვეღითა, ვენაკითა, წულთა, წისქილთა, გაღითა (sic), სათიბითა,

<sup>1)</sup> დედანში ყოველთვის „ჩენს“ სწერია. საზოგადოთ ანბანთა მეტნაკლებობა ამ სიგელში ხშირია. ჩვენ მიერ მიმატებულს ასოებს ფრჩხილებში ვსვამთ.

სანადიროთა, მკ(უ)იდრად, სამამულოდ, შეუფლად, მათითა სკამართა და უკმართა, ერთობ უფლითა. და თუ ვის რაი ამა ადგილია სიგელი და ანუ ნიშანი ჰქონდეს, უფელივე სიგელითა ამითა გავიტების და დამტკიცე ესოდენია და არაფინ გვიბრძანება მშლელი და მაქტვეელი ბრძანებულის ამის ჩუენისაი, და არცა შეუნებლე მავნებელი და დამაკლებელი მათი. აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი (ბ<sup>ბ</sup>) და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მამაფალოთა შეუეთა და დედოფალოთა, კარის ჩუენის ვაზირთა და მოურავთა, ერისთავთა ერისთავთა და ქართლის ერისთავთა, გარის და (ჩ)გენთა ცინისთავთა და შეცინოვანთა და გარის მოურავთა, მერემაეთა, მეფინიბეთა, ბაზირთა, მონადირეთა, ხორბლის შერეულთა, მესაბანჯრეთა, შეკულუხეთა და უფელითავე კართ ჩუენთ სსსქმოდ წარგსავნილითაი (sic), დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ და ნუცა რას ვინ და(ა)კლებთ, ნუ დიდს და ნუ მცირეს, თუნიერ შე(წ)ეგნის და თანადგომისგან კიდუ და თქუენ, წმიდაო მეუფეო ქრისტეს მიერ ქართლის ქაოალიკოზო და უფელინგო (sic) მღრდელო-მოცდაწო, უფ(უ)არობითა დაუმტკიცეთ. დაიწკა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონს შეფობის ჩუენის მეცხრესა, ქჷს ი ვ: კელითა კარის მწიგნობრის ჩუენის მ ა ნ გ ლ ე ლ ი ს . . . . . ძ ი ს ა ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ი თ ა . შემდეგ ხელის მოწერა მეფისა ამ სახედ უნდა იყოს ჩვენის აზრით: ქ. ვამტ[კიცებ] და უქტვეელი [არს] ნებითა ცთსაითა.

8. სასისხლო სიგელი თულასძეთა, გადმოცემული ვახტანგ დიმიტრის ძის თულაშვილისაგან, 82 X 22 სანტიმეტრი, დაწერილია ტყავზედ მხედრულის ხელით. ტყავი გამზმარი და დაზიანებულია, კიდები იფშენება, ნაწერი ზოგ ადგილას გადასულია, ზოგ ადგილას ძლიერ მქრალი, ზოლო აღარ იკითხება, თარიღი არა აქვს, მაგრამ სიგელი უნდა ეკუთვნოდეს ბაგრატ V († 1395). ამ სიგლის ყალბათ გადაღებული პირი მოიპოვება ერთ დ. ჩუბინაშვილის ნაქონ ხელნაწერში № 3677 და ამ ყალბის პირის თარგმანი ბროსეს შეუტანია თავის Introduction-ში, გვ. XC—XCIII. ყალბის მქნელს მეფე ბაგრატ აშოტ კურაპალატის ძეთ დაუწერია: „მეფეთ მეფემან ძემან აშოტ

კურაპალატისამან ბაგრატ“. ბოლოს კიდევ ასეთი ყალბი თარიღი მოუბამს: „აღიწერა ქსტეს აქეთ წელსა ყ მ ა“. რასაკვირვებელია ბროსემ ეპეი გამოაცხადა ამ თარიღის შესახებ.

1360—1395. . . [ბაგრატიანთა] ბაგრატიანებით. . აღმოცენებულმან ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, აიხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შავშინ და შარვაშინ, და ეოვლისა ჩრდილოეთისა, აღმოსავლით ვიდრე დასავლეთამდის თვით ხელმწიფედ (სი) მქონებულ-მწერობელმან, მეფეთ მეფემან ბ ა გ რ ა ტ, გორგასალი-საგან ბრძანებულ. მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენი მ(ონანი?) და ჰატონისა შეუბობისა ტახტისა და გურიგუინისა თავდადებით ნამსახური და მოსმსახურენი და ნამსახურნი<sup>1)</sup> თ უ ლ ა ს ძ ე ნ ი ი ვ ა ნ ე და მ ი ქ ა ე ლ, შვიდნი და მომავლნი სახლის მათისანი, მას ჟამსა, ოდეს ტ ლ ა გ ი ა ნ ი ს აზნაურის შვილსა თ უ ლ (ა) ძ ე ე მ ე ტ რ ე ს ნ ა ნ ი ა ი გ ე რ გ ე ს ე ლ ა ს ანადირშიდა შეაკუდა, მას ჟამის მოვიდეს წინაშე ჩვენსა, იაჟნეს და მოგვასენეს, რათამცა ერდგულად ნამსახურითა მათითა სანაცვლოდ ვქებით მოკითხულ, და ვცანით მათ სახლისა ვითარება და ერთობი სპატ(ი)ო კაცი ეოფილიყო და მისთანა სიკელი ქონებოდა და იმავე სიკელითა ჩვენ ახლად დაუმტკიცედ და გაუჩინეთ სრული სისხლი ასრე და ამა ჰირსა ზედ: ვინცა ეშმაკისა მანქანობისათვისაგან თ უ ლ ა ს ძ ე გუარის კაცი შეაკუდეს, ასრცი ათასი ძველი თეთრი კირმანული დაეგრებოდეს და გარდინადოს, და თორმეტი ათასი სანახშიროდ დაეგრებოდეს. თუ ვინმე ეკლესია გაუტეხოს და სივლაჳი გაუზატოს, თხუამეტი ათას თეთრი დაეგრებოდეს. ვინცა ცოლი წაგიდოს და ანუ მოგტაცოს, ნახევარი სისხლი დაგუეროს. ვინცა დარბაზსა შეკასმინოს და შეკაბეზდოს, მესამედი სისხლი დაგუერებოდეს. ვინცა მართალს გრძნეულობა შემოგვიფლოს და გი(თხ)რას, ნახევარი სისხლი დაგუეროს. ვინცა გათ(ხო)ული ქალი დაგ(ი)დოს, ნახევარი სისხლი დაგუეროს. ვინცა... მარ შვილი გიცეს და გაიუზატოს (სიცი), მესამედი სისხლი დაგუეროს. ვინცა ამა ექვსთა ასოთაგან დაგიშაოს და ანუ და(გიხიჩ)ანაფოს, მესამედი

<sup>1)</sup> დედანში „ნამსახურსა“ სწერია, მაგრამ უკანასკნელი ორი ასო შემდეგ გადაკეთებულია.

სისხლი დაგვევროს. ვინცა ზედა მოგიხდეს ანუ დაგვწავს, ორმოცი ათასი თეთრი დაგივროს. ვინცა <sup>1)</sup> ჯოგი კაკიტხოს, ოცი ათასი თეთრი დაგ(ი)ვროს. ვინცა მოახლე და ანუ სებეუ-ქალი (sic) და ანუ მეჯინიბე და ანუ შვექმისი გიციეს და გაგიუხატოს, თუთხმეტი ათასი თეთრი დაგვევროს. ვინცა დადი დაგასვას, ოცი ათასი თეთრი დაგვევროს. ვინცა გერში გადინოს, საკერში დაგვევროს. სხვა გინდა რა უხატობა დაგემატოს, დაიდევით ესე სიგელი, რაცა ამა სიგელმან გაგიჩინოს, ისრე დაგიურებოდეს. სხვა სრული სისხლი მეფეთ მეფეთაგან განჩენილი ას ოცი ათას ძველი თეთრი კირმანული დაგივრობოდეს და სანახშიროდ თორმეტი ათასისა. აკრევე რაც ამაშიდ სწერია, ისრე დაგვევრობოდეს. ესე ჩვენგან ბოძებული ბრძანება თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ, ქართლისა ქათალიგოზო, აფხაზეთისა ქათალიგოზო, ქუთათის ქუთათელო, გელათს გელათელო, სამცხეს აწვევერელო, ოდიში-მოქვის მოქველო, ბედიას ბედიელო, ცაიშელო, დრანდელო, სვანეთს ცაკერელო, სვანო სრჯულ-მდებელო და სჯულ(ი)ს განმამარგებელო, ებისკოპოზონო, მოძღვარო, მღრღელო და დიაკონო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. სვანო დიდისა და დიდიუღ დამყარებულისა ტახტისა და გვირგვინისა მეფობისა განმამარგებელო ერისთავთ ერისთავო, მანდატურთ უხუცესო, დადიანო და ამირხასალარო (დამისხასალარო), ათაბაგო და სუნთა ერისთავო, გურიელო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. სვანო სახლისა ჩუენისა დარბაისელნო, ამირეჯობო, ერისთავთ ერისთავო, ამილბარო, ამირამო, ამილასორო, ციხის თავო, სასახლის უხუცესო.... თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. სვანო მოლარეო... მოლარეთ უხუცესო, მესთუმრეო, ბოქაულელო.... ბოქაულთ უხუცესო, მეაბჯრეთ უხუცესო და მეაბჯრეო, .....მესტვირეო, მენადარეო, მზარეულეო, მეჭიფნო (?), თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ, ბაზიარო, მეღვიგეო და [მეღვიგეთ უხუცესო]..... სხუანო დიდნო.... და მცირენო... ..შლად ... არიან... დაიწერა... <sup>2)</sup>).

<sup>1)</sup> ეს სიტყვა გამეორებულია დედანში.

<sup>2)</sup> ზემოხსენებული ყალბათ გადმოღებული პირი ამ სიგლისა ასე თავდება: „და სვანო ყოვლისა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობარნო და გამგენო და ნურავინ შლად ხელ ჰყოფთ თვინიერ თანაშეწვევისა კიდე.“

9. სიგელი ჯავახიშვილებისა, 33×14,5 სანტ., დაწერილია ქაღალდზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებით იხმარება თითოეულის სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილი. თავი აქლია და არა სჩანს რომელი მეფის მიცემულია სიგელი, მაგრამ ქორანიკონი და ბოლოს ხელის მოწერა გვიჩვენებს, რომ სიგელი იკუთვნის ალექსანდრე მეფეს, მცხეთის აღმაშენებელს. სიგელი შუაშიაც დაზიანებულია და სხვა ქაღალდზე დაწებებული.

1440. ფ ე ბ ე რ ვ ლ ი ს 20... [განყოფი]თისეული სრულად მონასტრითა, ციხითა, სსსხლოთა, გლეხებითა, ესითა, ვენაკითა, წყლითა, წისქვილითა, ჭაღითა, სთიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა და ბარითა, საკმრითა და უკმრითა, საძებარ-სანადიროთა და საძებარ-უძებრითა, საკმრითა და უკმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა მზღვრითა სამართლიანითა, ყუაღათა უკლებლად სამკუიდროდ გუიბოძებია, და გქონდეს მოუშლელად და შექელებით თქვენ ჩუენ-სა თანა შეზრდილ-გაზრდილსა და თავდადებით ნამსხურსა ჯ ა ვ ა ხ ი ს - შ ვ ი ლ ს ა გ ა რ ე კ ე ლ ს ა და თქვენ[თა] შვილთა ზ ა ქ ა რ ი ა ს , კ ა ხ ა ს ა , ზ ა ზ ა ს ა და ს რ დ ა ს ა , შვილთა და მომავალთავე სხლისა თქუენისათა, თქუენისა განყოფის(ე)ული, თქუენი მკუიდრი მამული, ციხითა, მონასტრითა, სსსხლოთა, აზნაურისშვილებითა და გლეხებითა, უსითა, ვენაკითა, წყლითა, წისქვილითა, ჭაღითა, სთიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა და ბარითა, საკმრითა და უკმრითა, მისითა მზღვრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა მიმო... [სმართ]ლიანითა ყოველი-თურთ... ბისაგან კიდუ. დაიწერა ბძსნება და სიგელი ესე ჩუენი ქქსა: რ კ ზ : ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისსა: კ ზ : ფეებერვალსა: კ : კელითა ფრიად საწყალობელისა მესტუმრისა და კარის მწიგნობრისა ჩუენისა კ ლ ი მ ი კ ა კ ლ ა ს ძ ი ს ა თ ა . მეფე ალექსანდრე ვამტკიცებ (ეს უკანასკნელი ფრაზა ხელჩართულათ არის დაწერილი).

ხოლო დამამტკიცებელი ამისი აკურთხნეს ღმერთმან და მშლელი ამისი რისხავს მამა, ძე და სული წმინდა და ყოველნი წმიდანი მისნი, კორცი-ელნი და უზორცონი, რომელიცა წლითი წლად წასა სვინაქსარსა შინა მოიხსენებინ ამინ. აღიწერა ქსტეს აქეთ წელსა ყმა.

10. წყალობის სიგელი გიორგი IX, 42×19,5 სანტიმეტრი, დაწერილია ეტრატზე რგვალის მხედრულის ხელით და შავის მელნით. ნიშნებით იხმარება სამ-სამი წერტილი თითქმის თითოეულის სიტყვის შემდეგ. ეტრატი ძრიელ დაზიანებულია და აქ იქ ნაწერი ძრიელ მქალაქ მოჩანს და ზოგან სრულებით გადასულია. ინდიკტიონი თუ ქორონიკონს შევამოწმეთ, გიორგის გამეფება გამოვა 1447 წელს, ხოლო მიღებულის ქრონოლოგიით გიორგი გამეფდა 1446 წ. პირველი მეუღლე გიორგი მეცხრისა თამარ დღემდის უცნობი იყო. გიორგის მეუღლედ შემდეგ სიგელში და სხვებში ნესტან-დარეჯან იხსენიება, რომელიც ალბათ მეორე ცოლი ყოფილა. ეს სიგელი სოფ. დიდომიდან ჩამოგვიტანეს, მიწაში შენახული ეპოვნათ.

14 ს. კ. ა გ ვ ი ს ტ ო ს ნ. ჩუენ წყალობითა დამისათა ორისავე ტახტისა და სამეფოისა ღიხთ იმერისა და ღიხთ ამერისა, შანშე და შარვანშე და უფლისა დასუფეთისა და აღმოსუფეთისა და ჩრდილოეთისა თუით ფლობით მტკიცედ მქონებულ-მპყრობელმან, ჰატრანმან მეფეთა მეფემან გიორგი და თანამეცხედრემან ჩუენმან, ჰატრანმან დედოფალთა დედოფალმან თამარ ესე წყალობისა და შეწუალებისა მტკიცე და შეუცვალებელი სიგელი გიბოძეთ თქუენ ერემასქესა ფილიპეს მღრდელსა, დავითს...<sup>1)</sup> და გიორგის და [უფელთა] შვილთა და მომავალთა სახლისა შენისა უფელთავე, შეგიწუაღეთ და განკათავისუფლეთ უფლისა ფერისა და სათხოვარისკან ასრე და ამა პირთა ზედა, რომე დღეს და დღესითგან წადმა არა გეთხოვებოდეს ერთისა დაშქრობის მტეი, არა გეთხოვებოდეს, და თორმეტთა საუფლოთა დღეთა ჩუენისა სულისათუის და მეფობისა ჩუენისა წარსამართლად გუიწორედიით, და ჩუენგან არა გეთხოვებოდეს არა მადი, არა ღუინო, არა ზრთხასაკლავი, არა გოჭ-ქათამი, არა მუშაობა, არა უფლუთა, არა საჯინიბო, არა სახორსალადი, არა საბადახო და სათესავი, და საშკაღი და სალეწავი, და შითანადი (sic), არა საუველიარო, ერთისა დაშქ-

<sup>1)</sup> აქ ერთი სიტყვა აკლია.


რობისგან მეტი არ გეთხოვებოდეს. იუვენით საუდრის შეიღნი და დეკანოზნი, საუფლოთა დღეთა გუიწირეგდით. სხუა ამას გარეთ არა გეთხოვებოდეს არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენსა უკანის მომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან და არცა შეგებცვალოს; არცა ვინ გუიბძანებია მშლელ და მქცევარი ბრძანებულისა ამის ჩუენისა, დარცა (sic) რაიმე გეთხოვებოდეს [დაიწერა წიგნი და] ბრძანება (ბრბა) ესე ქს: რ მ ა : ა გ უ ი ს ტ ო ს ა გ : ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისსა მე ე ე ქ უ ს ე ს ა კელითა კარის ხუტისა ჩუენისა ი ო ს ე ბ ი ს ა ბ უ რ ც უ ლ ი ს ა თ ა (?), და მათა დღეთა იუ დააკლონ [ანუ] წირვასა თუ დაგუაგლებდეთ და არა გუიწირეგდეთ, ჩუენთუისმცა განგკითხვიდენ მას მეორედ მოსულასა. (ხელწართული ხელის მოწერა მეფე გიორგისა გადასულია). ამას ქვემოთ მეორე მოკლე სიგელია მოყვანილი. ნაწერი გადასულია, განირჩევა მხოლოდ:

9K 715

ჩუენ ზატრონმან მეფეთა მეფემან გი ო რ გ ი ესე წყალობისა და შეწყალებისა წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქუენ ერე მ ა ს კ ე ს ა [ თ ი ლ ი ბ ე ] მღუდელსა და ვ ი თ ს და გ ი ო რ გ ი ს . . და მომავალთა ურველთავე შეილთა თქუენთა და გიბოძეთ ცხოვრებაშვილის... ე ე ვ წ უ რ ი დ ს ა უ კ ა ნ თ ი , მ ა ნ კ ე ა უ რ ი ს კ ე ვ ს ა წ ი ნ ა თ რ ა ც ს ა გ მ ა რ ი ი ე ო ს . . . და ს ა მ ა მ უ ლ ო დ , რ ა ც ჩ უ ე ნ გ ა ნ ნ ა ბ ო ძ ე ბ ს ა ჭ მ ა რ თ ე ბ ს . . .

11. სასისხლო სიგელი გამყრელიძეთა, დაწერილი ყოფილა ტყავზედ. ამ სიგლისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში გადმოღებულნი ცნობილის ბერის ალექსი ბაქრაძის მიერ. სიგელი ნაბოძებია მეფის გიორგი IX მიერ. ინდიკტიონს თუ ქორონიკონს შეუღარებთ, გიორგი მეცხრის გამეფება გამოვა 1446 წელს, რაც სხვა წყაროებსაც ეთანხმება.

1458. ა გ ვ ი ს ტ ო ს 27. ქ: ჩუენ ღვთიფ-გვირგვინისის მეფეთ მეფის გ ი ო რ გ ი ს გ ა ნ , ი ე ს ი ა ნ - დ ა ვ ი თ ი ა ნ - ს ო ლ ო მ ნ ი ა ნ ო ბ ი თ ა დ მ კ უ ლ მ ა ნ , გ . . . . . დ ი დ ბ უ ლ მ ა ნ , ნ ე ბ ი თ ა და შეწყენითა ღვთისათა და წინამძღვრისა და ზატოისნისა ჯვარისა ძელისა ცხოვრებისათა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰან-შაჰე





და შარვან-შაჰე და ყოფილსა ჩრდილოეთისა, აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თვით კელმწიფედ ფლობით მშურობელთასა. მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენნი დიდად ერდგულნი და თავდადებით ნამსახურნი და ჩვენისა მოტყუებისა და ამოდ ყოფისათვის დიდად მომჭირნენი

გ ა მ ე რ ე ლ ი ს ძ ე შ ა ლ ვ ა და შვილი მათი ი ნ დ უ ა და მ ა მ ი -  
ს ა, გვიჯნეს და მოგვახსენეს ჩვენ (ჩნ) და თანამემტყუდრეს ჩვენსა  
ზატონსა დედუფაღთ დედუფაღსა ნ ე ს ტ ა ნ - დ ა რ ე ჯ ა ნ ს და ძეს  
ჩვენსა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს, რათამცა მრავალთა ერდგულობა-ნამსა-  
ხურთა მათთასა სიგლითა ამით შეგვეწყაღნეს და ამათვის სისხლი  
გაკვირინა. დაგუიჯერი (sic) და ვისმინეთ ჭაჯა და მოხსენება მათი და  
გაუჩინეთ სისხლად ორას ოცი ათასი ძველი ცხუმური მისითა საგერ-  
შოთა და სანახშირთა, მოკითხული ვქებით და ძველადაც თქვენისა  
სახლისა ასრე გაჩენილი ყოფილიყო და ძველი სიგელი კიდე დაგ-  
წვოდა, და აწ ჩვენცა შეგიწყაღეთ და სისხლის სიგელი გაკვირინეთ  
და გაკვირებთ და თქვენდა სისხლად გაგვიჩინეთ ორას ოცი ათასი  
ძველი ცხუმური თეთრი, მისითა საგერშოთა და სანახშირთა: . ვინ-  
ცა თქვენგანი და თქვენის სახლისა და გვარისა უბრალოდ მოგკლას  
და გილაატოს, ესე ჩვენგან თქვენთვის სისხლად გაჩენილი ორას  
ოცი ათასი ძველი ცხუმური თეთრი გაკვირდებოდეს: . — ვინცა ვინ  
დარბას შეკასმინოს, ანუ დაკადითა დაკახინოს, ანუ საჩენსა და ანუ  
უჩენსა ალაგსა დაკადოს, ანუ ცოლ ვინმე წაგვუაროს, ანუ სათულა-  
ვი გაკვირდოს, ანუ სასახლესა ზედა ვინმე დაგესხას, ანუ ცუცხლი  
შემოგაუაროს, ანუ მუქარა გახოს, ანუ ცოლობით გაკვირდოს, ანუ  
ჯოგი წაგისხას, ანუ მეკობრეობით ვინმე რამე მოგზარდოს, და რაც  
კაცისაგან კაცს საფნებელი და საუზატიო საქმე წაუკვირდების, იგი წა-  
გვიდოს, ამ ორას ოცი ათასისა ჩვენგან თქვენთვის გაჩენილისა  
სისხლისაგან მის ჟამისა ბრჭეთა, რეგორცცა სამართლად მართებდეს,  
აგრე გაკვირდოს და არას ჟამშიგან ესე არაოდეს დაგაკლდებოდეს.  
ბძანება (ბძა) ესე ნიშნად გვიბრძანებია :- დაიწერა მტკიცე სიგელი  
ესე ქვინსა :- რ მ ვ :- ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა :- ი ბ :- აგვის-  
ტონს: კ ზ :- კელითა წ ი რ ქ ვ ა ლ ე ლ ი ს ძ ი ს ა რ ა ტ ი ს ა თ ა .

12. სიგელი მეფე გიორგი მე IX-ისა ჯავახიშვილებისადმი მიცემული, 41 X 26 სანტ., დაწერილია ეტრადზე რგვალის და მსხვილის მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება თითოეულის სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილი.

1463. სექტემბრის 2. ქ. ნებითა ღთა ჩუენ მეფეთა მეფემან გიორგი და ძემან ჩუენმან ზირმომან მეფემან ალექსანდრე, აფხა[ზ]თა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შანშა და შარვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის თუით იულობით კელმწიფედ მტკიცედ მშერობელთასა, მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენი დიდად ერდგულნი და ძლისბრ (sic) თავდადებით ნამსახურნი ჯავახის შვილნი ზაქარია, კახა და ზაზა, გუიჯინეს (sic) რათამცა ნამსახურთა მათა მუქაფა გუეუო. ვისმინეთ აჯა და მოკსენება მათი და მიუბოძეთ [მათი]ვე მკუიდრი სოფელი ავკეთი და იოსტისე მათითა მზღურითა, მითა, ბართა, წყლითა, წისქულითა, ველითა, ვენაკითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა სამართლიანით ყოვლითურთ უნაკლულად, სოფელი ავკეთი და იოსტისე მოკითხული ვქენით და ძუელითგანცა თქუენი მკუიდრი იყო, და ახლად სიგლითა ამით ჩუენცა კიდევე დაგიმტკიცეთ სოფელი ავკეთი და იოსტისე. ქონდეს თქუენ ჯავახის შვილთა ზაქარია, კახასა და ზაზასა, შვილთა და მომავალთა სახლის თქუენისათა ყოველთავე და გიბედნიეროს დმერთმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან და არა მოგეშალოს არასა ყ(ა)მისა გამოცვალებისათუის, და ასრე კელ-მეუფლად გუიბოძებია, რომე ჩუენგან არა ეთხოვბოდეს საჯინიბო, არა ახორსალართა, არა ბაზიერთა, არა საელნო, არა ციხის მუშაობა და ზუართა მუშაობა, არასთანა შემოსწერი და სათხოვარი არა ეთხოვბოდეს, არა გორული და ატენური, ყოვლისა სათხოვარისგან კელმოკსნილი გუიბოძებია. დაიწერა ზიტაკი ესე ქრწნსარნა: თუესა სეკდენბერსა: ბ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მუაჩუიდემეტესა. კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა იათორიძისა ვარსნი მესითა: (აქ ხელჩართული ხელის მოწერაა. ჩუენის აზრით უნდა იკითხებოდეს ხვეულში: „მეფე გიორგი“).

W

13. სიგელი ჯავახიანთა, 33,5 X 14 სანტ., დაწერილია ქალღმერთ მორგვალ მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ. სიგელი დაზიანებულია დროთა ვითარების გამო. თავში აკლია.

1463.... შეეუმან კონსტანტინე მან ხელმან ჩვენმან გულა-შარ<sup>1)</sup>, ესე წყალობის და სანთლოდ გასათაგებელი [სიგელი] დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერდგულთა და ჩვენსა ზედა მრავალ ფერად ჭირნახულთა ჯავახიშვილთა ზაქარიასსა, კახასსა და ზაზასს და შვილთა თქვენთა, ჯავახსს, ხოლასა თქვენსა შვილსა, მას ჟამს, ოდის ჭთისა გარეგანმან უუარეუარე ზატრანსა ბიძას ჩვენსა შეფესა გიორგის<sup>2)</sup> უღალატა და ჩვენსაცა დაღატსა და ავსა აზირებდა, ჭთმან მოგუარჩინა, წამოუგულთ და თქვენ დიდი ვალი და ნამსახური დაგუდეგით: გორისციხეს შემოგუეგით და დაგუამაგრეთ და ისრე დაჭირებულს ქუთათის ციხეს შეგუიდეგით და იჭიტა დიდი გუმსახურეთ. ჩვენ შეგიწყაღეთ და თქვენისა დიდისა ვალდებულობისა მუქაფად გიბოძეთ

1) ეს ხუთი სიტყვა მოყვანილია სიგელის პირში, ხოლო ნამდვილში, რომელიც ჩვენ ხელში გვაქვს, აკლია.

2) ვახუშტის ისტორიით კონსტანტინე III შვილი იყო გიორგი მეფისა, რომელსაც ყვარყვარემ უღალატა. ამ აზრს ემორწმება ბროსეც. წინეთ მატიაწეში კონსტანტინე ალექსანდრეს შვილათ ყოფილა მოხსენებული და ალექსანდრე ბაგრატიის შვილათ (იხილე ქართლის ცხოვრება ტ. II, გ. 7). ჩვენი გუჯარი, თუმცა არ იხსენიებს ვისი შვილია კონსტანტინე, მაგრამ ვახუშტის აზრს არ ამართლებს. სიტყვა „ბიძასა“ გუჯარში გარკვევით არის დაწერილი. მაშასადამე კონსტანტინე მესამე არ არის გიორგი მეფის შვილი, არამედ მისი ძმისწულია. კონსტანტინე მესამე დიმიტრის შვილია, ვახტანგ IV და გიორგი V ძმისა. ამ აზრს ამართლებს ავშანდაძის სიგელი, რომელიც ქვემოდ მოგვყავს და ქართლის ცხოვრების გაგრძელება, რომელიც, ვახტანგ მეექვსის ბრძანებით არის შედგენილი და შემდეგ შესწორებული (იხ. ჩვენი Описание рукописей Общ. грамотности т. II, стр. 124).

ცხირეთის გუერდი სრულად და გაერთებით, ხანდაკი და  
 რაცა ცხირეთის შესავალი არის სრულად და უკლებად, და ამას გა-  
 რეთ ქალაქის პირთა სოფელი თხილფანა მისითა შესავლითა.  
 ესე მამულნი გაბაშვილთა მკუიდრი იყო და თქუენ გაბაშვილთაგან  
 ნაშვილებნი იყუენით, სამართლადცა თქუენ ხუდებოდა და თქუენცა  
 თქუენითა ნება წადლითა, გულ-განწმენდით და ალაღად თქუენთუის  
 გუებოძებია და დაგუიმტკიცებია ცხირეთის გუერდი და ხან-  
 დიკი მისითა შესავლითა გაერთებით და სრულად, და თხილფ-  
 ნა მისითა მონასტრითა, ეკლესიითა, ციხითა, სსსხლითა, ჭურ-  
 მარნითა, გლეხებითა, ველითა, ვენაკითა, წელითა, წისქვილითა,  
 ჭაღითა, სათიბითა, ტუითა, სანადიროთა, შესავალ-გამოსავლითა,  
 სამზღურითა და მისითა სამართლიანითა ყუელათა უკლებად, თარხნად  
 და კელ-შეუფლად, როგუარაცა სხუათა თქუენთა მკუიდრთა მამულთა  
 მუთის კელი და შესაწერი არ შუვა, აგრე ცხირეთის გუერდსა ხან-  
 დაკთა და თხილფანს ჩუენი შესაწერი და სათხოვარი არა შუვიდეს და არა  
 ეთხოვოს, არა დიდი ულუფა, არა რიგის-ზური და კალოს-კაბიწი, არა  
 საჯინიბო და სახორსალარო, არა ზროხა-საკლავი და გოჭ-ქათამი,  
 არა საბაზიერო და სამებანჯრეო, არა ულაყი და საელნო, არა ცი-  
 ხისა და სხუა სამუშაო, რასაც სათხოვარი და გამოსადები ჰქუიან, მის-  
 გან უოფლისგანვე გუიზატებია და გუითარხნებია. გქონდეს და არას  
 ჟამის გამოცუელილობისათუის არ მოგუემადოს. ამისისა გათავების  
 თავსდებათ ჳთი და მისნი წმიდანი მოგუიციებია, და ჩუენსა ერთგუ-  
 ლობასა შიგა გაკმაროს ჳთმან. დაიწერა მტკიცე პიტაკი ესე ქნს:  
 რნდ: კელითა მდივან-მწიგნობრის თუმანის შვილის ზაქა-  
 რიასითა: შემდეგ სხვა ხელით: ზურაბას და ქუციას გარეთი მა-  
 თისთვინ შიხნასა მა.. (აქ ხელჩართული ხელის მოწერაა), საბაზის  
 ამათთა მამულთი გარეთი... (აქ სადაც მეორე ხელის მოწერა არის მეფი-  
 სა, ქალაღია ზეთ დაკრული სიმაგრისათვის და მით არის ხელის მოწერა.  
 დაფარული).

14. სასისხლო სიგელი ბაქრაძეთა, დაწერილი ყოფილა ტყავზედ.  
 ამ სიგელისა ჩვენ ორი პირი გვაქვს ხელში. ერთი ახალი ცნო-  
 ბილის ბერის ალექსი ბაქრაძის მიერ გადმოღებული. მეორე

უფრო ძველი მოიპოვება ბაქრადისეულ კრებულში № 131 და ბოლოს მინაწერიდან სჩანს, რომ სიგელი დაცული ყოფილა რაქაში სოფელ ჯიხუბანს აზნაურის ივანე ბაქრადის დათუაშვილის სახლში. ჩვენ ვხელმძღვანელობთ ორივე პირითა.

1501. ი ვ ნ ი ს ი ს 7. ძლიერისა დვთისა იესიან-სოლომონიან ჰატრონიან, დვთივ ამადლებულმან, დვთივ-დამყარებულმან, დვთივ გვირგვინოსანმან, ორისავე ტახტისა მპყრობელმან, ღიხთ იმერისა, ღიხთ ამერისა, ჩვენ შეფეთ შეფემან ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა ნ, აფხაზთა, სვანთა, კახთა, სომეხთა, ქართველთა, ჯიქთა და ალაღთა (sic), შაჰნ-შაჰე და შარვან-შაჰე. ნებიითა დვთისათა მოვიდენ ჩვენს წინაშე ერთგულებაზედ თავდადებულნი და ჩვენს მსახურებაზედ ბ ა ქ რ ა ძ ე ნ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ და დ ა ვ ი თ, მათნი შვილნი და მომავალნი უოველნი, და გვეაჯიხით და გიბოძეთ ესე ს ა ს ი ს ს ლ ო ს ი გ ე ღ ი: ძველათც საშატიო სიგელი გქონებოდათ, მაგრამ ჟამსა ამლილობისაგან წაკნდომოდათ. აწ შეგიწყალეთ და ესე სიგელი გიბოძეთ: ნუმცა ნუგინ იკადრებს უბრალო კაცის სახლის დაურჯას. ვინცა ეშმაკის მანქანებისაგან შენი გვარის კაცი მოჰკლას, სრული სისხლი ცხრასი ათასი კირმანეული თეთრი დაგიურჯოს, მას გარდა სამოცი ათასი თეთრი სანახშოთ დაგიურჯოს. ვინც წაგიღოს რამე, ნახევარი სისხლი დაგიურჯოს. ვინც ცოლი მოგი...ას ნახევარი სისხლი დაგიურჯოს. ვინც მართალს გრძნეულება გითხრას, ნახევარი სისხლი დაგიურჯოს. ვინც შენი გვარის ქალი დააგდოს, ნახევარი სისხლი დაგიურჯოს. ვინც უომრად შვილი გიცეს, მესამედა სისხლი დაგიურჯოს. ვინც ღარბაზს შეგაბეზროს, მეოთხედი სისხლი დაგიურჯოს. ვინც უმა ანუ სეფე-ქალი გიცეს, ოცდა ოთხი ათასი თეთრი დაგიურჯოს; ვინც სასაფლავო გაკიტებს, ას ორმოცი ათასი თეთრი დაგიურჯოს; ვინც ცეცხლი შემოგიღვას, ას ოთხმოცი ათასი თეთრი დაგიურჯოს; ვინც ჯოჯი გაკიტებს, ათი ათასი თეთრი დაგიურჯოს; ვინც მეჯი-ნიბე ანუ მწუქისი გიცეს, ოთხი ათასი თეთრი დაგიურჯოს; ვინც გერში სისხლი გაღინოს, ოცდა ოთხი ათასი თეთრი დაგიურჯოს. ხოლო სხვა რა გინდა რა თუ უშატიოება დაგემართოთ, ეს ჩვენგან მოტეხული სიგელი დაიდგით და ამასზედ დაგეურჯებოდესთ. აფხაზე-

თის კათოლიკოსო, ქუთაისის ქუთაიელი და წინამძღვარნო, მოძღვარნო, ოდიშის ჭეოინდელო, ბედიელო, მოქველო, ცაგერელო, ქართლის კათოლიკოსო, სმცხის მწვეერელო, დიაკონო, თქვენცა დაუმტკიცეთ. ჩვენო საყადნო, დადიანო და გურიელო, სმცხის სათბავო, კარისა ჩვენისა ვეზირნო, მსახურა-უხუცესო, ამირეჯიბო, ერისთავთა ერისთავო, ამილახორო, ამირათ ამირათ, მდივანო და სახლო უხუცესო, თქვენც დაუმტკიცეთ. სხვანო კარისა ჩვენისა მოხელენო, მეჯინიბეთ უხუცესო, მოლარეთ უხუცესო, ბოქაულთა უხუცესნო, მეღვინეთ უხუცესო, გამგეთა უხუცესო, ბაზიერთა უხუცესო, თქვენცა დაუმტკიცეთ. სხვანო კარისა ჩვენისა მოხელენო, მოლარე-შერიქიფენო, მეჯინიბენო, მეღვინენო და მზარეულნო, ბაზიერნო, შემწერეგო, შემსჭოვარე(?) და მეჩანგეო, მენაღარე და მედაბდაბეო, სხვანო ხარკისა და ღალის მკრეფეულნო, ძროხისა და საკლავისა მკრეფეულნო, ჰურის და ღვინის მკრეფეულნო; გოჭის და ქათმის მკრეფეულნო, თქვენც დაუმტკიცეთ, მცველნო და მამასახლისნო, კელის უფაულნო, დიდნო და მცირენო, თქვენც დაუმტკიცეთ. ქორონიკონს რ 3 თ. ივნისის 4.

15. განჩინება მეფის სვიმონ პირველისა მეკობრეთ მძებნელის განწესების და მეკობრეთა შესახებ, 36 X 15,5 სანტ., დაწერილია ქალღალღზე მორგვალო მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორორი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ. ზოგჯერ წერტილების შემდეგ პირდაპირი ხაზია ჩამოსმული: |. ასეთი ხაზი უმეტეს შემთხვევაში იქ იხმარება, სადაც ახალი სტრიქონი არის აზრით საჭირო. ეს მეფის განჩინება ძრიელ საყურადღებო წყაროა ქართლის სამართლისა.

1590. დ ვ ი ნ თ ბ ი ს თ ვ ი ს 18.. [ჩუენ] მეუეთ მეუემანს ს უ ი მ ე ო ნ <sup>1)</sup> უხუდაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა გიბძანებთ, ერთობილნო დ ი დ ო მ ს ა ზ ე დათნო, მტკუარ გამოღმართნო ვიდრე კ ე ვ ა მ დ ე,

<sup>1)</sup> ალექსი ბერს ეს ფრაზა ასე შეუცვლია: ვინც შენს მეუღლესთან მრუშობით შესტოეს.

<sup>2)</sup> აქამდის მქრალი წითელის მელნით არის ნაწერი.

ებისკომპონო, თავადნო, ახსნაურნო და გლეხნო, დიდნო და მცირე-  
 ნო, ვინგინდავინ ბძანების ჩუენისა მორჩილნი იუენეთი მერმე თქუ-  
 ენდა შეკობრას მძებნელად ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი გ ო შ ო ვ ა რ და  
 ლ ა რ ა ს ძ ე უ ა რ ა ი გ თ გამოგუიგზავნია, ასრე რომე ესე ჩუენგან  
 ნაბძანები და დანაწესები უფელივე ასრე ათავონ და სხვა, რაც ჩუენი  
 ნაბძანები არ იყოს, მის მეტი ძალი და უსამართლო არავის  
 უეონ, თავრემ ჩუენად შეცოდებად მოვჭკითხავთ. იცოდენ აგრევე,  
 რაც კაცი ჩუენს ნაბძანებზედ უარს ეტუეის მოკობრეთი (სიც) მძებ-  
 ნელსა და ანუ დაუმადავს რასმე, მასცა ჩუენად შეცოდებად  
 მოვჭკითხავთ. ვისცა სამრუშო საქმე ჰქონდეს, თავთავის ებისკო-  
 პოთან მივიდენ და მათ კარდაუწუეიტონ. ვისცა სისისხარი  
 საქმე ჰქონდეს, ჩუენს კარზედ მოვიდეს და რარიგაღცა კარისა  
 ჩუენისა სამართალი იყოს, ისრე კარდასწუეიტონ. ვისცა ჩუენის ორ-  
 დუსა <sup>1)</sup> რამ მოეპაროს, ის ქურდი ჩუენს კარზედ მოიუხანონ.  
 ვისცა გარის ციხის ადებსა წინათ რამ მოეპაროს, ის სამეუელად  
 აზღვევინონ: ერთი პატრონსა, ერთი და ნახევარი ჩუენ და ნახევარი  
 მეკობრეთ მძებნელსა. ვისცა სხუის(სიც) უმტეროს თემისა რამ მოეპაროს,  
 ის ხუთეულად აზღვევინონ: ორი პატრონსა, ორი ჩუენ და კრთი  
 მეკობრეთ მძებნელსა. ვისცა ჩუენის საბატონოსა რამ მოეპაროს, ის  
 შვიდეულად აზღვევინონ: ორი პატრონსა, ოთხი ჩუენ და ერთი მე-  
 კობრეთ მძებნელსა. ვინც კბილი ჩაგდებინოს, იმას უკეთეს სამასი  
 შუერი, საშუალს ორასი და უქუედაეს ასი შუერი აზღვევინონ. ვინც  
 ვის თავი გაუტეხოს, უკეთეს ასი შუერი, საშუალს სამოცი და უქუ-  
 ედაეს ორმოცი შუერი აზღვევინონ. ეს უფელივე ამრიგად ისაქმონ  
ქახოსროს ამას უპასუხებდა: „მე ცალქაღამისი ვერას დამაკლებდაო, მაგრამ ბატონის მოურავის სახლი გამიწერებოდა, ამისი უმანი გვერდს მოიყენაო და, რაც დამემართა, ვეკლავა ცალქაღამისის ქნილობით დამემართაო. ჭლადით(sic) ბატონის მოურავის კოშკშიცა და სსახლში ადგაო, და ჩემგან იქ უკაცრული იკადრებოდა რაო“.

კიდევ სარჩლავ ბატონის მოურავის: „ქაინოსრო მაგას შენგან არ მოველოდიო, რომე ეს ეველა უკაცრული მიუაფო; რაც დამემართა, ეველა შენისა ქნილობით დამემართათ. ბერუკა შვილისავით გაჰზარდეთ, და ორჯულ სამჯულ დაკარგულ მოვიუფანეთ; შვილურებ ეუერებდით. რა ეს შეიტყო ბერუკამაო, რამე ქაინოსროგ მოურავს მოურავად დაუჭირავსო, კარდამბრუნდა და ბატონს ლუასოსა ბოან ბეზდობა დამიწყო ამის გულისათვის, რომე ქაინოსროს დამოუკრებიხარო; თუ არა და ბერუკაზედა ბეგრის კარკის მეტი არა მიმიძლოდა რაო; და ესე თქო ბერუკამა, რომე ქაინოსროს გულისათვის დამკარგა და წამხდინათ. ამასედ ჩამამეკიდა ბერუკა და ჩემი მწუალთბული ბატონი გამიწერათა, და ამ ალაგიდამა ცოლითა და შვილითა დამკარგა, სასაფლათ და მონასტერი დამაკარგვინა, და რჯულიდამ შემცვალა; სახლი, კარი და საქონელი რაც ჰაზამათაგან და ან ჩვენი მოტეული იყო, ეველა წამიხდა და დამიფორაქეს, და ამოხრეს. თუ მე ქაინოსროს არ მივდგომოდი, ეს არც ერთი არ დამემართებოდაო. ბატონს დედა ჩემს უოველი კაცი იცნობთ, ფეხშიშველად, შვილითა, მოახლებითა, მოსამსახურებითა ღებთ-იმერით გარდამიდეს და დამიკარგეს. ბერუკა შვილივით გაზრდილი ხელიდამ გაუშვი და ქაინოსრო მოურავად დაგიჭირე. მერმე გამიწერა, და ბერუკას მიუდგა; და ეს ეველა უკაცრული და სიკვდილი და ამოწვეუტა ეველა ქაინოსროსაგან დამემართათ“.

ქაინოსრო ამას უპასუხებდა: „ამოროს ღმერთმან, ჩემის გული-სათვის არცარა დაგმარცხებია, არც ჩემი საქმობით წამხდარხარ, არც ჩემზედ თავზედ ავი რამ დაგმართებია; არც ბერუკას ჩემის თავისათვის უგმინარ, რაც (არც?) შენი მამული არ უკადეს და ამისთვის არ გიუფეს“.

ჩვენ ამისი ასრე გაფაჩინეთ: წადგეს ქაინოსრო თავიანთ თავის ათვითა, სამის შესახებულის უმტეროს მოურავის უადარის კაცითა და ოთხის შეუსახებულის გულითა და ასრე შეფიცოს: „ბატონო მოურავო, ამისმან მადღმან, ამისმან ძალმან და ამისმან განმაცხადებელმან ქრისტემან ღმერთმან, არც წამხდარა ჩემის მოუფრობის გულისათვის, არც არა ჩემს თავზედ შენ რამ ავი დაგმართებია და არცარა დაგმარცხებია, და ჩემის საქმითა და ქნილობით კურთხეულს

ბატონს თქვენს ძმას სიკვდილით არა დამარცხებია რა“. თუ დაიფიცოს, არა ზედა აც, და თუ ვერ დაიფიცოს, ან დაუდგას რვა კომლი გლეხი და ან მხარეთს ორმოცი თუმანი თეთრი.

კიდევ თავს იღვა ქაიხოსრო, რომე დასტურად მინდოვდა მხარეთური, ახალმწერი და სომხეთ ნახირი ჩემის ქნილობით წამოვასხიო. ჩვენ მოკითხული ვქენით და არც ნო სტესი სსსხლეს მიხდომდა და არც სოფლიდამ წამოესხა, მინდოვდა იყო წამოსხმული, მესამე დღეს წახდომდა ბატონის მოურავის ემანი, რაც ამითი ზირუტევი ქაიხოსროს წამოესხა და ხოვლეს მოესხა, ბატონის მოურავის ემთა თავისიღ წამოასხეს და ქაიხოსროს ემისაც თან გამოუტანებია. ჩვენ ამისი ასრე გაუჩინეთ: ზირუტელად ქაიხოსრო მოხდომდა და მინდოვდა სამი სოფლის ნახირი წამოესხა; რაც მამინ ქაიხოსროს ემის ზირუტევი ამითი ზირუტევეს გამოყოფოდეს, ჩაკვირობინებია, ამისთვის, რომე ზირუტელ ქაიხოსრო მიხდომდა და თავის ჭკუას აბრადას.

კიდევ ქაიხოსრო ამას ჩიოდა: „საქონლის წახდომასა და ზირუტევის წამოსხმას არა ვჩივო; მამიხდეს სსსხლემო; ცოლი და შვილი დამიდრიკეს, სსსხლე თავს დამაქციეს; თუ რამ ჩემი საბადულობა იყო, უგელაკა ჩემი სხლიდამ გამოიტანეს და დამიფორაკესო; ძლივ ცოლი და შვილი ფეხშიშეულა და დაცურციღნი გარდავებეწეო. წამამიღვა ცალქალამნიძე სსსიკვდილოდ, ღონ და თქვენმავე ბედნიერობამ მომარჩინა და ცოლი და შვილიც ძლივ გარდავებეწეო, და ფეხშიშეულა დაცურციღნი მესამეს დღეს ვერეს ვიპოვნეო. ამისთანა უკაცრული გამოთრევა და სიკვდილი ცალქალამნიძემ მიეო“.

ჩვენ ამისი ასრე გავჩინეთ, რომე ქაიხოსროს დიდი სირცხული და უკაცრული დამართებოდა ასეთის კაცის ხელითა, რომე იმ ხელის კაცის სხლის ისეთნი უკაცრული არ უნდა დაკადრებოდა, და ბატონმან მოურავმან სუკაცრავოდ ორმოცდა ათი თუმანი მხართოს, და რაც ქაიხოსროს სხლიდამ საქონელი გამოსულიყოს, რაც ქაიხოსროს ორმა შესხელებულმან მსხურებმან გამოიფიცოს, მისი საქონელიც მისცეს და არას ემართლებინ.

საჩხლა კიდევ ბატონმან მოურავმან: „რომე სსსოფლაოზედ მა-

მიხდეს, ერთაწმინდური ნახირი წასხესო და ეს ეველა უპატეობა და უკატრული ჩემს სსაფლასო და ჩემს მამულს უევეს“.

ქაიხოსრო ერთაწმინდის მიხდომისსა და ნახირის წამოსხმისსა-სა ამას უპასუხებდა: „ბედნიერი უაინც აქ ქართლს იყო, ბერუკაც აქ იყო და მისაგ აქ ეოფაში ნახირი წასხესო, და არცა რას იმის სქემს შუა ვარო, და ნახირიც ისევე უკლებლად შეაქცივესო“.

ჩვენ ამისი ასრე გავჩინეთ: ბერუკას დანაშაუბები სხვა ქაიხოსროსაფის არა გვიკითხავს რა, და არც ეს გვიკითხამს; ბერუკას ნაქმარი იყო და იმასვე ეკითხვის. კიდევ თემის ჰირილამ ქაიხოსროს შეკითხულობით მანაგადეს ორზირი ცხვარი ბატონის თ ა მ ა რ ი ს ა წამოესხა; რაც იმ ცხვარს დაჭკლებოდეს, ქაიხოსრო ისე შეაქციოს. ბატონის თამარის უკატრული სხვაც არის და მისი უკატრული ჰასუსხსა ერთ ჰირათ მოფასხენებთ. კიდევ ბატონი მოურავი ე ე ლ ი ს დარბევს ჩიოდა, რომე ჩემი ციხე და სიმაცრე ის იყო და ქაიხოსრო გამიტყესა და დამირბივასო.

ქაიხოსრო ამას უპასუხებდა: „გ ო რ ჯ ა ს ე ბერუკას ემა იყო. ეველეთ იმისი ცხენი ემართას; წავიდა გორგაძე და მისი ცხენი წამოიფანასო, სხვა არა შემაცოდებია რაო“. ბერუკას სქემე არცა რა სხვა გვიკითხამს: მისის ემის ნაქმარი იყო და მანვე იხადოს.

სარჩლა კიდევ ბატონმა მოურავმა, „რომე სხვას ნაწეენს არ დამაჯერასო ქაიხოსრო, ხუთი ჩემი მსახური და აზნაურშვილი დაბეზდა ბატონს თ ე ი მ უ რ ა ზ თ ა ნ ა, ერთი ცაღქლამნიძე, მერე ჩივადე მახარბელი, მერე შესამე ხოსიტა, მეოთხე ადოლას და შვილითა და მეხუთე ქვლივიძე მათია დააჭირვინა ცოლითა და შვილითა და დატუვევინა და რაც ებადა წავართმევინა“.

ქაიხოსრო ამას უპასუხებდა: „ამოროს დანა, არც ჩემი საქმობითა და არც ჩემი სიტუვითა მომსმინოს კაცის ჰირითა, ამ ჩუთს სამსახურსა და აზნაურისშვილსა არცა რა დამარცხებია, და არც მე დამიბეზლებია, და არც ჩემი საქმობით ისინი დაჭირულან, რაცა არ და შე ე ლ ი ს შ ე ი ლ მ ა რ დაიჭირასო და მისი საქმობითაც იქნასო; ავად ვიყავო, არდამლის შვილს დავეთხოვე, შინ გამომიშო; კავთისხევამდის თან გამამატანასო; კავთისხევს მოფასხიასო; იმ დამეს ეველანი თავის სხლში მივიდესო; დილას ჩ ი ვ ა ს ე მ კარგი სადი-

ღი მსჯამო, მე შინ წაველო. ისინი ჭულფანისშვილს მივაბარეო და იმან ბატონიან წასხზაო, სხვას ამათ საქმეში მე არასთერს შუას არა ვარო“.

ჩვენ ამისი ასრე გავაჩინეთ: მოკითხული ვქენია, და იმ მსახურებს არც არა სიკვდილითა სჭირდა და არცა რა განებიბარებიათ. წააუენოს ქაიხოსრო ექუსი მისი შესახელეკუსი მსახური: ორი ცალქალამნიძისთავის, და ოთხი იმ ოთხისთავის და შეაფიცოს, რომ არასთერ შუას არ უოფილიყოს; აუ დაიფიცეს არა ზედა აც, და თუ ვერ დაიფიცეს, ასი მარჩილი თარჯიმალად მიაართოს.

სარჩლას კიდევ ბატონმა მოურავმა: „რომე შვილისთავით ბერუკა გავზარდეო; ქაიხოსრო ბერუკას მოყვრობილამ გამეუარაო; ქალი მთხოვა და მივეცო, აწე ქაიხოსროს თავის შვილისთავის ცოლი უთხოვინა; სხვას სიკვდილს არ დამაჯერაო და დღეს ქალიც დამიგდო; ბევრი სბატონს გაცისშვილი სხვაც წავიდა ბედნიერის უეენტანა, დღესაც სრულ სბატონს ქაროუელთა გაცის შვილებიც იქ არიან; თუ უეენტან წასვლისა გულსთავის დამიგდო, ვისაც აქ ცოლი დანიშნული ყვანდაო. ისიც იქ გაუგზავნესო, უენტან წასვლის გულსთავის ქალი რატომ დამიგდო, ან ჩემი სხელი რატომ შეიღვაო, დღესაც ისევ უქმაროდ არისო“.

ქაიხოსრო ქალის გაცდებისს ამას უზასუხებდა: „რომე ღთმან ჩემმან გამიგონოს, რომ კანის ბატონის, ქარაველის ბატონისა და იმერლის ბატონისა ქალიც ჩემი შვილისთავის ვისმე მოეცაო, მაშინაც ბატონის მოურავის ქალი და მისი მოყვრობის მონატრეც ვიყავო, ერთხელ ბატონი ა დ ა ა ნ გ ი მოუგზავნეო; ქალი ვახოვეთო, და ესე უბრძანა, რომე ბატონს დედაჩემსა და შინ ვკითხავო და მის ზასუხს მოგასხენებო. გამოვიდა ხანიო და არა ზასუხი მომივიდაო. მერმე კიდევ ბატონი ალათანგი ბატონს თ ა მ ა რ ს მოუგზავნეო, და მართალი ზასუხი ვერცარა იქილამ კამოვიდეო. მერმე ერისთავთან წაველ, იმას შევეხვეწეო: მოურავს ქალსა ვსთხოვო და ამას გეხვეწები, ჩემი შვილისთავის ქალი მოაცემინო. ერისთავმან ასრე მიზასუხა: „ჩემს სიძეს შევეუკრებიო და აუ ის მოგცემსო, არც მე დაუშლიო და კიდევ მოვიჭირებო, რომ მოგცეს . იმ უთეროსის ქალისა გარდასწყდა და გაათხოვეს. ერთი ორი წელიწადი კამოვიდა და ჩემს

შვილს ქალი უთხოვე, და ჩივას მახარებელს შევეხვეწე და უთხარ: „არ ჩავ(სი) უფროსი არ იქნა და თუ სხვა უმცროსი ქალი ჰყავს, მეც უმცროსი შვილი მყავსო, და იმას მოსცესო და დიდათ წყალობად დაგიჩინო“. ჩივადემ აღარც ზასუხი მამიტანა და აღარც რამე მოვასხსენე: ეკებინ ჩემი მოფერობა აღარ ეპრიანებოდესო. მას უკან თუ ან ჩემთვის მოკეზაფნოს ვინმე და ან ებრძანოს რამე, მიბრძანოს და ზასუხს მოვასხსენებო“.

ბატონი მოურავი ამას უზასუხებდა: „ჩვენ შუა მოციქული ბატონი აღათანგი იყო, იმას კითხეთ, თუ ქალიც არ მიმეცესო და კიდევ არ დაგვმოფერებოდეთ და მართლად მისი მოფერობაც არა მდომოდესო, მაშინ კიდევ შევეცამეტყუენეთო. მას უკან კიდევ ჩივას ქე მახარე მოკეზაფნაო, რომე თქვენნი ქალი ჩემი შვილისათვის მომეცო და ჩემის უმის ზირითაც ასრე შეუთვალეთ, რომე ქალი მამიცემიაო და არც დაგიჩინაო. მე ასრე შემითვლია და, თუ ჩემს უმას არ უთქვამსო, ზასუხი იმან გასცესო“.

ქაიხოსრო ამას უზასუხებდა: „თუ მართალია ზასუხი შემეტყო, ნეტარ ღთისაგან მის უკეთესი რა დამემართებოდა, ბატონს მოურავს ათვისი ქალი ჩემის შვილისთვის მოეცაო“.

ამაზედ აღათანგი გავიკითხეთ, და აღათანგმაც ასე მოახსენა: „რომე უპირული ქართული ბატონს მოურავს ჩემთვის არ უბრძანებიაო რაო და არც მიუცემლობა უთქვამსო და არც ეს დაუბარებიაო, რომე მადლი კარდახდევინეთ“.

მერმე ჩივადე გავაკითხეთ და ქაიხოსროს ასრე უთხრა: „რომე შენს სხელში მოფელთ და ბატონის ჩემისა ეს ზასუხი მოგიტანეთ: თუ ბატონს ჩემს შენს უკეთესი ერთი მოფერე არ ჰყავსო და არც შენც მოფერე უჩვენიაო, და გუელ-მართლად ქაღსაც მოქცემსო და ერთი ურემი ზურიც მახუქეთ“.

კიდევ ქაიხოსრო ამას უზასუხებდა: „ზურიც მის ბარბაზედ მოკეცო, რომე მისი ათვა და მოფერობა მინდოდაო, მაგრამ ვერც წინათ და ვერც უკანით მართალი ზასუხი ვერა შევიტყუეთ რაო“. და ამისი აშარო თქვა.

ჩვენ მოკითხული ვქენით და ქაიხოსრო ბევრგან ცდალიყო და მართალი ზასუხი ვერ ემოვნა, არც იყო მადლი კარდახდილ და არც



ნიშნს შებმული და ვერც ასეთი კაცი ვიშოვეთ, რომ დასტურში დაეცა. ჩვენ ამისი ასე გავაჩინეთ: წადგეს ქაიხოსრო თავის თავითა და ასრე შეჭფიცოს, თუ: „ამისმან მადლმან, ამისმან ძაღმან და ამისმან განმაცხროველებმან ქრისტემან ღ'ან, ბატონო მოურავო, არც მოგიცია ჩემი შვილისათვის ქალი და არც დამაგდია, თუ არა, ზედა აც. და თუ ვერ დაიფიცოს, რაც მოურავის სახლის ქალის სისხლი უფილიყოს, ის ქაიხოსრო გარდინადაც.“

კიდევუ სარჩლა ბატონმა მოურავმან: „რომე ქაიხოსრო ჩემს წახდენას და მქისხილეთას ძალ მისცაო და არადეს არ მომისვენაო, მე მისის მოყვრობისათვის წამახდინაო, და ის ჩემის მტრობის გულისათვის წახდაო. ზურაბ ჩემი მოყვარე იყო. შეუდგა ზურაბს ქვეშეო და მოყვრობილამ გამოყარაო, ამის ქალი იახროვაო და ჩემი ქალი დამიგდო, ეს უველა უკაცრული და მტერობა მისგან მჭირს. რა მე ბედნიერის უაენილამ მოვედო და ეს უველა ავი ქაიხოსროსაგან მჭირდაო; იმას ასრე ეგონაო, რომე წახუხდენელს არ გაუშვებდაო, აიყარა და სურამისაკენ წავიდაო; მივსწივე ბ ი ძ ი ნ ა უკანა და ისრევე დავაბრუნე და ცოლითა და შვილითა მოვიყვანე და სრული სციციშილო ხელთ ჩაუგდე და მისი მამული განაღამც დაიჭირა; მისის ავკაცობის და მტერობის სახაცვლოდ კიდევ ასეთი მოყვრობა და კარგი კაცობა უყავ; აწე ქაიხოსროს თქვენ კითხეთ, თუ მე ამასედ რა დამიშავებია, რომ ჩემზედ ეს უველა მტერობა გამოჩინაო“.

ქაიხოსრო ამას უხასუხებდა: „აშორთს ღ'ან, ვერც მართლად ბატონი მოურავის ქალის მოცემა შემეტყოსო და არც ბატონს მოურავს ქალს დაუგდებლიო და არც დამეგდოსო, და თუ მართლად შემეტყოს, რომ ქალი მოეცა, არც მოურავის უკეთესი სხვა მდოა მოდა“.

ამ ორს აშორთზედ იფიცი გაუჩნდა. ეს ორი აშორთ ერთი იყო. თუ დაიფიცოს, არა ზედა აც, და თუ ვერ დაიფიცოს, რა რიკადაც გაკეჩინოს, სისხლი მისცეს.

კიდევუ სარჩლა ბატონმა მოურავმან: „ბატონი თ ე ი მ უ რ ა ს ქართლში ჩამოვიდაო და სურამს იდგაო; მე ბედნიერის უაენილამან წამოველო და ჩემს მამულში მოველო, ჯერ ეს არამ კაცმან არ იცოდაო, თუ ქარაველ ბატონის საუმოდ მოსუფიყავო, თუ ბედნიერის

ყენის საემოდ, ჩემს მამულში ვიყავო და არავისთვის რა შემეტოდ-  
დაო; წავიდა ქაიხოსრო და ფარსადანთან მივიდაო, რომე მოურავი  
თავის მამულში ნოსტეს მოსულაო; ლაშქარი მომეტაო, წავალ თავს  
დავესხამო და მოუვლავს არ გაუშვებო. ფ ა რ ს ა დ ა ნ ს ა მ ს ი კ ა ც ი  
გამოატანს და ჩემად სსიკვდილოდ წამოვიდა. ღთიც შეეწვეის  
ერთს ჩემს მოკეთეს კაცსა, მოვიდა და შემატუობინა, რომე ამს ღამ  
გულ-მართლად ქაიხოსრო თავს დაგესხმისო და მოგვლასო. ავდეკ  
გავეცალე და ხ ა ნ დ ა კ ს ჩამოველ და ღთნ და ყენის ბედნიერებამ  
მამარჩინა, და იმ ხანად ვეღარ მომვლა, ისთენი ერთა ავი და უკა-  
ცრაველი ქაიხოსროსკან მჭირდა, და ახლა სიკვდილს რადას მემარ-  
ალებოდა და ან ჩემს მამულში მოსვლისათვის რატომ მამკულემდა? “. .

ქაიხოსრო ამას უპასუხებდა: „აშოროს ღთნ, რასაც დროსა და  
ყამსაო ფ ა რ ს ა დ ა ნ თ ა ნ ლაშქრისათვის მივსულევიო, ან ბატონის  
მოურავის თავს დასხმა და სიკვდილი გამომერჩიოსო, და ან მისად  
სსიკვდილოდ წამოვსულევიო, თავადმც ღთის შემტოდე ვიქნებიო  
და მერმე სრულად ქართველთაც. ამასეად არ წამოველო, რომე რომ  
ჩემი დარჩომილი იყო, ზოგი დამემალაო და ზოგი წამომვლაო“ .

ქაიხოსრო ამასეად ხმალი გააგდო, რომე მაგისი მოპირე კაცი  
მოვიდეს, რომ მაგ საქმის მქნელი ვიყო, მოსამართლეა ერთმა-  
ნეთს ხმალი ვგრათო.

თუ ხმალი გაგვეჩინა, შუაზედ სისხლი იქნებოდა: ან ერთი  
მოკვდებოდა და ან მეორე. გავსინჯეთ, დაშლილი ქვეყანა იყო და  
შუაზედ არც არა ქნელიყო. ჩვენ ამისი ასე გავაჩინეთ: წადგეს  
ქაიხოსრო თვითონ თავისი თავითა, ორის შესახებებულის უმეტეროს  
კაცითა და ორის შეუსახებებულის კაცითა, ასრე შეჭფიცოს: „ბატო-  
ნო მოურავო, ამისმან მადლმან, ამისმან ძალმან, ამისმან განმაცხო-  
ველებემან ქრისტემან ღთმან, არც წამოვსულვარ შენად სსიკვდი-  
ლოდ, არც ფარსადანისათვის შენად თავს დასასხმელად ლაშქარი მი-  
თხროვინა“. თუ დაიფიცოს, არა ზედა აც, და თუ ვერ დაიფიცოს, ან  
დაუდვას ხუთი კომლი გლეხი და ან მიათვას ორმოცდა ათი თუმა-  
ნი იქ მისთვის. ამის მეტი ვერა გავაჩინეთ რა.

კიდევს სარჩლა ბატონმან მოურავმან: „რომე მე გავდებულე  
და დაკარგული ვიყავო; ერთი შვილი მეყვანდაო, ლეხთაშივერით

ტყვედ იყო, აზნაურისშვილნი, უმანი და მსახურნი დაცურცილნი, გაჭრატრებულნი და დატყვევებულნი შევანდეს. ადგა ქაიხოსრო და ბატონს თეიმურაზს კაცი მიუგზავნა, რომე მოურავისაგან ბევრი ძალი მჭირსო, ამას გეხვეწებო, რომე ბატონის მოურავის დედა გამობრჭო. ბატონმა თეიმურაზს ბატონს დედა-ჩემს მანუჩარ მიუგზავნა, რომე ქაიხოსრო თქვენის შვილისაგან ბევრსა ჩივისო და გაებრჭო. ბატონმან დედა-ჩემმან ასრე მოახსენა: „დასტურად ბევრსა ჩივისო, მაგრა ასრე გასული და ასრე გამხდარი ჩემგან მაგისი ბრჭობა როგორ იქნებისო და თქვენი რა საკადრისი საქმე არისო, რომე ამ დროთ დედაკაცი ლაშქარში სბრჭოდ ურჩივეს, რომე იუ არ გაებრჭოსო, ხელთ მივეცეთო და, როგორც ერჩინეთს, მისი საქმე იმ რიგად გარდუწვეიტოსო“. დ'თიმც შეწვევის ბატონს მიტროპოლიტს, შეკრმაზანს და ნოდარს, აღარ დანებეს, რომე ეგ როგორ იქნებისო, ახლა ერთი საბატო დედაკაცი დაგვეჭიროსო და სატოდ ხელთ მიგვეცესო; ამასუდ დაიშალეს და აღარ მისცესო. ეს უველა უკაცრაული და სიკვდილი მჭირდა ქაიხოსროსაგან, იმას არ დამაჯურა, კიდევ ეს საქმე მიყო. დ'თმან იცოდეს, არც ახლა გავებრჭობოდი და არც მოფიგებოდი, მაგრა თუ ბატონს დედაჩემსუდ ტაროსი იზოგა, ვინ იცის, საბოლოოდ საქმე რა რიგად მოხდების, და ახლა მისთვის გავებრჭო, რომე საბოლოოდ ჩემთ შვილთ საყარდაშო საქმე აღარ დარჩომოდაო“.

ქაიხოსრო ამას უზასუხებდა: „ამოროს დ'თმან, არც ბატონის თეიმურაზის თვინ კაცი მამიგზავნისა, რომე ბატონს თამარ გამარბრჭო, და არც მაშინ მაგ საქმეში კავრუეჯარო“.

ჩვენ ამის ასე გაფაჩინეთ: წააყენოს ქაიხოსრო თავისი უფრცხი შვილი და ასრე შეაფიცოს: „ბატონო მოურავო, ამისმან მადღმან, ამისმან ძაღმან და ამისმან გამაცხთველებემან ქრისტემან დ'თნ, არც მომიხსენებია ბატონის თეიმურაზისათვის ბატონის დედი თქვენის გაბრჭობა, არც მიმიგზავნია კაცი“. თუ დაიფიცოს, არა ზედა აც, და თუ გერ დაიფიცოს, ბატონის თამარის ცხვარიც წამოესხმევენა, იქიც უკაცრაული ეკადრებინა და იმისათვის ან დაუდვას ერთი კომლი ცლეხი და ან მთართოს ორასი მარჩილი, რომ უკაცრაული უკადრებინა. კიდევ რაც ბატონის მოურავის უმათ გამოიფიცოს, რომ ქაი-

ხოსროს და მის უმათა ხელთ იყოს, ბერუკას უმის გარდასად, ის საქონელი და ჰირუტევი მისცენ.

კიდევ ცალქალაშნიძე და ოთხი მოურავის მსახური ამას სარხლობდეს, რომე დაგვაბეზლა და მის ენით წაკვანდინა და ისთენი საქონელი წავგინდა.

ამაზედ ფიცი გავვიჩენია: თუ ქაიხოსრო თავისი უმანი შეიფიცოს, არა ზედა აც, და თუ ვერ იფიცონ, რაც წახდომოდეს მოურავის აზნაურისშვილისა და მსახურისა და გამოიფიცოს, ნახევარი უხდოს და ნახევარი ჩაკვირონებია ამისთვის, რომე მის ხელთ არ არის რა. დ'თმან უწოდდეს, რაც ჩვენის ხელიდამ და გონებიდამ იქნებოდა, მოკიტირვეთ და ვეცადენით და ამის მეტი ვერა გავანინით რა. დაიწერა განახენი ესე ქვს ტ<sup>ტ</sup>, აპრილის იე. ს ვ ი მ ო ნ (ჩართული).

**42.** გაერთიანების პირობა ჯავახიშვილის ზაქარიასი, იესესი და ბატონის მოურავისა. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში.

1624. ნებითა და შეწეებითა დვთისითა ესე წიგნი და პირი მოგარავით ჩვენ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ თ ა ზ ა ქ ა რ ი ა მ და ი ე ს ე მ თქვენ ბატონს მ ო უ რ ა ვ ს ა, ასრე რომე ჩვენი სახლი და თქვენი სახლი მისთა დღეშიც ერთი ყოფილიყო, და ვითაც სამი დღეცოდ ერთნი ვყოფილვართ, დღეს კიდევ უფრო ერთნი შევიქენით, ამად რომე ჩვენი სამკვიდრო თ ა ვ ა მისთა დღეში ჩვენი ყოფილიყო და მერმე ბედნიერის ეყენისაგან არ წავკრთმოდა და ისრევ ჩვენი იყო და შ ა ღ ვ ა შ ვ ი ლ ი შ ე რ მ ა ზ ა ნ თავის ძმებისა და სახლისა გაურდილი იყო, და ჩვენი შემოყრილი იყო და სოფელმან მისი წესი არ დაიშალა და მოკვდა, და იმის მამულიცა, რა რიგათაც ჩვენი სამკვიდრო, ისრე ჩვენ დაკურჩა. ესეები თქვენ მოგარავით და დაკანებეთ, ამისთვის რომე ერთმანეთის ზასუხი და ვადის დადება შეკვეძლო, და ამისთვის გავერთდით, რომე მისთა დღეში ერთნი ვყოფილვიყვენით. დ'თნ გავითარს და გიბედნიეროს, რა რიგადაც შენი მკვიდრი მამული არის, ჩვენი მამული რომ თქვენთვის მოკვიროთმეფიას

აზნაურშვილი აბუღვარდის შვილი მისის სასახლითა და ათის კომლის კაცითა, შოთაშვილები თაყა სასახლითა და ოთხის კომლის კაცითა და ოთხის საკომითა, ბეჟანიანი იესის შვილები ნასუ(ი)და სასახლითა და ოთხის კომლის კაცითა, გიორგის შვილები სასახლითა და ხუთის კომლის კაცითა, იორამის შვილები ბეჟია სასახლითა, ორის კომლის კაცითა და ორის საკომითა, გლეხები სკრას, ორი კომლი კაცი, სახუტა და ჰაჰანა მისის მამულითა, სამსონაური მამული, თებულაური მამული, ნახევარი სასახლე მისის ქვევრებითა, ზვრის ნახევარი და ხოდაბუნები, ხოვლეს ერთი კომლი კაკნიაშვილი მისის მამულითა და სასახლე, ზეს სასახლე მის მარნითა და წამალაშვილი ლუჯაურის მამულითა, ფიცეს ტატუაშვილები მათის მამულითა და სახსო ხოდაბუნები, საყავრეს მაგანაშვილები, ვარდანაშვილი მისის მამულითა და ირემი გაწირაურის მამულითა და სასახლე მისის ქვევრითა და ხოდაბუნითა, ზაკვეს დევალიძენა დიშაშვილი და ბახტაძე მათის მამულითა და ტაველიშვილის მამული, და ჩვენი სახსო ყანობიერი, ქვენადრის სახსო ციხე და სასახლე მისის ქვევრითა და გარკუმბითა, და უსური ჩემ წილად ნახდომი; რკონს ორი დუღასძე, ორი რთველიშვილი და ერთი ერთგულა მათის მამულითა, წოდოტე მათის სვიმონა, მეღია და ხიმშია მათის მამულითა და გარკლას ნახევარი. ამისი მონაშე და შეადამხდომნი არაან ერისთავი ბატონი იესე, ხერხაულასძე(სი) ბეჟან და აბაშისძე დონანა და ციცი შვილი ჰაჰუნა. დაიწერა წიგნი ესე ქვსტიბ, □ + □ + ხოვლეს ფირთლათი ზუარი სახსოდა □.

43. სიგელი მეფისა თეიმურაზ I-სა. ამ ამ სიგლის ჩვენ მარტო პირი გვაქვს, თავი აკლია.

1630. ...ცხირეთი ჯაგასიშვილის ჰაატას სამკვიდრო ფოთალიყო და ჩვენი გვიბოძებია მართლის სამართლიანის სამიძვრითა და საქმითა, ეთველითურთ უკლებრად და ხელ შეუვლად,

თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია, და ნურა კაცი ნუ შეეცდებით, ქსნ ტ ი ს<sup>1</sup>. თეიმურაზ (ხართული).

**44.** სიგელი ჯავახიანთა როსტომ მეფისა, 35,5X20,3 სანტ., დაწერილია ქალაღზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილი. სიგელს თავი მოცილებული აქვს და ცოტა დაზიანებულია.

1641. თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს 24. ნებითა და შეწევნით დ<sup>1</sup>თითათა ჩუენ მეფეთ მეფე მან, ჰ ა ტ რ ა ნ მ ა ნ რ ა ს ტ ო მ, და თანამეცხედარემ ჩუენმან, დედოფალთა დედოფალმან, ჰ ა ტ რ ა ნ მ ა ნ მ ა რ ი ა მ ესე ამიერთ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა სამეუდროთ და საბოლოოთ გასთავებელი, შეუშლელი და შეუცვლებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყაღეთ და გიბოძეთ თქუენ ჩუენსა ერდგულსა და წესისუერ ერდგულობით და თავდადებით მრავალ-ჯერად ვაღდეუღეთა და ნამსახურთა ემათა კარის ჩუენის მღვანბეკს ჯავახი შვილთა რ ა ი ს და ..<sup>1</sup>) თქვენთა ი ე ს ე ს და ჩამომავალთა სახლის თქუენისთა ყოველთავე, მას ჟამსა ოდეს მოგიუდგეთ კარსა და სამართლიანს თქუენის მამისა და მამისა და ბიძაშვილების მეუდრსა და კერძს მამულების წიგნების გახლებას და გუიანჯენით, ჩუენცა ვიგუღეთ და ვიგუღეს მოდგინეთ და მოგიითხული ვქენით და უცხოფერის ჩუენთა მამა მამათა და ჩამომავალთ კელმწიფეზედა დიდ(ა)თ ვაღდეუღენი და ნამსახურნი ყოფილიყვნეს თქუენის სახლის კაცნი და მამა-მამანი, და გ ო რ ი ს ც ი ხ ე შ ი რომე ვიყავით და ქართველნი უკუ გუიდეგეს და კახს ბატონს მიუვიდეს, მაშინ უცხოფერს კარგად გუიერდგუღეთ, და ჩუენს ერდგულობას და სამსახურს ქაღლი მიეცით ყოველის ჩუენთა დარბაისელთაგან ნამეტნავათ. ჩუენცა თქუენის ერდგულობისად ნამსახურობის სამუქაფოთ შეგიწყაღეთ და დაგიმეუდრეთ საბოლოოთ სამართლიანი თქუენთა მამა-მამ(ა)თა და ბიძაშვილების სამეუადრო მამული, რისც მქონებულნი ყოფილიყვნენ მათასა და ბარსა უნაკლელოთ, ყოველის კაცისაგან უცდილებათ, ასუ

<sup>1</sup>) აქ დედანში ნახევარი სტრიქონი ამოკრილია.

დღეს რისც მქონებელნი თქვენ და თქვენი ძმა და შუილნი იუფნეთ, წყლითა და წისქვილითა, ველითა და ვენაკითა, სხნ(ა)ვითა და უხნ(ა)ვითა, ნასუილითა და უსუილითა, სძებრითა და უძებრითა, შენი-თა და ოკრითა, ვიდრე მთით ბარამდე უნ(ა)კლულო, თუ თქვენ ჩუენზედ არა სტუუოთ რა, ჩუენ თქვენზედ არა ვსტუუოთ რა, რის(ა)ც მამულის მქონებელნი იუფნეთ, რაც არ მოგიმატოთ, არ დაგაკლოთ რა, გაუკითხვ(ა)დ არ შეგიბეზლოთ და, თუ თქვენი თავი შემოგვაბეზლოს ვინმე, გაგიკითხოთ და არც სჯის კარი დაგიჭიროთ, ოღუმც (სიც) სამსახურსა და ერდგულობას მოიჭიროთ, თუ რამ თქვენი მამული გ(ა)კლდეს, ისიც გიბოძოთ ჭითითა და ეუენის ბედნიერობითა. გაქონდეს(სიც) და გიბედნიეროს ჭთიმან ჩუენსა ერდგულათ სამსახურსა შიგან. აროდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არც შემდგომად სხუათა მეფეთა და მეხატრონეთაგან, და ვინ (ი)ცის ამ თქვენის მამულები წიგნი აქონდეს(სიც) ვისმე, ანუ ამას წინანდელი და ანუ ამას უკანდელი, წიგნითა და ამით გაკუიტუდებია, მტკიცე და უცვლელი ოღენი ესე არის. აწე მოგახსენებთ, კარისა ჩუენისა ვეჭილვეზირნო და მდივანო, დღეს ვინ გინდა ვინ იუოთ და ანუ დღევინ წადმა ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ, მერმე ესე ჩუენგან ბოძებული მათის ს(ა)მკუიდროს მამულის წიგნი და სიგელი თქვენცა ასრე დაუმკუიდრეთ და დაუმტკიცეთ, რომე რა რიგადც ამა სიგელსა შიგან ეწეროს, და ნურადეს ნურას მოუშლით და შეცლიებით, თუინიერ თანდგომისა და შეწევისგან კიდე. დაწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქსნა: ტ კ თ: თებერვალსა: კ დ: ეელითა მდივან-მწიგნობარისა ეორო-დანაშუილის მერ(ა)ბისთა. ესე ასრე გაუთავდეს. რ ო ს ტ ო მ . მ ა რ ი ა მ (ხართულები.)

**45.** სიგელი ოსტომ მეფისა მიცემული დიდმის წმიდი გიორგის დეკანოზის ათანელისადმი 42X17 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქლზე შავის მელნით. ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. თავში სპარსული წარწერა აქვს.

1641. ქ- ნებითა და შეწევნიათა და თასათა ჩუენ მეფეთა მეფემან, კელმწიფემან, ჰატრონმან რ ო ს ტ ო მ და თანა მეტხედრემან ჩუენმან

დედოფალთ დედოფალმან ჰატრონმან მარიაჲ ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შევიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩუენსა ერთგულსა და ნამსახურსა ემსა, დიდმელს წმიდის გიორგის დეკანოზს ათანელსა, შვილსა შენსა დავითს, ელიაზარს, გედეოანს(sic), იოვანეს, გიორგის და სახლის მთავალთა თქუენისათა უოფელთაჲ მას ჟამსა, ოდეს მოკუიდეგით კარსა და ცხოვეთაჲ უღის შენისაჲ საყდრის სასახლეს გუაჲჲენით, ვისმინეთ აჲა და მოხსენება შენი და მოკითხული გიუფით და დავით მეფის სიგელიც გინსეთ, და ჩუენც სიგლითა ამით დეკანოზობა და ცხოვეთაჲ შვილის სასახლე დაგმტკიცეთ უოფლის კაცისკან უცილებლად. გქონდეს და გიბედნიეროს დმერთმან ჩუენსა ერთგულად სამსახურის შინა, და აროდეს არ მოკუშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა მეჰატრონეთკან. აწე გიბძანებთ კარისა ჩუენისა ვეჟილ-ვეზირსა და სხუანთ მოსაქმენთ, დიდმის მოურავნთ და მოკელენთ, თქუენც ასრე გაუთავეთ და ნურადდეს ნუ მოუშლით და შეუცილებით. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქვს: ტკთ: კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თუ მანი შვილის ბირთველი ისი ა. როსტომ (ჩართულათ).

ვანის აზიანზე: ქ: ჩუენ მეუეთ მეუე ჰატრონი თეიმურაზს გამტკიცებთ სითარხნესა და აზატობასა ამას თიბათვის კვ ქვს: უღზ: □.

ჩუენც ამ რიგათ ვამტკიცებთ თიბათვის ბ, ქვს უღტ, რაგვართაც ბატონს მამაჩუენს წყალობა უქნია და სიგლითა ამით და უმტკიცებთ ისე ირაკლი.

მეორე გვარზე: ქ: ჩუენ საქარაუფლოს და კახეთისა დედოფალთ დედოფალი დადიანის ასული ჰატრონი დარეჲან ამ ბატონების წყალობის სიგელსა ვამტკიცებთ, იანვრის იტ, ქვს უღდ დარეჲანი.

ქ. ჩუენ ბატონიშვილი გიორგი ამ ბატონების ბძანების თანა-მოწამე ვარ, იანვრის იდ, ქვს უღდ მეფის მე გიორგი.

ქ ჩუენ ბატონიშვილი ლეონ ამ ბატონების ბძანების თანა-მოწამე ვართ, იანვრის იტ, ქვს უღდ მეფის მე ლეონ.



46. სითარხნის წიგნი როინ ჯავახიშვილისა მეფე როსტომის სა-  
დღეგრძელოდ გაცემული, 22×17,4 სანტ., დაწერილია ქა-  
ლალზე მორგვალ მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება  
ზოგჯერ ორ-ორი და ზოგჯერ სამ-სამი წერტილი.

1642, იანვრის 8. ქ- ესე წყალობისა და სითარხნისა წიგნი  
და ნიშანი გიბოძეთ ჩუენ, ჯავახიშვილმან, დივანბეგმან, ჰა-  
ტრანმან როინ, შენ ახანოელს ნასყიდასა ასრე და ამა ჰიქსა  
სუდან, რომე კელმწიფემან ჰატრანმან როსტომ უკრას ნადი-  
რობა მოიპრიანა და წელწდის ავის მესამეს დღეს ინადირა, და მომ-  
კრემ ცხენი შემოაძგერა, და მისი მტერა ავად ჯაკდა, და მკარ-ბეჭი  
იტკინა. აწე იმათად სადღეგრძელოდ და გასამარჯუებლად ასრე გა-  
თარხნე ნათლისდების მესამეს დღეს და გასატე, რომე არაფერი სა-  
ჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არ გეთხოვბოდეს რა და არც კარ-  
ზედ კაცი მოგიყენოთ, და უოელს წელიწადს ნათლისდების დღეს  
საღმთოდ საკლავს დაჭკლევედე და მეფის როსტომის სადღეგრძე-  
ლოდ უამს აწირვინებდე ორს მდრდელსა, და სადამდისინ შენ და შე-  
ნის სახლის კაცი იქნებოდეთ, როსტომ მეფე ლოცუთ და ადი-  
დეთ, ქქსა: ტღ: იანვარს: ს: და საურსაც შენ მაგიერად ჩუენ გა-  
მოვიღებდეთ. როსტომ. მარიამ (ჩართულები). [როინ].

47. სიგელი როსტომ მეფისა, 16,5×14 სანტ., დაწერილია ქა-  
ლალზე მორგვალ მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება  
თითოეულის სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილი.

1643. ქ- ს ა მ დ ე რ ე თ ს და ა ხ ლ შ ე ნ ს და ლ ო რ ი ს-  
თ ა ვ ს ს ა ა კ ა ძ ი ს გ ო დ ე რ ძ ი ს და შ ე რ მ ა ზ ა ნ ი ს მ ა მ ა ს  
შ ი ო ა შ ს მ ის ის გ ა ნ ა ყ ო ფ ის ბ უ ა ს ა ნ ი ს მ ა მ ის გ ა ნ რ ა ც წ ი ლ ი მ ი ხ უ-  
დ ო მ ო დ ე ს, ა ნ უ ს ა ს ა ხ ლ ე ს შ ი გ ა ნ და ა ნ ზ უ რ ე ბ ის გ ა ნ, და ა ნ უ ხ ო დ ა ბ უ-  
ნ ე ბ ის გ ა ნ, და ა ხ ლ ა ბ უ ა ს ა ნ ს და მ ის თ ა შ ე დ ი თ ნ ა ძ ა ლ ა დ ე ვ ა დ ქ ო ნ დ ე ს  
რ ა მ ე, წ ი ლ ა თ ნ ა ხ უ დ ო მ ი ი ს რ ე ვ ე უ ო ფ ლ ის კ ა ც ის გ ა ნ უ ც ი ლ ე ბ ლ ა თ და ს ა-  
ბ ო ლ ა ვ ო თ შ ე რ მ ა ზ ა ნ ი ს ა და ვ ო დ ე რ ძ ი ს შ უ ი ლ ის თ უ ი ს გ უ ი ბ ო ძ ე ბ ი ა  
ს ა მ ა რ ა ლ ი ა ნ ი: ქ ქ ს: ტ ლ ა: როსტომ (ხელჩართულათ).

48 სიგელი როსტომ მეფისა, 50,5 X 20 სანტ., დაწერილია ქალღმერთზე მორგვალ მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი.

1643, მარტის 12. ქ: ნებიასა და შეწვენიასა ღთისთაა ჩუენ მეფეჲს, კელმწიფეჲს, ჰატრონმან როსტომ, და აან. მეცხედრე მან ჩუენმან დედოფალთ დედოფალმან, ჰატრონმან მარიაჲ, ესე საბოლოოთ გასათაგებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეკრწაღეთ და გიბოძეთ თქუეხ, ჩუენსა ერთგულთა და წესისებრივსა ნამსახურთა ემათა, ბარათა შვილსთა მამას და შვილთა თქუენთა სიამოვნის და იესეს და დავითს და ჩამომავლთა სახლისა თქუენისთა ყოველთავე მას ჟამსა, ოდეს მოკუდეგით კარსა და მამულის წყალობას დაგუიჰქონით და ჩუენცა ვისმინეთ ჰჳა და მოხსენება თქუენი და შეკრწაღეთ და გიბოძეთ დოროსთაჲს სამართლიანსა ს(ა)კ(ა)ძ(ა)ს ბეჟანის კერძი მამული გოდერძისა და შეკრწაღეთ მის კერძს გარეთად სრულობით და უკლებ(ა)დ წყალობით, წისქვილითა, ველითა და ვენაკითა, სახსავითა, ნასყიდითა და უსყიდითა, შენითა და ოკრითა, საძებრითა და უძებრითა, ვიდრე მთითა ბარამდე უნაკლულთ, ყოფლის კაცისკან უცილებლათ და შემოუსარჩლებლათ, მისის სამართლიანის საქმითა და სამზღდურითა, ჯალდამის ნასოფლარისა და მანდურისა. გქონდეს და გიბედნიეროს ღთს ჩუენსა ერთგულთ სამსახურსა შიგან. აწე მოგახსენებთ კარისა ჩუენისა ვეჭილ-გეზირნო და მდივანო, დღეს, ვინ-გინდა-ვინ იყოთ და ანუ დღეის წაღმა ვინ-გინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე ესე ჩუენსან ბოძებულნი მამულსა წიგნი და სიგელი თქუენ(ც)ასრე დაუმეუიდრეთ და დაუმტკიცეთ, რომე რა რიგადაც ამა ჩუენსან ბოძებულს სიგელსა შიგან სწერია, და ნუროდეს ნურას მოუშლით და შეეცდებიან, აუინიერ თანა-დგომასა და შეწვენიასკან კიდე დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქჳს: ტლა, მარტს: იბ: კელითა მდივან-მწიგნობრისა ყო რდან(ა)შვილის შეკრ(ა)ბისათა □. (ბეჟელს აწერია: ყაენის ფხთა მტვერი როსტომ მეფე ვამტკიცებ). მარიაჲ (ხელჩართულათ).

**49.** სიგელი როსტომ მეფისა. ამ სიგლისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს.

1643. ნებიითა და შეწვენითა ღვთისათა ჩვენ შეფეთ შეფემან, კელმწიფემან, ჰატრონმან როსტომ და თანამეტხედრემან ჩვენმან, დედოფალთ დედოფალმან, ჰატრონმან მარიაშ კსე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წუალობის წიგნი და ნიშანი შეგიწუაღეთ და გიბოძეთ თქვენს, ჩვენსა ერთგულსა და წესისამებრ მრავალფერად თავ-ღმდებით ნამსახურთა უმისა, სააკაკიქსა მოურავის შვილს თარხანს, იორამს და შვილთა გიორგიის და მამაკალთა სახლისა თქვენისათა ეოკელთავე მას ჟამსა, ოდეს შენი განაყოფი ივანე ჩვენს დალატში გაერია და გადაიხვეწა, მოგვადეგი კარსა და იმის მამულისა საქმე გაგვასინჯვინეთ, მოკითხული გიყავით და თქვენი მამა-პაპათ საკერძო მამული ჰქონებოდა და ამისი მოწამეტა ბეფრი გეგანდათ, რომე ხადაქ(sic) გიდეგეტა ცილებოღით. აწე შეგიწუაღეთ და გიბოძეთ თქვენი სამეფიდრო მამული ხანდის ხანვილაქ დემურჩა, გვედრეთს უხმარაქ ღვთისია და ღუწეს თქვენს მამულსედ რომე გოგია, სახლობს, ესეები მათის მართლის სამართლიანის □ საქმითა და სამდღვრითა, მთიითა, ბარითა, წელითა და წისქვილითა, ველითა და ვენახითა, შენითა და ოხერითა, უფვლითურთ თქვენთვის გვიბოძებია სამეფიდროთ და საბოლოოდ. გქონდეს და გიბედნიეროს ღონ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან... დაწერა ბასნება და ნიშანი ესე ქვს ტლა, კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანი შვილის ბირთველისათა. როსტომ. მარტომ (ხართულები).

**50.** სიგელი როსტომ მეფისა. ამ სიგლისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს.

1643. ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წუალობის და საჯილდო წიგნი და ნიშანი შეგიწუაღეთ და გიბოძეთ თქვენს, ჩვენთა ერთგულთა და მრავალფერად თავდალებით წესისებრივ ნამ-

სახურთა ეშათა, ჯაგახიშვილს ფარეშა უზუტესს ზაატას, ძმას შენსა ქახოსროს, შვილთა შენთა ზურაბს, ჯაგახს და მამაკალთა საბღისა თქვენისათა ეოველთავე მას უშთა, ოდეს მოგვიდექით კარსა და მამულის წყალობას გვირჯენით, ვითაც არაკვის ერისთავს ზაალ და ციციშვილი ნოდარ უეუგვიდგნენ. კახს იატონს, ეს ქმნეს, შეიფარნეს და არაკვსედ მიკუბებია გაბედეს, და კახი ბატონი უნდოდა ქართლში შემოეყვანათ და გაებატონებინათ, ნოდარ მოსუდიეთ და თავისი მოსამართლენი ჩხეიძეები გვერდ იახლა, და ხოვლეს თქვენს მამულში ჩამომხდარიუყვნენ და თქვენთვიანც საქმობა დაეწყოთ, რომე ბატონს თეიმურაზს გაებატონებას უზირებთ და შემოგვეყარენითო. აქ ჩვენ ქალაქიდაშე შინაც ემის ჯარით წამოვედით, თქვენ წინ მოგვეგებენით, მიგვიძღვით, გავვემარჯვა და შევარცხვინეთ, და ჩხეიძე ხუცია ჩამოგებდო, ხელთ დატენარჩუნა და უოვლის კაცისკან უწინ მოგვეკუბედ. აწე მართლა მოკითხული გიუფით და (ი)ის ციხე და აკვეთი თაგათ თქვენი სამკვიდრო მამული იეთ და მერსე საჯილდოდ გიბოძეთ ამ ორისავ სოფლის ნახევარი უოვლითურთ მართლის სამართლიანის საქმიითა და სამსდგროთა, შათ ბარამდისინ თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია სამკვიდროდ და სობლოდ. გქონდეს და გიბედნიეროს დთნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომთა სხვათა შენატროსეთაგან. აწე გიბიძნებთ კარისა ჩვენის ვეკილ-ფეზიარნო და სხვანო მოსაქმენო, გინცა ვინ იქნებოდეთ, თქვენცა ასრე დაუმტკაცეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეეცდებით, თვინიერ შეწვენისა და თანადგომისკან კიდე. დიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქვს ტლა, კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის ბირთველი სითა. მცფე როსტომ □.

51. სიგელი როსტომ მეფისა, 39X25 სანტ., დაწერილია ქალაღლზე მორგვალო მხედრულის ხელით. ნიშნებათ იზმარება სამსამი წერტილი. თავში სპარსული წარწერა აქვს.

1651. ქ. ნებიასა და შეწევნითა ღვთისათა ჩუენ მეფეთ მეფემან კელმწიფემან, ჰატრონმან როსტომ და თანამცხედრემან ჩუენმან, ჰატრონმან, დედოფალთ დედოფალმან მარია, პირმშომან და სსურველმან ძემან ჩუენმან ჰატრონმან ლუარსაბ ესე მტკიცე და უცვალებელი სამკვიდრო და სამოლო წიგნი და ნიშანი შეგიწუაღეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და წესისებრივ მრავალჟერად თავდადებითა ნამსახურსა ემასა ჯავახიშვილს, ფარეშის უხუცეს ჰატასა, ძმასა თქუენსა ქაიხოსროს, შვილთა ზურაბს, ჯავახისა, კარბიელს, შკალთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე მას უამსა, ოდეს მთკუიდეგით კარსა და თქუენის სამკვიდროს წოდოღეთ ის წუალობას გუიჯვინთ, ჩუენცა ვიგულებთ და ვიგულსმოდგინეთ, ვისმანეთ აჯა და მახსენება თქუენი, შეგიწუაღეთ და გიბოძეთ წოდოღეთ თქუენი საკერძო სამკვიდრო მამული, არდაზდიანდიშვილის მისეიღულათა, რისაც მქონებულნი ყოფილიყუნეთ, ყოფლითურთ, მკურვალნი და კულთაშვილიც თქუენი მკვიდრი იყო, მაგრამ ამ კელად ვერ გიბოძეთ, და ამას კარდაისად გასუიდუჯი და გაუსეიდუჯი შათათა, ბართათა, წულიათა, წისქვილიათა, ველიათა და ვენაკიათა, შენითა და ოკერთათა, შესავლიათა და გამოსავლიათა, საკმრითა და უკმრითა, საძებრითა და უძებრითა ყოფლითურთ, რაც თქუენის ნათესავისაგან გამოკუეოს უკლებრივ და უცლიებრად თქუენთუის და თქუენთა შვილთათუის გვიბოძებია სამკვიდროდ და საბოლოოდ, ვითაც თქუენივ მემკვიდრი იყო, ამაღ დაგიმკვიდრეთ და ყოფლის კაცის უცლიებრად გიბოძეთ. გქონდეს და გიბედნიეროს ღთს ჩუენსა ერდგულათ სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშადოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა მეფეთა და დედოფალთაგან. აწე გიბძანებთ, კარისა ჩუენისა ვეჭილ-გეზირთ და სხუანო მოსაქმენო, ვინცა ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წადმა იქნებოდეთ, თქუენცა ასრე დაუმკვიდრეთ, რა რიგადც ამა ჩუენგან ნაწუალობუევსა ფარვანაწი ეწეროს, და ნუკადეს ნუ მოუშლით და შეეცლიებით, თუინიერ შეწევნისა და თანადგომისაგან გიდე დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქსტლთ, კელითა კარისა ჩუენისა მღვიან-მწიგნობრის თუ მან იშუილი ბირთუელი

ს ი თ ა . თუ ამ მამულას სხუა წიგნი და სიკელა კამოხნ-  
დეს, სიკელათა ამათა გავგაცუდებია და მტიციტე ესეოდენა არას და  
კიდეტ უნდა სობოლოფოდ კაუთაფდეს. ჩოსტომ. მარიაჲ, ლუარ-  
საჲ (ხართულეობი).

**52.** სიგელი როსტომ მეფისა, 61 X 58 სანტიმეტრი, დაწერილია  
ეჭრატზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება სამ-  
სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ამ სიგლით მეფე უმ-  
ტიციტებს გიორგი ანჩაბაძეს და მის სილდარს ელენეს მათ მა-  
მულს. სიგელი შეიძინა კავკასიის მუზეუმმა.

1653. ქ. სახელითა სახიერისა, არსება დაუსაბამოსა, დაუსრუ-  
ლებელისა ღთისა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისა, თავდებობითა,  
მინდობითა და შუამდგომელობითა უოვლად წმინდისა ღთის მშობე-  
ლისა, უმეტესად კურახეულისა დელოფლისა ჩუენისა, მარადის ქალ-  
წულის მარამისითა, ძლიერებითა ცხოველს-მოთუელისა ჯვარისითა,  
რომელსა ზედან განიზურნა ჰატოსანი მკლავნი აუისნი ქრისტემან  
ღთს ხსნისა ჩუენისათა, ამათისა თავდებობითა, მინდობითა და შუა-  
მდგომელობითა წმინდისა წინასწარ-მეტეკელისა, წინამორბედისა სა-  
თლის-მცემელისა იოვანესითა და იოვანე ელწულ-მასარებლისა, ცაათა  
მობაძავისა, ღთივ აღმართებულისა სვეტისა ცხოველისა და კუართი-  
სა საუფლოს მირონ წმინდისათა, ქართლისა განმანათლებელისა ნი-  
ნო დედა მოციქულისათა, ამ უოველითა დიდთა წმინდათა თავდებო-  
ბითა და შუამდგომელობითა ესე უკუნასამდის ჟამათა და ხანათა გასა-  
თავებელი მტიცი(ტე) და უცვალებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შე-  
გიწყაღეთ და გიბოძეთ ჩუენ, ქართლისა და კახეთისა, ორისავე ტა-  
ხტისა მშერობელმან, მეთუეთ მეთუემან, კელმეჩიუემან, ჰატონმან  
როსტომ, თანამეცხედრემან ჩუენმან, დელოფელთა დელოფელმან,  
ჰატონმან მარიაჲ, თქუენ, ჩუენთა ერთგულთა და სამსახურთა  
უმათა და ვითარცა ცოლეოფილს ელენეს, ასრე რომე ქმარი ჩუენს  
სამსახურს ზედ კარზედ მოგიკუდათ, იმისავე სიცოცხლეში თქუენის  
სამუკიდროს მამულის წიგნი და სიგელი გიბოძეთ. აწე მეთრედ აბოლ-  
ქურიგნა შეგ იბრალეთ და ვისმინეთ აჯა და მოხსენებთ თქუენი, წასა-

ხდენდად და გასაღარიბებულად არვისს დაგანებეთ; თქუენი ქალი ჩუენს ერდგულს და გაზდილს ან ჩ ა ბ ა ძ ე ს ა თ ხ ა ზ ს გ ი ო რ გ ი ს მივეცით და შენდა შეილად მოგეცით. თქუენი მამული, დღეს რისაც მქონებულნი იუენეთ, ასრე კელ შეუალად დაგიმეკიდრეთ და გიბოძეთ, რომე დღის უკან არ(ა)ს კაცს თქუენთან კელი არ ჰქონდეს და არც ვინ გამოითხოს. მრავალმა კაცმა გუთსოა თქუენი მამული, მაგრა თავ(ა)დ ორჯულ წყალობად გობოძებოდათ და შერმე ჩუენგნით ასუაი საფიცარი კელი გეჭირათ, რომე ის საფიცარი არ მოიშლეობოდა და აღარ შეგაშალებთ რა. აწე რისაც მამულის მქონებელი იყავით, უოფლის მისას სამართლიანის საქმითა და სამძღურითა, მათათა, ბარათა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაკითა, ეკლესიითა, სასაფლოთა, ქვლითა, სანადირითა, საწყელისზირითა, სკონიითა(?) და უოფლის მისის შესავლითა და გასავლითა ამ თქუენის შუილის ან ჩ ა ბ ა ძ ე ს გ ი ო რ გ ი ს ა თ უ ი ს გუბობებოდათ, უოფლის კაცის უცილებლად. ვინცა და რამხნცა აღამის მონათესავემან კაცმან ეს ჩუენგან ნაბოძები თქუენი მამულები მოგიშალოს, მასმცა რისხავს თუაღდაუსაბამო, დაუარულებელი ღთი და უოფელი მისი წმიდანი, სვეტი ცხოველა, ღთივ აღმართებულა, მღრთ(ა)ება უცვალებელი, წმიდა გიორგი აღაგერდისა, ზეცისა და ქუეუანისანი, კორციელები და უკორცონი. დამპეკიცებულნი ამისნი ღთნ აკურთხოს, ამინ. აწე გიბოძანება, კარისა ჩუენისა ვეჭილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, თქუენც ასრე გაუთავეთ და ნუროდეს ნუ მოუშლით და შეეცდილებით. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქვს ტმა, კელითა კარის ჩუენის მდივან-მწიგნობრის შუილის თუ მანი შვილის მწერლის გიორგი სიითა. როსტომ. მარამ (ხართულები).

53. სიგელი როსტომ მეფისა, 18X16 სანტ., დაწერილია ქალაღზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი.

1654. ნუბითა და შეწვევითა ღთისათა ჩუენ შეევეთ შეუემან, კელმწიგემან, ჰატრონმან როსტომ ესე წყალობის წიკნი და ნიშანი შეგიწყალებთ და გიბოძებთ თქუენ, ჩუენთა ერთგულთა და ნამ-

სახურთა უმათა ჳ ა ვ ა ხ ი შ ე ი ღ ს ფარეშთ უხუცეს ჰ ა ტ ა ს ა და  
შენთა შვილთა. ასრე და ამა ჰირსა ზედან, რომე მოკითხულ გქე  
ნით და თ რ ი ა ღ ე თ ს ო ღ ა ი ს ი ს მოურაობა თქუენი უოფილი-  
უო და ჩუენც შეგიწყაღეთ და გიბოძეთ სამოუროდ ეოფლის კაცისა-  
გან უცილებლად და აროდეს მოგეშალოს. დაიწერა ბძანება და ნიშა-  
ნი ესე ქვსა: ( ო მ ი . რ ო ს ტ ო მ .

54. სიგელი როსტომ მეფისა, 43X22,ხ სანტ., დაწერილია ქა-  
ღალღზე ნუსხა მხედროლის ხელით. ნიშნებათ იხმარება სამსა-  
მი წერტილი.

1 ს ა ნ . ქ ა ნ ე ბ ი ა ა და შეწყვნიათ ღ ა ი ს ი ა თ ა ჩუენ ღ თ ი ე გ უ ი რ -  
გუინთსნმან და არისავე ტახტისა და საბატონოს მშურობელ მქნე-  
ბელმან, მეფეთა მეფეპან, კელმწიფეპან, ჰატრონმან რ ო ს ტ ო მ და  
თანამეტხედრემან ჩუენმან, დედოფალთ დედოფალმან, ჰატრობიან მ ა -  
რ ი ა მ და ძეთა ჩუენთა. ჰატრონმან ვ ა ხ ტ ა ნ გ , ესე უგუ-  
ნისამდე ჟამთა და ხანთა გასთავებულა, შტკიტე და უცვა-  
ლებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყაღეთ და გიბო-  
ძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და წესისებრ მრავალფერად ათვდა-  
დებით სამსახურთა, ჩუენთან აღზრდილ-შეზრდილთა, ჩუენისა ხუაშია-  
დის შემნახველსა, ჩუენის მორგშა-გადიდებისათვის დიდად მომჭირ-  
ნეთა და ძალის მამცემთა, ჳ ა ვ ა ხ ი შ ე ი ღ ს დ ი ფ ა ნ ბ ე გ ს ა და ბო-  
ქაულთა უხუცეს რ ო ა ნ ს , შუილთა თქუენთა ბოჭაულთ უხუცეს ქ ა -  
ი ხ ო ს რ ო ს , რ ე კ ა ზ ს და მომავალთა სსხლისა თქუენისთა. ეო-  
კელთავე მას ჟამსა, თადეს მოკუიდეგით კარსა და მამულის წყალო-  
ბას დაჰკვეპაჰენით. ჩუენცა ვიგუელვით და ვიგულსმოდგინეთ, ვისმინეთ  
აჟა და მოხსენება თქუენი. მოკითხულა გქენით და ჩუენს სახლზულა  
და ჩუენს ძმისწულს მ ე ფ ე ს ს უ ი მ ო ნ ზ ე და სამსახურნი იეგენით  
და იმათის ერდგულთისათვის ბატონს თ გ ი მ უ რ ა ზ ს დაეტეგეგუ-  
ნით და ხ ო რ ნ ა ბ უ ჳ ი ს (ციხეში ჩუეგდევით და ბორკილსა და  
უდრეგს ფეგიც დაეშაკებანა. მას უგან იპრინან ღ თ ა ნ და ყაენის ბედ-  
ნიერობამან და ჩუენს ს:მკუიდროსა, სიბატონოსა და ტახტზედ მოგე-  
ღით, და რომედიც ჰატრონ-უმობისა სსქმე და ერდგულება იქნებო-



და ჩუენს ერდგულობასა და სიამოვნესა და მოდგმას ძალი მიუცრით, ჩუენცა შეგიწყალებთ და ამისად სამუქოდ გიბოძეთ ს ა ჯ ა გ ა ხ ი ა ნ ა შ ი თქუენის ამოფარდნილის ნათესავის საკერძო მამუელი თეძამის გაღმა და გამოღმა. ჩუენ რომ ამ ქუეყანას საბატონოდ მოგვადით, უუეჯა თქუენ და თქუენს შვილთ დაგიმევიდრეთ, აგრევე რაც ბატონს ღუარსა ბს თქუენის ბიძაშვილის ბერუკასათვის ამოფარდნილის ნათესავის საკერძო თეძამის გაღმა და გამოღმა ებოძებინოს მონასტრითა, სასაფლავითა, სასახლითა, მთით ბარამდისი უფუელითურ უნაკლულად თქუენთვის გუიბოძებია და თქუენთა შვილთათვის. სხვა ამას გარდაისად როდესაც ბატონმან ჩუენმა ძმისწულმან მამა თქუენი უ(ა)ენტან გაგზავნა, რაც იმ ხანად მამული თქუენთუა და თქუენის ძმებისათუის დაეგდოს, ის სასწორით არის. თუ ერთობა ქნათ, ერთად იუოს, და თუ არა და რაც მამა თქუენს დაეგდოს, ის გაიყავით და სხუა თქუენთუის და თქუენთა შვილთათუის გუიბოძებია, აგრევე უარა დაჯი, რა რიგათაც საჭირნახულოდ დადებული იუოს და ხუხუდას ნახევარი ისე დაიდვას. ესეები გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა და აროდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა სხუათა მეფეთა-მეზატრონეთგან. აწუ გიბრძანებთ, კარისა ჩუენისა ვექილ-გეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინც ვინ იუენეთ და ანუ დღეის წადმა იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურადეს ნუ მოუშლით და შე(ე)ცილებით. შეწევნის და თანადგომისგან კიდე. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქქს ტმდ, კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თუ მან იშუიდი ის ბირთუეღისითა როსტომ. მ ს რ ა მ (ჩართული).

ვახტანგ.

**55.** ქავთარიას სიგელი. დაწერილია ქალაღდღედ მრგვალის მხედრულის ხელით და შავის მელნით, ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წორტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ. აქ მოხსენებული ლევან ლიპარტიანი არის ლევან მე-11 და ამიტომ სიგელი უნდა ეკუთვნოდეს 1628—1657 წლებს. ეს და ამას ქვემოთ მოყვანილი რვა სიგელი დადიანებისა გადმოგწერეთ ძველ სენაკში იქაურის ბლადოჩინის ქავთარაძის ღედნებიღგან.

1628—1657. ქ. სსხელითა დთისთა ესე დაწერილი წიგნი სამკვიდრო, მტკიცე, უქტეველი, მიზეზ შემოუდებელი, დრო დაუდებ(ლი), უტყუარი, უნამუსო, სიტყვით სრულ ქმნილი და საქმით საბოლოოდ გასათაყებელი, ესე წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩუენ კელმწიფუმან დადიანმან ჰატრონმან ლეკვან და პირმშომან ძემან ჩუენმან ჰატრონმან ალექსანდრე დამანუჩარ შენ კანდელაკსა ქავთარიას იორდანეს და შენსა შვილსა ივანეს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისთა ყოველთავე ასრე და ამა პირსა ზედა: ძუელად მაცხოვრის სენაკის კანდელაკობა ჰაჰა ჩემსა ბატონს მამიას დადიანსა უბოძებია თქვენთუის და აწ ჩუენს ახლათ გაგვიახლებია და დაგვიმტკიცებია შენთუის ასრე რომე, რაცა საკანდელაკო კაცი, მამული და მიწა იყოს და ბატონის ჰაჰის ჩემის წიგნში გეწეროს, ჩუენცა ისრე გვიბოძებია, არავისგან გამოგერთვას, არას დადიანისა გვარისა მებატონესკან, არცა წინაძღვარისკან და არას კაცისკან არ მოგეშალოს, გვიბოძებია და გიბედნიეროს დმერთმან ჩუენსა ერთგულობაშიდან. არიან ამისნი მოწამენი ჰაატა წულუკიძე, რამაზ ჩიჩუა და ხახუჯოლია. აწე ვინცა ეს ჩუენგან და გარიგებული კანდელაკობა და საკანდელაკო მოგეშალოს, რისხავსცა თაჲად დმერთი და ყოველნი მისნი წმიდანნი, ზეცისანი და ქვეყნისანი, უკორტონი და კორციელნი. ხელს აწერს ხელჩართულათ: ლეკვან.

56. გუჯარი რატინთა, დაწერილია ქალაღლზე, სიგძე აქეს არუ შინი და სამი გოჯი, განი 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> გოჯი. წერა ნუსხა ხუტურია, საკმაოდ ლამაზი; მელანი მეთაურის ასოებისა წითელია, ტექსტისა—შავი. დროთა ვითარების გამო გუჯარი ალაგ-ალაგ ცოტა დაზიანებულია და ზოგიერთი სიტყვა აღარ განიჩქევა.

ამ ერთს გრაგნილზე მოთავსებულია არა ერთი, არამედ სამი სხვა-და-სხვა დადიანის და სხვა-და-სხვა დროს გუჯარი, მაგრამ ხელი-კი სამისავე ნაწერისა ერთგვარია, ეტყობა, სამსავე მთავარს ერთი და იგივე კაცი ჰყოლია მდივნად, ანუ მწერლად.

ფრანგული თარგმანი ჩვენის გუჯარისა შემოაქვს თავის არახელოლოგიურს მოგზაურობაში განსვენებულს ბროსსეს (იხ. ყოყ-

age arch. IX Rapp. p. 39—43), მაგრამ როგორც გუჯარიკი არა, არამედ როგორც წარწერა წაჩხურის მთავარ-ანგელოზის ხატისა. ეს გადუცია მისთვის სამეგრელოს უკანასკნელს მთავარს დავით დადიანს. თვით ბროსსეს არც წაჩხურის ხატი უნახავს და არც ეს გუჯარი. ჩვენ ძალიან ვეჭვობთ, რომ ამ გვარი წარწერა მართლა იყოს წაჩხურის ხატზე. ჯერ ერთი, ასე გრძელი წარწერა ძნელად თუ რომელსამე ხატზე დაეტივა, რაც უნდა დიდი იყოს ხატი. მეორედ, თვით ბროსსესათვის გადაცემულს ასლში არის ნაჩვენები დადიანების ხელის-მოწერა და ბეპედი, რომელსაც ხატზე ადგილი არა აქვს. ამიტომაც, ჩვენის აზრით, ბროსსეს ჩავარდნია ხელში პირი ჩვენის გუჯარისა და არა წარწერა ხატისა.

ეს გუჯარი ფრიად საყურადღებოა ჩვენთვის. პირველად მიტომ, რომ აქ მოხსენებული ფაქტები ემოწმება ჩვენს მათიანეში მოთავსებულს ცნობებს და ამით ამტკიცებს იმათს სიმართლეს. მეორედ იმიტომ, რომ აქ აღნიშნულია ზოგიერთი დაწერილებითი ცნობა, რომელიც არ მოიპოვება სხვა წყაროებში, და ამით ავსებს ჩვენს ცნობებს. გარდა ამისა, გუჯარი ჰშველის დადიანების შთამომავლობის გამოკვლევას. ბროსსე ხშირად უჩვენებს თავისს ნაწერებში ამ წყაროს და ამაზე ამყარებს ზოგიერთს შემთხვევაში დადიანების „გენეალოგიურს ტაბულას“ (იხ. Hist. de la Géor. t. II. liv. 1. p. 259, n. 3; 278—280; 647).

მით უფრო სასიამოვნოდ მიგვაჩნია ამ გუჯარის ხელში ჩადება, რომ ბროსსეს თვით დედანი არ უნახავს და იმის ასლში, როგორც ეტყობა, ზოგიერთი ფრაზა და სიტყვა გამოშვებული ყოფილა. უკანასკნელი ხელის-მოწერა ნაჩვენები არ არის და ამიტომ არა სჩანდა, რომელს დადიანს ეკუთვნოდა ბოლო გუჯარისა. არის ორიოდე ისეთი ადგილიც, რომელიც ეხლა არ განირჩევა, მაგრამ ბროსსეს ასლში ყოფილა. უმთავრესს განსხვავებას ბროსსეს თარგმანისას ჩვენს სხოლიებში ვუჩვენებთ. კილო და ენა ჩვენის გუჯარისა, როგორც ბროსსეც უენიშნავს, მართლა საგსეა ახირებულის ფორმებით და გრამატიკულის უკანონობით.

ამ გუჯარში მოხსენებული ლიონ დადიანი არის ლევან I, მამია III-ის ძე. 1546 წ. ლევანი შეიპყრა ბაგრატ III, იმერეთის მეფემ, და დააპატიმრა გელათს, მაგრამ ზაფილანდრე ჩხეიძემ გამოაპარა ლევანი და მოიყვანა ახალ-ციხეს. შემდეგ ლევანმა ათაბაგის და გურიელის დახმარებით დაიჭირა ოდიში. 1569 წ. ლევანმა ვერ გაუძლო იმერეთის მეფის, გიორგი მეორის, და გურიელის გიორგის ბრძოლას და წავიდა სტამბოლს. ხონთქარმა მოსცა აზრუმ-ტრაპიზონის ჯარი და ლევანმა ხელმეორედ დაიჭირა ოდიში. ლევანი მოკლეს ნადირობის დროს 1572 წ. ზომალდების ჩუქება ლევანისათვის არ არის მოხსენებული ქართლის ცხოვრებაში (ქ. ცხ. ტ. II, გვ. 190—192, 276—278).

ლევან პირველის შემდეგ დადიანობა ეჭირათ მისს შვილებს — გიორგი III († 1582), მამია IV († 1590) და მანუჩარ I († 1611). მამიას და მანუჩარს ჩვენი გუჯარიც იხსენიებს. მანუჩარ პირველის შვილი და მემკვიდრე იყო ლევან II, რომელსაც ეკუთვნის პირველი ნაწილი ჩვენის გუჯარისა. ლევან II დადიანად დაჯდა მამის სიკვდილის შემდეგ 1611 წ. და მიიცვალა 1657 წ. ცოლი მისი ნესტან-დარეჯანი, რომელიც ჩვენს სიგელში მიცვალებულად იხსენიება, მოკვდა 1539, თუ 1540 წელს \*). აქედან სჩანს, რომ პირველი ნაწილი ჩვენის გუჯარისა დაწერილი ყოფილა 1639—1657 წლებში. გასაკვირველია მხოლოდ ერთი გარემოება: ნესტან-დარეჯანი აქ კახელ ქალად, ანუ კახელად იხსენიება—„და მეცხედრისა ჩუჴნისა ნესტან-დარეჯანისა კახელისა სულისა საკსრად და საოზად“—მაგრამ, როგორც ვიცით, ლევანის ცოლი, ნესტან-დარეჯანი, კილაძის ქალი იყო. აქ, ჩვენის აზრით, შეცდომა უნდა იყოს და შეცდომა მით აიხსნება, რომ ლევანის დედასაც ნესტან-დარეჯანი ერქვა, და ეს ნესტან-დარეჯანი მართლა კახელი იყო, ასული კახეთის მეფის ალექსანდრე II-სა. მწერალს ვინაობა ამ ორის ნესტან-დარეჯანისა აურევია. ბროსეს თარგმანში, როგორც მოვიხსენიეთ, სიტყვა „კახელია“ არ არის.

\*) Hist. de la Géor. t. II. liv. I. p. 647.

ლევან II სიკვდილის შემდეგ დადიანად დაჯდა ლიპარიტ III, მაგრამ ალექსანდრე მეფემ იმერეთისამ ლიპარიტ განაძო და დასვა ვამეყ III, რომელსაც ეკუთვნის მეორე ნაწილი ჩვენის გუჯრისა. ვამეყი იყო შვილი პირველ ლიპარტიანად ცნობილის გიორგისა. 1660 წ. (ვახუშტის ცნობით 1661 წ.) ვამეყი გადააგდო ვახტანგ V, ანუ შახნავაზმა, და დადიანად დასვა შამან-დავლე, ანუ ლევან III, იესე ბატონიშვილის ძე. ლევან III ანუ შამან-დავლე მიიცვალა 1680 წ. ვამეყ III დადიანად იყო 1658—1660 წ. და მეორე ნაწილიც ჩვენის გუჯრისა ამ წლებშია დაწერილი \*), ხოლო უკანასკნელი ნაწილი ეკუთვნის შამან-დავლეს, ანუ ლევან III, და დაწერილი უნდა იყოს 1661 1680 წლებში. ვამეყის ცოლი ელენე სვიმონ გურიელის ასული იყო. თინათინი, ლევან მესამის ცოლი, იმერეთის მეფის ალექსანდრე მესამის ქალი იყო, სხვა დაწვრილებითი ამბები თვით ჩვენს გუჯარშია მოხსენებული.

I. 1639—1657. \* შენ ღუთის წინაშე დგომისა, საცნაურისა და ჰასუხ შუტნიერისა, დადადეების მიცემისა შემძლებელ მქმნილო, ძლიერებით და სიტკბოებით მოუკლებლო, ცეცხლის-ფერად (ცეცხლის ფერად) მქცევლო ზეცის უსხეულოთა ძალითა, ერის მთავარო<sup>1)</sup>, მთავარ-ანგელოზო წაჩხურისაო, რომელსა ძალ-გიც მყის მის წამს შემორებაჲ ცის კიდის კიდემდე, და სწრაფით რბინ ბრძანება შენი, მიქაელ და კაბრიელ მთავარ-ანგელოზო, ჩვენ მონაშან ოქვენშან, და მოსაგშან, და მევედრებულშან სიწმინდისა შენისაშან, ცვა-ფარყათა შენთა მინდობილშან, კელმწიფეშან, მრავალჯერ გამარჯულებულშან, და დიანმან-გურეშან, ბატონშან ლევან, — შემოგწირეთ მცირე და კნინი ესუ ძღუტნი, ასრე რომე ჰაჰა ჩუტნის დიონი (ნიც) და დიანი სტანბოლს წასულა, და რაც ოდიშს ჰატიოსანი საუდრები უოთილა, იმისათხზ ზოგს ოცი, ზოგს ათი, ზოგს ხუთი შეუწი-

\*) Ibid. იხ. აგრეთვე ქ. ცხ. ტ. II, გვ. 248—249.

1) ბროსსე თარგმნის: ზეცის უსხეულოთა ძალითა ერის მთავარო, (toi le chef des legions immatérielles du ciel...).

რავს; ამ მთავარ-ანგელოზისა წახსურისათჳს შემოუწირავს წახსურუ-  
დი, და მისი შეილი<sup>2)</sup> კატე და მისი ძმა ქრისტეოჩი,  
ორმოცდა-თორმეტი მოსახლე კაცი ორი სასახლეთ. და ქრისტეო-  
ჩი სტანბოდს წუტანიათ<sup>3)</sup>, და იქ ჰპ: ჩუწნს გამარჯულებია, და  
იმათი ძალით<sup>4)</sup> გამარჯულებული მოსულა, და ცხრა ხომალდი ბედნი-  
ერს ხუანტარს წყალობად მიეცა. და მათს აქეთ წამობრძანებულა,  
ქრისტეოჩი იქ სტანბოდს დაუგდია ხომალდების წინამძღურად, და  
მდივნობაც უბოძებია, და უფროსობაჲ ხომალდის. ასრე შეუწირავს ეს  
რატია, რომე მზის და წვიმის მეტი მის კარზე არაჲ მიდგეს რაჲ,  
არც დაჭირვაჲ, და არც გადარიბებაჲ, არცა ნაუშვილევი, და არცა  
ბეგარაჲ მართებია, და ასრე გაურიგებია. ეს ძველი წიგნები ვნახეთ  
დიონ დანიანის, მამიას და მანუჩარის, და მამის ჩუწნის<sup>5)</sup>, და მო-  
კითხული ვქენით, და წიგნებიცაჲ ვნახეთ, ასრე შეწირული გამოვიდა.  
აწე ჩუწნ ახლა განგვახლებია ეს შეწირული წიგნები. და ის ერის  
თავისა<sup>6)</sup>, ჰუარის მთავარ-ანგელოზის და მთავარ-ანგელოზის წახსუ-  
რის საუდრისათჳს. ხატისათჳს შეგვწირავს რატია, გაბრიელ და ჭაი-  
ხოსრო, და მისი შვილი ჰპუნაჲ მისი ყმითა. ორი სასახლითა,  
ყმთან თავს შემოკვავლია ჩუწნდა სადღეიერძელოდ, განსამარჯულებლად  
და დღეთა ჩუწნათა წარსამარაუბელოთ, და მეცხედრისა ჩუწნისა,  
ნესტან-დარეჟანისა კახელისა<sup>7)</sup>, სულის საკსარად და საოხად, და გან-

<sup>2)</sup> დედანში უქარაგმოთ სწერია: დამსიშვილი.

<sup>3)</sup> ბროსსეს თარგმანში სიტყვები „ორმოცდა თორმეტი მოსახლე  
კაცი ორი სასახლით“ გამოშვებულია.

<sup>4)</sup> ბროსსეს თარგმანში: „ღვთის ძალით“ (par la puissance di-  
vine).

<sup>5)</sup> ბროსსეს თარგმანში სიტყვებიდან „და ასე გაურიგებია“- აქა-  
მდე გამოშვებულია.

<sup>6)</sup> ბროსსეს თარგმანში უკანასკნელის სამის სიტყვის მაგიერ სწე-  
რია „ისერის“ (d'Isir), ესე იგი პირველი ორი სიტყვა შეერთებულია და  
მიღებულია საკუთარ სახელად. ავტორი იქვე შენიშნავს, რომ ეგ სიტყვა,  
რას ნიშნავს, არ ვიცი.

<sup>7)</sup> ეს სიტყვა ბროსსეს თარგმანში არაა.

სინათლებლად სულის მისის დღეს მას დიდს განვითხვისას, ასე რომე უოველს წელიწადს სულის-წმინდის მოსვლის დღეს ცხრამ მღვდელი და მთავარი ჟამს უწირვებდეს, ახვათ რატია და სხვანი ხუტები. მის კარზე არათელი(sic) მოდგებოდეს მზის და წუმის მეტი, არც დაჭირვა და არც გადარბობა, არც ნაუშვილეგი, არც ბე(გარი)... გაკვრიგებია... ასე რომე ხატი-საყდრისათჯს სამსხურები, მთავარ-ანგელოზისათჯს ჰატივი დაგვც. აწე რამანც ქემან და გვარმან კაცისმან..<sup>8)</sup> ეს ჩუტზგან კარიგებული მოგიშალოს, მასც მოეშლების უოფა და სიტოცხლე...<sup>9)</sup> დამამტკიცებელი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან, ამინ<sup>9)</sup>).

ბოლოს აზის ბეჭედი, რომელზედაც მხედრულად აწერია: „ღუგან დადიანი“, და შუაში კიდეც რალაც თათრული წარწერაა. ბეჭედის შემდეგ მხედრულის ხელ-ჩართულით სწერია: „ღუგან“.

II. 1658—1660. ბრძანებითა ღუთისათა ჩუტზ ღუთიგ აღმატებულმან, ღუთიგ დამყარებულმან, დ ი ზ ა რ ტ ი ა ნ მ ა ნ ვ ა მ ე ე, ოდეს ბიძის ჩემის შვილი, და დ ი ა ნ ი ბ ა ტ ა ნ ი ლ ე ვ ა ნ, მიიცვალა, მამის აღექსანდრე მეფე მოვიყენეთ, ჩუტზ გავბატონდით ოდიშს, დაფიჭირეთ დადიანობა. ამსობაში გამოვიდა ხანი და ჟამი, კელმწიფეთ კელმწიფე, მეფეთ მეფე, ბატონი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, მიიცვალა, და ვიგულებთ და ვიგულსმოდგინეთ, დაფიჭირეთ სრულიათ (სრ) იმერეთი და გავბატონდით იმერეთს, და გაველაშქრეთ გურას ოდიშით და ლიხთ-იმელით(sic); ქაიხოსრო გურიელი კარდავაგდეთ, ჩუტზნი ცოლის სმად დ ი მ ი ტ რ ი გ უ რ ი ე ლ ი გავბატონეთ გურას. აწე ჩუტზ კელმწიფეთ კელმწიფემან, მეფემ, დადიან-გურიელმან, ბატონმან ვ ა მ ე ე და თანა-მეტყედრემან ჩუტზმან, დედოფალთ დედოფალმან, ბატონმან ე ლ ე ნ ე მ მოკითხულ ვქენით წახსურის: ჰაჰა ჩუტზნი ღ ი ო ნ და დ ი ა ნ ა სტანბოლს წასულიეთ, მისი გამარ-

<sup>8)</sup> აქ და სხვა ამგვარს შემთხვევაში ჩვეულებრივი გრძელი წყევლა არ მოგვეყავს.

<sup>9)</sup> სიტყვებიდან „მის კარზე არათელი“ აქამდე ბროსსეს თარგმანში გამოშვებულია.

\*) შეიძლება აქ „პართახედ“ შეცლომით ეწეროს „პართახხედ“  
 მაგიერ.

სრულელები და თი, შამა, ძე და სული წმიდა, წყევლ, კრულ და მუ-  
ჩენებელი იუოს სული და კორცა მასი, ამა სოფელსამცა ადრე სი-  
კუდილით ეკითხვის და მას სსუკუნოს წაწემედიითა, და კელიც ასრე  
ჩაგუირთავს, რომ ამისი გათავების და სიმარადის მქტი ჩვენ თქუ-  
ენზედ არა ვსტუეთოთ რა -†.

109. სიგელი მეფის ვახტანგ V-სა, ანუ შაჰნავაზ I-ისა, 19X24  
სანტ, დაწერილია ქალაქდზე მრგვალი მხედრულის ხელით.  
ნიშნებათ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თავში სპარსული წარ-  
წერა აქვს სპარსულივე მეჭედით.

1676. ქ. ნებიოთა და ღთისათა ჩუენ ღთაჲ ადმარსუბულ-  
ძან, ღთაჲ დამყარებულძან და ღთაჲ გუირგუინოსანძან იესეიან, და-  
ვითაან, სოლომონიან. ბაგრატიანძან, მეფეთა მეფეძან, კელმწიფეძან,  
ხატრონძან შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ, თანა-მეტყუდრეძან ჩუენძან. დედოფალთა დე-  
დოფალძან, ხატრონძან მ ა რ ი ა მ, ჰირმშოძან და სსურეკელძან ქეძან  
ჩუენძან, ხატრონძა გ ა ო რ გ ი მ, ხატრონძან ლ ე ვ ა ნ და ხატრონ-  
ძა ს უ ლ ე ი მ ა ნ ესე ამიერ უგუნისმდის ჟამთა და ხანთა გასთა-  
კებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობისა წიგნა და ნიშანი, შე-  
გიწყალებთ და გაბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და წესისებრ  
მრავალ-ფერად თაჲ დადებით ნამსახურისა ეშათა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს,  
ო რ ბ ე ლ ი შ ვ ი ლ ს ვ ა ხ ტ ა ნ ო ს, ასრე რომე ვითაც შამა თქუ-  
ენსაც ჰქონებოდა ჩუენის სახატონოს ქარადის მდივანბეგობა და სს-  
მარადის ქნა, ახლათ თქუენცა დაგუიჯენით. ვასმინეთ აჟა და მოხსე-  
ნებოთ თქუენა, შეგიწყალებთ და გაბოძეთ მდივანბეგობა ქაროლისა, ქა-  
დაქისა, საბარათაშვილისა, სომხითისა და თათრისა. ვინცა-ვინ ჩუე-  
ნისა საკელმწიფოსა და საბრძანებულსა ქუეშ მორჩილი იუოს, ან სს-  
ხლისა და ან სხვის, რაისც სსჩივრისა, უეულათ თქუენგანთა გ(ა)ისამარ-  
თლებოდეს, და კარდასწედებოდეს და ვინცა თქუენს კარიგებულს სს-  
მართადსა კარდაჰქედებოდეს, ჩუენ დიდად გაუწყრებოდეთ და კარდა-  
ვაკდევენებდეთ, თქუენცა წესისებრ სამართადს გუელს მიაპურობდეთ,  
რომელაც დიდა სსახლი და კასასმართლებელი იუოს, ჩუენც შეგვა-  
ტუობინებდეთ და ისრე კარდასწუეუდეთ ეს სსკელი და სსმოსურია



არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად ქეაა ჩუენსაგან. გქონდეს და გიბედნიეროს ღთს ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ინდიკტიონსა: კ: მეფობისა ჩუენისსა. ქჷსა: ტნიღ: კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თუ მანიშვილის გიორგისითა. შანავაზ, მარია მ (ხართულები).

პირველი გვერდის აშიაზე გიორგი XI-ის ხელით სწერია:

ქ: რა რიგადაც სულ-კურთხეულს მამა ჩუენს მდივანბეგობა ებოძა, ჩუენც ისე გუებობება: გიორგი (ხართულათ).

მეორე გვერდის შუა ადგილას აზის ბეჰელი, რომელსაც აწერია: „სახლთხუცესი ციცი“.

**110.** ნასყიდობის წიგნი ვახტანგ ორბელიანისა, 35,5 X 25 სანტ., დაწერილია ქალაქლზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ზოგჯერ ორ-ორი და ზოგჯერ სამ-სამი წერტილი. შესავალი და ბოლოს წყველა გამოვუშვით.

1677. ...ესე ნასყიდობის წიგნი მოკეცითა ჩვენ ზაქუმი ის შვილის შვილმა აღიუელის შვილმან ზაქუმ და თამაზამა და სეფიეულამა, თქვენ ბატონს მდივანბეგს ვახტანგს და შვილთა თქვენთა ბატონს სულხანს და (აქ ერთი სიტყვის ადგილია დატოვებული) ვახუშტის, და ეაფლანს, და ფაღლს, და ზურაბს და მოკვიდეთ ზემო ბოლნური ჩუენი მკუ(ი)დრი და ყოვლის კაცისკან უცილებელი და მოუღევარი, ჩუენი მამა-პაპათაგან აშენებული ზვარი, და ავიდეთ ყასი სრული და უკლებელი, რითაც ჩუენი გული შეჯერდებოდა, ზეაა ტერ-სტეფანას წისქვილამდის და ფოლდაურისაკენ რჩეულას შვილის ვენახის სამძღურამდის და ბოგაძურისაკენ ძველი რუ რომ არის, იქიმდინ და ქუეშა შუა ბოლნისისაკენ ჰეჷშუბა შვილის მაწებამდინ და თავისის წყალითა და შესავალ-გამოსავალითა და გსათა. ეს ასრე თქვენთუის მოკეციეიდა ყოვლის კაცის უცილებლად და ვისაც ქართული გქონდეს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიუენეთ... არის ამისა მოწამე თავად ღთი და მერმე მისინი წმინდანი და კაცთაგან რევის

შვილი ბატონის\*) ბოლნელი იოსებ და შავერდაშვილი დათია, მამასსახლისი ზადია, ჰევეუბაშვილი ხეჩიკა, შვა-ბოლნელი მამასსახლისი შერ-მასანა და აქელაშვილი თეზია, და მე მანდენანთ ავთანდილას შვილს ბაიონდელას დამიწერია და მოწამეტა ვარ. ქვს ტნიე □ + + +.

პირველი გვერდის აშიაზე ბოლნელის ხელით |წერია:

ამის მოწამე ბატონი ბოლნელი იოსებ.

111. გაერთიანების წიგნი, 42×29,5 სანტ., დაწერილია ქალაქ-ზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არა აქვს, მაგრამ ვინაიდან მეფენი არჩილი და გიორგი ერთად არიან მოხსენებულნი, ამიტომ წიგნი უნდა ეკუთვნოდეს 1664—1695 წლებს.

1664—1695. ქ. ნებითა და შეწვენითა მღთისა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისათა, მეოხებითა და შუამდგომელობითა ყოვლად უხრწნელისა, ყოვლად უბიწოსა მღთის მშობელისა და მარადისა ქალწულის მარიამისათა; შეწვენითა და შუამდგომელობითა ცხოველ-მყოფელისა ჯვარისათა, რომელმან განიპყრნა უხრწნელი მკლავნი თვისნი კისნისათვის ჩვენისა, უფალმან ჩვენმა იესომ ქრისტემან, დასთხინა მას ზედა წმინდა სისხლი თვისი; მეოხებითა წმინდისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა, ნათლის-მცემელისა იოვანესითა; მეოხებითა წმინდათა მოციქულთა: პეტრე, პავლე, ანდრია, იოვანე, მათე, მარკოზ, ლუკა, იაკობ, სვიმეონ, ფილიპე, ნათანელ, ბარ-თლომე და სხვათა სამეოცდა ათათა მეოხებითა; მეოხებითა წმინდათა წინასწარმეტყველთა: მოსე, არონ, ისუ, გედაფან, დავით, სოლომონ, ნათან, ელია, ელისუსა და სხვათა ყოველთათა; მეოხებითა წმინდათა მღვდელთ-მოდღვარათა: ნიკოლოზ, ბასილი, გრიგოლი, იოვანე ოქრობირი, ამბროკი, ეგნატი და სხვათა ყოველთათა; მეოხებითა წმინდათა მკადართა ღვაწლასა მძღეთა მოწამეთა: გიორგი, დი-

\*) ეს სიტყვა ზემოთ არის მიმატებული იოსებ ბოლნელის ხელით, რასაც მეორე მის მიერ წარწერა ამტკიცებს

მიტრი, ეგსტათი, თეოდორე, არტემი, მერკური, ჰროკოპი, ჰანტუ-  
 ლეიმონისათა; მეოხებიოთა წმინდათა მამათა: სება, ანტონი, ათანასე,  
 მაკარი, ეფთვიმი, ილარიონ, ჰასუმი და სერაპიონისათა; მეოხებიოთა  
 წმინდათა ქალწულ-მოწამეთა: თეკლე, ირინე, მარინე, ბარბარე, ნი-  
 სიმა, ჰარასკევა და სხვათა ყოველთათა; მეოხებიოთა ქართველთა გან-  
 მანათლებელთა წმინდათა მამათა: გიორგი, იოვანე, ეფთვიმი, სტე-  
 ფანესითა და იოვანე ზედაძნელისათა, შიო მღვიმელისათა, დავით  
 გარეჯელისათა და ნახო დედისა ჩვენისა ქართველთა მომეტვეველისა-  
 თა, — ესე ხანთა და უამოთა გასათავებელა, მტკიცე და უცვალებელი,  
 უხლათო, უმიზუზო, სამოყრო-სამეზობლო, გასაერთებელი პირი,  
 ფიცი და საფიცარი მოკეცით ჩვენ ფანასკერტელმან ც ი ც ი შ ვ ი ლ-  
 მ ა ნ ბ ა ტ ა ნ მ ა ფ ა რ ს ა დ ა ნ, ძმამან ჩვენმან მოლარეთ-ხუცესმა, ბა-  
 ტონმა ვ ა ნ ტ ა ნ გ, მერიქიფეთ-ხუცესმა ბატონმა ჰ ა ტ ა მ და  
 ა მ ი ლ დ ა ნ ბ ა რ და შვილმა ჩვენმა ზ ა ზ ა მ თქვენ, ო რ ბ ე ლ ი-  
 შ ვ ი ლ ს ბ ა ტ ა ნ ს ს უ ლ ხ ა ნ ს, ბოქოელთ-ხუცეს ბატონს ე რ ა ს ტ ი ს,  
 ბატონს ვ ა ხ უ შ ტ ი ს და ბატონს უ ა ფ ლ ა ნ ს და ძმას თქვენსა ას-  
 რე და ამა პირსა ზედა: მეფის ა რ ჩ ი ლ ი ს ა და მეფის გ ი ო რ-  
 გ ი ს ა და მათის ძმების უზიანოს საქმიანა ჩვენი და თქვენი პირი  
 გაჯერეთ ამისთვის, რომე რა ჩვენ და ბიძა ჩვენი ც ი ც ი გარდვი-  
 კიდებით, თქვენ იმათკენ დარჩით, ჩვენ დავპორდით, ახლა რადგან  
 ისინი ბატონსა და ქართველზედ ასე დამნაშაველ და მუხანათთ დარ-  
 ჩნენ და მეფემ ა რ ჩ ი ლ ი და მეფემ გ ი ო რ გ ი მ ჩვენი გაერთება  
 მოინდომა, ჩვენც ასე გაგიერთდით, ვიუწუნეთ დღეს და დღეის იქით  
 თქვენთვის კარგნი და კარგის მდომნი. მდითთ და კაცით რაც კარ-  
 გი დაგემაროს, მისი მდომნი, თქვენის სასლის კაცი თქვენსას არ  
 გვერჩიოს. ამისად გასათავებლად მოკვიცეპია დმურთი და ყოველნი

მისნი წმინდანი. ამინ. 

ბოქალთ ხუ- ცესი ფარსადან,
------------------------------

ვახ- ტანგ.
---------------

წდრიშვი- ლი პატა.
----------------------

სახლობლუცესი ამილანბარ
---------------------------

ზაზი
------

112. სიგელი მეფისა გიორგი XI-სა, 57×29 სანტ., დაწერილია სქელ ქალაღზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თავში სპარსული წარწერა აქვს სპარსულივე ბეჭედით.

1679, აზრლის 29. ქ. შქვენითა და წყალობითა ღთაოსათა ჩუენ მოწყაღისა ღთის მიერ აღმატებულმან და ღთიჳ დაბეარებულმან, ღთიჳ ბქროს გუერგუინოსანმან, საქართველოს კელმწიფემა, მეფეთ მეფემან, ზატრონმან გიორგიმ, თანა-შეტყუერემა ჩუენმა დედოფალი დედოფალმა, ზატრონმან თამარ, ზირმომი და სსსურველმა ძემ ჩუენმა, ზატრონმა ბატონი, ესე სინოლოდ გასათავებელი, შტეიტე და შეუცვალებელი წყალობის წიგნი და სიკელი შეგიწყაღეთ და გიბოძეთ, დაგიმკუიდრეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულად და მრავალფერად ერდგულად ნამსახურს უმას ჩუენს მღივანბეგსა ბრბელი შვილსა ვახტანგს, შვილთა თქუენთა სულხანსა, ერასტიოსა, ვახუშტიოსა, ვაფლანსა, ზალსა, ზურაბსა და მამავლთა სსხლისა თქუენისთა უოკელთავე მას უამსა, ოდეს მოგუიდექით კარსა და ქალაქს სსსხლის წყალობას დაგვიავენით. ჩუენცა ვისმინეთ აჳა და მოხსენება თქუენი, შეგიწყაღეთ და გიბოძეთ ჩუენის შებღეთ-ხუტის ნაქონი სსსხლე. უამთა ვითარებისგან ჩუენი შებღეთ-ხუტესი შაფურა ამოვარდნილიუო და ეს სსსხლე სულკურთხეულს კელმწიფეს, მამ ჩუენს თავის დალაქას ფარვანსა და მისის შვილებისათვი ებოძებინა, ფარვანს შვილებიც დახოცოდა და ის ალაგი ბეითაღმანდ დარჩომილიუო, ზატრონი არვინ გაჩნდა. იმ ალაგის წყალობას დაგუიავენით. შეგიწყაღეთ და გიბოძეთ უოფლის კანცისგან უცილებლად. ამას გარდის, თათის ნაქონი სსხლების წყალობაც გიუავიო და ფსიც მიეც და იეიდე. სხვა ზოგი ალაგები კიდევ გუიდა იქივ მარაული\*), შენობა და ჭირნახელობა დაგედვა. ესები უოფლითურ მისის სამართლიანის საქმითა თქუენთვის და თქუენთა შვილთათვის გვიბოძებია. ქონდესდა გიბუნეიეროს ღმერთმა ჩუენსა ერდგულად სამსახურს შიგა. აროდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა

\*) უნდა იყოს „მრავალი“.

შემდგომად სხვათა შეფეთა და მეზატრონეთაგან. აწე გიბძანებ, კარისა ჩუენის ვეკილ-ვეზირო, ქალაქის მოურო, მელიქო და მამასხდისო, თქუენც ასრე გაუთავეთ ბძანება ჩუენი ესე. დაიწერა სიგელი მტკიცე ეს კელითა კარისა ჩუენის მდივან-მწიგნობრის თ უ შ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ს უ ლ ხ ა ნ ი ს ი თ ა, ქვს ტ ნ ი ზ, აპრილის კო. გ ი ო რ გ ი (ხართულათ).

განის აშიაზე იმავე ხელით სწერია:

ქ. ა თ ი ნ ა ს ს ხ ს ლ ე ბ ი ს წ ვ ა ლ ო ბ ა ს და გუთაჯუენით, ისიც თქუენთვის გუებოძებია, რადგან ჩუენ გიბოძეთ, თქუენ ფასი მიგეტათ ათინას სხსლებისტვი. გ ი ო რ გ ი (ხართულათ).

**113.** წყალობის წიგნი ვახტანგ ორბელიანისა, 36,5×16 სანტ., დაწერილია ქალაქდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნაბარია ორ-ორი წერტილი. შესავალი განგებ გამოუშუიეთ.

1684. ...ესე მტკიცე და შეუცვალეპელი ნასუიდობის წიგნი და სიგელი მოგეტით ჩუენ, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ მ ა, ფ ა ლ ა ნ ხ ო ს რ ო შ ვ ი ლ მ ა, თ ა ე ა შ ვ ი ლ მ ა ბ ა რ ა თ ა მ ა და ი ო თ ა მ და ზ უ რ ა ბ თ ქ ე ნ, ბართიანთ დიდის ორბელისშვილსა მდივანბეგს ჳ ა ხ ტ ა ნ გ ს, შვილსა თქვენთა ს უ ლ ხ ა ნ ს ა, ე რ ა ს ტ ი ს, ვ ა ხ უ შ ტ ი ს, ე ა ფ ლ ა ნ ს, ზ ა ლ ს, დ ე მ ე ტ რ ე ს, ასე და ამა ჰირსა ზედა, რომ ჩუენს ემას ქ ვ რ ი ვ ი შ ვ ი ლ ს შ ო შ ი ტ ა ს და შვილს მისასა ბ ე რ ი ა ს ა ქურდობა ექნათ და თქვენთან მოსუელიყუნენ და მამული შემოქლიათ, თქვენ იმისი საზღაურის ვალი გარდაგხლათ. მერმე ჩუენ და თქვენ ერთად შევიყარეთ და სრამელებიც შევიყარეთ, ჩ ა ჩ ი კ ა შ ვ ი ლ ი გ ი ვ ი ც მ ო ვ ი დ ა, და ფონს გამოდმა წი ს ქ ვ ი ლ ი ს არეკალი, ბ ა ლ ა ს შ ვ ი ლ ი ს ვ ე ნ ა ხ ი რომ არის, იმას აქათ ო ს მ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს სამძღურამდის, მისის საწულისპირითა. კიდევ ო ქ რ ი ა ს შ ვ ი ლ ი ს ვ ე ნ ა ხ ს ა ქ ა თ, გზას ქვეით აქათ, შ ი რ ზ უ კ ა ს შ ვ ი ლ ი ს ვ ე ნ ა ხ ს ი შ ი დ გ მ ა მ დ ი ს, ქვეით ვენახების თავამდის, კიდევ მაღლა სხსლ-კარი ერთი მისის მარნითა და ეზოთა მისის შესავლითა და გასავლითა და გზითა მოგუიდეთ ესე თ ა ფ ა ნ ს ყ ო ვ ლ ი ს კ ა ტ ი ს ა ნ უ ტ ი ლ ე ბ ე ლ ი და ვერა ვინ გეცილებოდეს, თუ ვინმე

შემოგვცადას, ზასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. არის ამისი მოწამე  
 ჟერეთ ღთი და უოგლად მისი წმინდანი, ხორციელი და უხორცო-  
 ნი, კაცთაგან სერხაულიე ქაიხოსრო □, აღიხანაშვილი შემანდარბა-  
 ში აღავერდა □, კანჭაშვილი გუგუნა, ჩაჩიკაშვილი გიგი, სრულ  
 ერთობილ თაფნელება. მე ე მ ნ ა შ ვ ი ლ ს დ ა თ უ ნ ა ს დამიწერია  
 და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი ღვინობისთავის დამდგეს, ქქს  
 ტ ბ. +.

114. ნასყიდობის წიგნი მდივანბეგის ორბელ ორბელიშვილისა,  
 43 X 23 სანტ., დაწერილია ქალაღზე მრგვალი მხედრულის  
 ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი.

1684, გიორგობისთვის 1. ქ. ნებითა და შეწეკნითა ღთი-  
 სთათა და მეოხებითა წმიდისა ღთისმშობელისათა, მარადის ქალწუ-  
 ლისა მარიაშისათა, და ცხორეულს-მყოფელისა ჟვარისათა, რომელსა  
 ზედა განიხუენა უხრწნელნი კელნი თვისნი მაცხოვარმან ჩვენმან იე-  
 სო ქრისტემან; მეოხებითა წმიდისა წინამორბედისა, წინასწარმეტ-  
 ეველისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა და მოციქულთა წინასწარ-  
 მეტეუელთა მდდელთ-მოდგართა და ქალწულთა, ესე ჟამთა და ხან-  
 თა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, საბოლოო, ნასყიდობის  
 წიგნი მოგუც მე ც ი ც ი ს შ ვ ი ლ მ ა ბატონმა ი ს ა ჯ და მომა-  
 ვალთა სახლის ჩემისათა თქუენ, ო რ ბ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ს მდივან-  
 ბეგს, ბატონს ო რ ბ ე ლ ს და შეიღსა თქუენსა, ბატონს ს უ ლ-  
 ხ ა ნ ს, ბატონს ე რ ა ს ტ ი ს, ბატონს ვ ა ხ ე უ შ ტ ი ს, ბატონს  
 ე ა ფ ლ ა ნ ს, ზ უ რ ა ბ ს, დ ი მ ი ტ რ ი ს ასე და ამა ჰირსა  
 ზედა, რომე მოვინებეთ და მოკვიდეთ ქალაქს ჩვენი საბაზიერო გ უ რ-  
 ე ე ნ ი ს ნაქანი, აქათ აჯი შ ა მ ფ უ რ ა ს ემის ა დ უ ა ს სახლამ-  
 დისი, უკან გ უ რ ე ნ ა ს დარბაზის მიდგამდის, დასავლით ნაზი-  
 რი ზ ა ა ლ ი ს სახლის კედლამდი და წინ შარამდის. გქონდეს და  
 გიბედნიეროს ღთს. ვინცა და რამსცა კაცმა ამის ცილებად იწყოს,  
 ჰირისა და ზასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე ჰირეუ-  
 ლად ღთი და უოველი მისი წმინდა. კაცთაგან სააკაძე მოურავი-  
 შვილი, ბატონი ავთანდილ □, ამირეჯობი ბატონი ქაიხოსრო

ეშიკალათბაში  
ქაიხოსრო, ქალაქის შეღავატი ავთანდილ, მამასახლისი გიორ-  
გო მამასახლისი  
გიორგი. მე ი ე ს ე, სიონის დეკანოზს, დამიწერია,  
 მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი გიორგობისაფის ერთს, ქვს  
 ტობ. □.

**115.** ნასყიდობის წიგნი მდივანბეგის ვახტანგ ორბელიანისა,  
 42×14 სანტ., დაწერილია ქალაქდზე ნუსხა მხედრულის ხე-  
 ლით. ნიშნებათ ნახმარია ხან ორ-ორი, ხან სამ-სამი წერტილი.  
 თავი განგებ გამოვუშვით.

1685, თიბათვის 27. ...ესე ამიერთვან ხანთა და ჟამთა  
 გასაყვებელი, მტკიცე და უცვალებელი, უცვლელი, მოუსარჩლე-  
 ლი და უოფლის კაცისაგან მოუდევარი ნასყიდობა: წიგნი და სიგელი  
 მოგარაფით თქვენ, მდივანბეგს, ბატონს ვ ა ხ ტ ა ნ გ ს, შვილთა  
 თქვენთა ბატონს ს უ ლ ხ ა ნ ს, ე რ ა ს ტ ი ს, ვ ა ხ უ შ ტ ი ს, ყ ა  
 ფ ლ ა ნ ს, ნ ი გ ო ლ ო ო ზ ს, ზ ა ა ლ ს, ზ უ რ ა ბ ს და დ ი-  
 მ ი ტ რ ი ს, სხვათა შვილთა და სახლისა თქვენისა მამავალთა. ასრე და  
 ამა პირსა ზედა, რომე დაგვეჭირა და მოგახსენეთ ჩუენ ი ა რ ა ლ ი ს  
 შ ვ ი ლ თ ზ ა ტ რ ო ნ მ ა ნ მ ა ს უ ჩ ა რ და მამან ჩუენმან. შვილმან და  
 მამავალმან სახლისა ჩემისმან მოგეიდეთ ჩუენი სამკვიდრო მამული  
 ჭ რ ე შ უ ლ ს ვ ე ნ ა კ ე ბ შ ი უ რ ე ბ ი ს პ ი რ დ ა პ ი რ ა ნ ლ უ ა შ ვ ი ლ ი ს ს ა-  
 ვ ე ნ ა კ ე. ავიდე ფასი სრული და უნაკლულ, რითაც ჩუენი გული შეგ-  
 ჯერდებოდა. აღარა დარჩა რა ჩემი თქვენზედა. გქონდეს და გიბე-  
 დნიეროს ღ თ ნ, ურთების პირდაპირ, ჭრეშულს სავენაკებშა ა ნ ლ უ ა  
 შ ვ ი ლ ი ს ს ა ვ ე ნ ა კ ე მისის სამართლიანის სამძღვართა, არაფინ არ  
 გეცილებოდეს არა მე და არა ჩემსა შემდგომად ჩემი სახლის კაცი.  
 თუ სარჩელი ვინმე ნასყიდობის ამის მოგახსენოს, პირასა და პასუ-  
 ხის გამტკეპი მე ვაყო. აწე ვინცა და რამინცა აღამის მონათესავედ  
 ქედ წოდებულმან კაცმან, დიდმან ანუ მტარემან, თავადმან ანუ აზ-  
 ნაურმან, ანუ მოსახლემ ვინმე გლეხმან კაცმან ნასყიდობის ამის  
 შლად, ცილებად, ცვალებად, ქცევად და დარღვევად კეფოს, მასამ-

ცა რისხავს ყოველის მშერობელი, დაუსბამო ღთაი, მამა, ძე და სუ-  
ლი წმინდა; მასმცა ედების ცუცსელი უშრეტი, ბნელი გარესკნელი,  
მატლი უძილო და კბაღა ღჭენასა; მასმცა ექმნების შიშავილი იუ-  
დისა, ძრწოლა კაენისა, დანთქმა დათან და აბირთანას, სიკვდილი  
ორებ, ზობ და ზაბესა, ნუმცა იქმნებთა სულისა მისისა კსნა დღეს  
მას განკიახვისასა და ჩუენთა ცოდვათამცა იგი განიკითხვის. არიან  
ამისი მოწამე თავად ღთი და ყოველნი მისნი წმინდანი, კაცთაგან ჩემი  
აზნაურშვილები: თანდარაშვილი ზუიბატი, დონდარაშვილი გოგია;  
თქვენი აზნაურშვილი ნარამანა, მადრადე ბამან და შე შე რ მა დ ინ ს  
დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ქქს ( ) ო გ, თიბათვის ჯზ.  
მანუჩარ.

*Am...*  
116. ნასუილობის წიგნი იოანე კათალიკოზისა, 26X23 სანტ..  
დაწერილია მოყვითანო ქალაღზე მრგვალი მხედრულის ხელით.  
ყოველის სიტყვის შემდეგ დასმულია სამ-სამი წერტილი. წიგნს  
მოგლეჯილი აქვს ბოლო და ძალიან დაფლეთილია.

1616. ქ. ჩუენ ღმრთასა მიერ გურთხეულმან, ყოველის  
საქართველოს დიდმან მამათავარათ მთავარმა. ქართლის კათა-  
ლიკოზმან, ზატრონმა იოვანემ ესე უკუნისმდე ყამთა კასა-  
თავებელი წიგნა და სიგელი შეგიწყაღეთ და გიბოძეთ შენ, დიდისა  
და ცათა მობაძავისა სვეტისა ცხოვლისა და კურთიის საუფლოს კა-  
თოლიკე ეკლესი(ი)სასა დედაქალაქისასა მცხეთასა შეიღსა ელიო-  
ზისძესა და კიოსს, როსებს, ქახოსროს, ზეტრეს,  
კიორქისს და აბიასარს, ძმთა, შეაღთა და მომავლთა სა-  
ხლისა თქვენისათა ყოველთაჲს მას ყამსა, აღესცა ბიძის თქვენის  
მამულის წყალობას გუეჯენით, ვისმინეთა აჯა და მოკსენება თქვენი,  
კითხვისა და ჭერჩინებითა შეფეთ შეფასა. ზატრონისა თაიმურა-  
ზისითა და თანაშეცხედრისა მათისა, ზატრონისა დედოფლისა  
ზვარკაშანისითა მოგობოძეთ მამუკასეული სამამთთავრო  
და ხტანს სამი კამლი კაცი გუთნის შვილი და შარბის-  
ძე ზუბია და მისი განყოფი მათის მამულითა, რასც მამულის



(მქონებელნი ყოფილიყვნეს, ან მთას.....\*) [ყოველ]ითურთ უნაკლე-  
ლოდ და მცხეთას სსსხლე უნაკლებოდ თქვენთუის გვიბოძებია.  
ტქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სსედრისა და ჩუენსა ერდგულად  
სამსახურსა შინა. აწე ესე ეს ჩუენგან ნაბოძები მამული ვინც მოგა-  
შალოს, რისხავსცა ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი და ჩუენ-  
თუისმცა იგი განიკითხოს დღესა მას განკითხვისსა, დამამტკიცე-  
ბელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს. დაიწე[რა] ესე ქჷსა ტღ. კა-  
თალიკოზი იოვანე (ხართულათ).

117. ყმობის პირობის წიგნი, 29,5 X 20 სანტ., დაწერილია მო-  
ყვითანო ქალაღღზე ნუსხა მხედრულის ხელით. ყოველის სიტ-  
ყვის შემდეგ დასმულია ორ-ორი და ხან სამ-სამი წერტილი.

1656, მარტის 21. ქ. ესე წიგნი და პირობა მოტეტი მე  
მ უ ს ტ ა ფ ა შ უ ი ლ მ ა ვ ე ლ ი ა მ ა ს ნ მ <sup>1</sup>) და ჩუენმა შუიდე-  
ბმა თქუენ ტე რ ტ ე რ ა შ უ ი ლ ს ბ ა ი ნ დ უ რ ა ს ა და ყუელი ჯ ა-  
ნ ა ს ა და გ რ ი გ ო ლ ა ს ა, ე ლ ი ბ ა რ ს ა <sup>2</sup>), ასრე რომე ბეგრ-  
გუარად ცრუა ვიარე და ვერსად ჩემი საქმე ვერ გავაკეთე. და ბეგრ-  
ღარბობა მეწყინა(SIC) და ღონე და ადგილი მის მეტი ადარა მქონდა,  
მოველ და თქუენ გეუმეგ და მამულიც გამიჩინედ, და კიდეც დამარჩი-  
ნეთ და ასრე გეუმეგ, რომე მანამდინ ქუეყანა შენად იყოს, თქუენი  
ემა ვიუთა; არც გაკეყოთ, თუ ეს პირობა არ გაკითათ ან მე და  
ან ჩემა შუიღმა. კიდეც ჩემა თავი ასრე გაუმე, რომ არვინ იყოს  
ჩუენი მოცილე. რამანც კაცმა ესე პირობა და ეობა არ გაკითათ,  
მანამც რისხავს შადალათა შუა ღმერთი და ყოელა მისი წმინდანი,  
ყეცისანი და ქუეყანასანი, კორტყელნი და უკორტონნი; შემტყედები(ს)  
კეთრი გეზისა, შიშთული იუდასი, ქრწოლა კეანის(SIC) და ნუმცა ის-  
სნების სული მისი ჯოჯოხეთისაკან. არის ამისი მოწამე გავიბაშუი-  
ლი ხოსია და ბეჟია და ქანანაშუიღი ქაიხოსროკ, ველაშუიღი ყა-

\*) აქ მოვლუჯილია ქალაღღი.

<sup>1</sup>) ეტყობა, სამი უკანასკნელი ასო შემდეგწოა მიმატებული.

<sup>2</sup>) ეს სიტყვა სტრიქონს ზევით არის დაწერილი იმავე ხელით.

ლია. მე ე დ ი შ ე რ ს დამიწერია, მოწამეც ვარ. მარტს ქა, ქჭრ  
ტ მ დ + + + - +.

118. ნასყიდობის წიგნი, 44X15,5 სანტიმეტრი, დაწერილია  
სქელს ქალაღზე მრგვალი მხედრულის ხელით. ყოველის სიტ-  
ყვის შემდეგ დასმულია ორ-ორი წერტილი.

1672. ქ. სახელითა სსსიერის, არსება-დაუსაბამოს, დაუ-  
სრულებელის ღთისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, თავდუ-  
ბობითა და მიხდობითა ეოვლად წმიდის უხრწნელის, უმეტესად გურ-  
თხეულის დედოფლის ჩეკის ღთის მშობელის და მარადის ქალ-  
წულის მარამისა; თავდებობითა და მიხდობითა, ძლეურებითა ცხო-  
ველსმეოფელის, ჰატიოსისა ვარისათა, რომელსა ზედან განიბერნა  
უხრწნელი მკლავნი ავისნი ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან კისის-  
ავის ჩეკისა; თავდებობითა და მიხდობითა წმიდათა მათ უკორცო-  
თა ზეტის ძლათა ანგელოზთა და მოვარ-ანგელოზთა მიქაელ და  
გაბრიელისათა; თავდებობითა და მიხდობითა წმიდის წინასწარმეტ-  
ყუელის, წინამორბედისა და ნათლისმცემელის იოვანესითა და იო-  
ვანე ქალწულ-მხარებელისა და ღთის-მეტყუელისათა; თავდებობითა,  
მიხდობითა და შირონ ქალაქის განმანათლებელის წმიდის ნიკოლო-  
ზისა; თავდებობითა და მიხდობითა წმიდათა წინასწარმეტყუელთა,  
მღვდელთ-მოდღვართა, მოწამეთა, მამათა, მამათ-მოთავართა, მოწამეთა  
ქალწულთა, მეუდაბნოეთა, რადიქიტა წმიდანი და მოწამენი წმიდას  
სვინაქსარსა შინა მოკლენებულ არიან, და უთადს ჩვენს იესო ქრი-  
სტეს სათნო ეუუნეს და გუადადცა სათნო ეთუად არიან, ამითითა  
თავდებობითა და მიხდობითა და შუამდგომელობითა ესე უკუნისმდე  
ჯამთა და ხანთა გასათავებელი. სამკვიდრო და საბოლო ნასყიდობის  
წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოკეც მე წინამძღურომე ილ-  
მან შიომან და შვილმან ჩემმან ხუციამან, რევაზ და ზურაბ,  
შვილთა და მომავლთა სახლის ჩვენისათა თქვენ, წინამძღვარს  
ბუნიათიშვილს დომენტი, (ასრე რომე დაგვეწერა და  
მოკვიდე ჭალის ვენაჲ მისის ჭაღითა და წყლითა) ზეით განდელა-  
კიშვილის მიდგამადი, საქვენაქროთ დილინჯაშვილის მიდგამადი, სა-

ზენაქროთ გოჭას მიდგომადი, და ავიღეთ ფასი სრული და უკლებუ-  
ლი, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა. ასეთის დროს მოგვიდეთ,  
რომე სულს იქით გზა აღარა გუქონდა შიმშილისაგან. აღარა დარ-  
ჩომილა რა ამაში სალანარაკო ძმობისა და მოყვრობის მეტი. გქონ-  
დეს და გიბედნიეროს ღმერთმან თქვენ და თქვენს მცველსა და მიჯა-  
რველს წმიდას ნიკოლოზს. ვინცა და რამანცა აღამის მონათესავემ  
კაცმან, დიდმან ანუ მცირემან, ამისად შლად და ქცევად კელუოს,  
მასმცა რისხავს დაუსაბამო და დაუსრულებელი ღმერთი მამა, ქე და  
სული წმიდა და ეს ზემო წერილნი წმიდანი კორციელნი და უკორ-  
ცლნი. შემტაელების კეთრი გეჩისი, შიშთვილი იუდასი, მეხთა-ტუხა  
დიოსკორესი, ძრწოლა კეენისა, ცოცხლივ დანიქმა დათან და აბირო-  
ნისი, სოლომ-გომორისმცებრ დანიქმის სახლი და სამკვიდრებელი  
მისი; ჯვარის მცმელთანამც დაისაჯობის სული მისი; ეროდესა და  
ზილატესთანამც იქმნების ნაწილი და სამკვიდრებელი მისი; უკეთუ  
კაცმან მოშალოს, იმასცმცა კაცისათანა დაემკვიდრების სული მისი  
ჯოჯობეთსა, რომელმან მაცხოვარსა ჯვარცმულსა გვერდსა დახვარი  
უგმირა; უკეთო დედაკაცმან მოშალოს, იგიმცა დედაკაცი შეიქმნების  
რომელმან იოვანე ნათლისმცემელსა თავი მოჭკუეთა; წეუელ, კრულ  
და შეჩვენებულმცა არს სახლი და სამკვიდრებელი მისი შვიდთავე მათ  
კრებათაგან, თორმეტთა მოციქულთაგან, ოთხთა ჰატრიაქთაგან; ნუ-  
რათამცა სინანულითა ნუ იქმნების კისა სულისა მისისა, ნუცა ლოცვი-  
თა, ნუცა მარხვითა, ნუცა გლახაკთა მიცემითა, ნუცა იელუსაღემს  
წასულითა. მას ზედამცა დაუსრულების წეევა მკასდარვისა ფსალმუ-  
ნისა. ამინ. ხოლო გამოთავებელნი და დამამტკიცებელნი ამისნი ღმერ-  
თმან აკურთხნეს. ამინ. არიან ამისნი მოწამენი და გარდამწეუეტნი  
მოურავი წინამძღუერიშვილი მესტუმრე ბერი, დეკანოზი ზემბად,  
ზურაბაშვილი ნიკოლოზ, შინდაქე თევდორე, ანაშვილი დათუა, გე-  
ლიაშვილი ნასუიდა, ხაბელაშვილი ზაატა, სულხანაშვილი ზაზინა, სუ-  
ლიამანაშვილი ქიტა. დაიწერა წიგნი ესე ბედი სმ წერელი შვილი ს  
მდღელის იესესითა. ქწსა ტნი, იტ\*).

\*) დედანში თვე გამოშვებულია და მხოლოდ ეს რიცხვი სწერია.

**119.** ნასყიდობის წიგნი, 29,5×21 სანტ., დაწერილია სქელს მო-  
ყვითანო ქაღალდზე ნუსხა სხვილის მხედრულის ხელით. ყოვე-  
ლის სიტყვის შემდეგ დასმულია სამ-სამი წერტილი. ნაწერია  
ასო მეტ-ნაკლებად. აქ დედნის მართლ-წერა ალაგ-ალაგ არის  
დაცული.

1681, თიბათვის დაბეგს. ქ. სასელითა ერთასება ღთისითა,  
მამისა, ძისითა, სულისა წმინდისა, ყოვლად წმინდისა ღთის მშობ-  
ლისა მარადისა ქალწულ მარამისათა, თავდებობითა, შუამდგომლო-  
ბითა წმინდისა სულისა ძალთა და ანგელოზთა, მოვარ-ანგელოზთა  
მაქიელ, გასრიელ, რაკელ და რაშთაელ, სხუათა მრავალთა დასთა ანგელო-  
ზთა; თავდებობითა, შუამდგომლობითა წმინდისა იოვანე მახარებლისა,  
იოვანე ნათლასმცემლისა, იოვანე ოქროზირისა, წმინდისა შიშველ  
მართალთა, ხორციელთა და უხორცოთა, მესუეტეთა და მეუდაბნოე-  
თა, რომელნიც ზედ განიზუარეს უსრწელნი მკლავნი თუისნი ჩუ-  
ენისა ხსნიასთუის, ამათის თავდებობითა, შუამდგომლობითა, წმინდი-  
სა, დიდისა, დიდებულისა, წმინდის კიორგის გორის ჯურისათა, ხა-  
ტის ოქონისათა და ევასტეთი(sic); თავდებობითა, შუამდგომლობითა  
წმინდისა, რანიც ზატოხსნს დიდსა საუფლოსა სუინაქსარს შიგან  
წმინდანი სწერან და ანუ მოიხსენებან, ამა ყოველთა წმინდათა  
თავდებობითა, შუამდგომლობითა ესე უთუო და უთუმცო, დრო-დაუ-  
დებელი და მიზეზ-შემოუდებელი, ყოვლის ჩხუბისა და ილეუისკან  
გამოსული ნასყიდობის სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ ატე-  
ნელმან აფკარს შვილმან ფირყულმან და შუილმან ჩემან  
ელეზბარმან და მათიამან, ლომიამან და შუილთა და  
სახლისა მამულმან(sic) ჩუენისმან ყოველთავე თქუენ, გორისა და ოქო-  
ნის ხატის დეკანოზის მარკოზის შვილებს, დეკანოზს და ვითოსა და  
გარსეგანსა, თამაზასა, შუილთა და სახლისა მამულთა თქუენისთა  
ყოველთავე მასა ჟამათა, როდესც დაკუეჭირა და მოკუიდეთ გუფო-  
თაში ორის დღის სახსავი მიწა, თაკი საზენაქრო ბროფს შვი-  
ლის ზაზუნს მაწის მადგამდისინ, ბოლო დარჩიას შვილის თევდო-  
რეს მიწის მადგამდისინ, ერთი გუერდი ჩემისავ განაყოფის როსტას  
მიწის მადგამდისინ, მიორე გუერდი ანდრიას შვილის ანდრიას მი-

წის მიდგამამდისინ. მოგვიდეთ და ავიდეთ თქვენგნით ივასი, წამ-  
ლითაც თქუენი გული შესჯერდებოდა. აღარა დარჩა რა ჩუენი თქუ-  
ენს ხელთა, არც ერთი იოტის ივასი. გქონდეს და გიბედნიეროს  
ღმთმან, რაკ გარც მრავალს ნასყიდს მართებდეს და ხელი გეწიფოდეს  
გასყიდუათ, ანუ გაზოთუად, ვერვინ შემოგეცილოს ერთის თუინიე-  
რის ღთის მეტი. თუ ვინმე შემოგეცილოს, ჰირის და ჰასუხის გამ-  
ცემნი ჩუენ ვიუენეთ. ვინც და რამანც გუარძან კაცმან ამასად შლად ხე-  
ლი ჰუოს, თ(ა)ვდმც რასხმც ღთა: ეოვლნი მისნი წმანდანი, კიმცა(sic)  
ედების კერთი გეზისა, შიმთუელი იუდისა, ძრწოლა კენისა; ნუმცა  
ინსნების სული მასი ვოვოხეთისაგან. ამინ. არიან ამასი დამხდურ-  
ნი და მოწამენი კარდატნელი გოსტაბისშეილა თამასა და მისი  
შეილ ყოფილი სიძე \*) გიორგი, ოქრიასშვილი ივანე, აბრამის შვი-  
ლი, მამასხლისის ძმისწული ესია, ბერისშვილი ქიტია, მუენიასშვი-  
ლი ზაქარია, ხიდისთავის მამასხლისის დათუნა, ხარწულის შვილი ზუ-  
ბია დ მე ბერისნ შვილს ივასიას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამი-  
სა. დამიწერა თიბათუის დამდეგსა, ქვს ტ ნ ი თ.

**120.** სიგელი მეფისა გიორგი XI-სა, 53 X 24,5 სანტ., დაწერი-  
ლია კარგ ქალღღმე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ  
ნახმარია სამ-სამი წერტილი.

1688. ქ. ნებითა და შეწუენითა ღმთისათა ჩუენ ღმთივ  
ადმართებულმან, ღმთივ დამყარებულმა და ღმთივ გუირგუინოსან-  
მა იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაკრატიონმა, მეფეთ მეფემა  
კელმწიფემა, ჰატრონმა გიორგიმ და თან-მეტყედრემა ჩვენმა,  
დედოფალთ დედოფალმა, ჰატრონმა ხორაშან, ჰირმშომა და ს-  
სურველმა ძემს ჩუენმა, ჰატრონმა ბაკრატი, ესე ამიერ უკუენისმდის  
ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგი-  
წუადეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულთა და მრავალფერად ნამ-  
სახურთა ჟამთა, მოლარეთ უხუცეს მიქელაძეს გიორგის, შვილ-

\*) ამ სიტყვაში მეორე ასო ვერ იკითხება კარგად, რადგან ნას-  
წერებია.

თა და მამავალთა სახლისა თქუენისათა მაჟამსა(sic), ოდეს ბატონი დედოფალი რომ მოკუეუნეთ, თქვენ იქილამ მზითვად მოუყვით და მამულის წყალობას დაგუიჯენით ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალებთ და გიბოძეთ დურმიშხანის კერძის მამული-საგან ბუჟღულიანში სასახლე მისის ბალით, მისის ჭურ-მა(რ)ნითა, კაღო-საბძლით, შესავლითა, გამოსავლითა, წელითა, წისქვილითა, მითთა, ბართა, ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა. იქვე დურმიშხანის ზვარი, რომელიც ქალისაგან ნასუიდი არ იყოს, სადაც დურმიშხანს სახსო მიწები და ხოდაბუნები ქონებოდეს, უკლებად. მამულიანი ცლები ერთ გუომლად ცხნარს კაცონა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს; იქივე ბეღიაშვილი ლომკაცა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს; იქვე ლომშეკა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერთ გუომლად ცხვრის ტბელიშვილი თეუდოზა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს; იქივე ოსიემე, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს; იქვე ხიზანაშვილი დათუნა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს; ერთ გუომლად ტბის ტუხიაშვილი ზაზუნა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს; ერთ გუომლად წინვენაკს ქედრეკენაშვილი ბერიკა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს; ერთ გუომლად ახალშენს შეღიაშვილი ადუა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს; ერთ გუომლად ერტის ირუმაშვილი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ესენი ყოვლის მამულითა, მაწა-წელითა, ველითა, ვენაკით, საკანავითა, უკანავითა, მითთა, ბართა, წელითა, წისქვილითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა თქუენთვისა და თქუენთა შვილთათვის გუიბოძება ყოვლის ვადის უცილებლად. გქონდეს და გაბედნიეროს ღთის ჩუენსა ერდგულობასა და სამსახურსა შიგან. ესე ასრე გავითავდეს და არა ოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენსა და არა ჩუენთა ჩამომავალთა მუფეთა-მეხატრონიოვანს. აწე გაბძნებთ, კარისა ჩუენისა ვექელ-ვეზირნო და ყოველნო მოსაქმერო. ბძანება და ნაშანი ესე ჩუენი თქუენცა ასრე გაუთავეთ, რა რიგათაც ამა ჩუენსა საწყალობევს ფარვანსა შიგან ეწეროს, ნურცა რას თქუენ მოუძლით და შეუცილებით ავინიერ თანადგომისა და მქუევნისაგან კიდევ. დაწერა ბძანება და სიგელი ესე ქსნა ტკუ, კელითა კარისა ჩუენისა დივან-მწიგნალის შაჰშეიან

მართობის შიგნით დასრულებულია, აგრევე უნდა დასრულდეს სხვა-  
თქმის რაც დურმიშხანის მიწა და ნასოფლარი არის, შესამდი მიწა  
და ნასოფლარიცა აქუენთვის გვიბოძებია. გ ი ო რ გ ი . ხ ო რ ა შ ა ნ  
(ხართულები).

**121.** ნასიღობის წიგნი სააკაძისა, 41,5 X 14 სანტ., დაწერილია  
ქალაქდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია თითო  
წერტილი. შესავალი განგებ გამოვეშვით.

1688, მკათათვის გასულს. ...ესე მტკიცე და უცვალებე-  
ლი ნასიღობის წიგნი და სიგელი მოგუცითა ჩვენ ს(ა)კ(ა)ძე მ ზ უ რ ა -  
ბ ი შ ვ ი ლ მ ა ზ ა ა ლ, ქმამა ჩემა ი ვ ა ნ ე მ და შვილთა და მომა-  
ვალთა სახლისა ჩვენისათა, ოდეს დაგვეჭირა და მოგუცით ე ვ ა ვ ი -  
ლ(ა)ძ ი ს მ ა ხ (ა) რ ე ბ ლ ი ს ა და გ ო დ ე რ ძ ი ს ა და ბ ე რ ე კ (ა) -  
ს ი, ო ა ი ა ს ი, დ ა თ უ ნ ა ს ი, ერთის უშვილთა კაცისა, ჩემ წილთა  
ნარკები თქვენ, ჩემს განყოფილს ს(ა)კ(ა)ძეს ზ უ რ ა ბ ს და შვილსა  
და მომავალსა სახლისა შენისასა, ს ა ჯ ვ (ა) რ ე ს წინა ვენაკი, ერთი  
ზეით შარამდი, ა რ ჩ ვ ა ძ ი ს რუმდი, შ ა ლ ი კ უ რ ი ს მიწის მიდგომ-  
დი, აქეთ რ ო ბ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს სამდღვრამდი. იქით რაც გ ლ უ რ -  
ჯ ი ძ ე მ იეიდა, იმის სამდღვრამდი. ავიღეთ იგისი სრული და  
მტკიცე: რათაც ჩვენი გული შეგვერდებოდა. ადარა დარწმობილა  
რა ჩვენსა და აქვენსა სადაზარაკო. არის ამისი მოწმე ციციშვილი ნა-  
დარ, ბარათაშვილი კოსტაშა, შაღვა ს(ა)კ(ა)ძე, მოშიტა გლურჯიძე,  
შერმაზან გლურჯიძე, ბეჟან გლურჯიძე, იობ წინამძღვარიშვილი, სე-  
ხნია ჯაჯანაშვილი, ქიშუა ნასრუშვილი, ზააღ მუსხელიშვილი, მურ-  
თუზაყულა ეიბულაშვილი, კაზაძე ვარციელა, ანჩაძე ც(ა)როზა, მე-  
ლიძე რუსია, რობანიშვილი ზანუა, კომოროძე რუჟა, ჯეკრაშვილი და-  
აუნა, ქინდავლეშვილი ოქრუა. მუჯირიშვილი გიორგი, გაცნია მანგ-  
სარაშვილი. მე ი ო რ ა მ ს ს (ა) კ (ა) ძ ე ს დამიწერია და მოწამეცა ვარ  
ამისი. დაწერა ოცს მკათათვეს გასულს: ქს: ტ ო ვ: + +.

**122.** სიგელი მეფის ირაკლი I-სა, ანუ ნახარალიხანისა, 37 X 21  
სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქდზე მრგვალი მხედრულის ხე-

ლით. ნიშნებით იხმარება ორ-ორი წერტილი. თავში სპარსული წარწერა აქვს.

1689. ქ. ნებიტა და ჰეწენიტა მღთისითა ჩვენ მეფეთ მეფემან და კელმწიფემან, ჰატრონმან ნ ა ზ ა რ ა ლ ი ხ ა ნ და დედამან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან, ჰატრონმან ე ლ ე ნ ე მ, ძემან ჩვენმან სასურველმან, ჰატრონმან ი მ ა მ ე უ ლ ი მ, კ ო ს ტ ა ნ ტ ი ლ ე მ და ი ს ლ ა მ ი რ ზ ა მ ესე წყალობისა და სამოურაოს წიგნი და ნიშანი შეგიწავლეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და ნამსახურთა უმათა გერმანოზის შვილის მეჯინიბეთ უხუცესის ჰატრას შვილს იასეს და მომავალთა სახლისა თქვენისთა მას უამსა, ოდეს მოგვიდგეთ კარსა დარბაზისა ჩვენისსა და თრიალეთის, ახალქალაქისა და ტაშლიის მოურაობას გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, ვინათგან ძველითგანაც თქვენ გქონებოდათ. ახლაც ისრეკ თქვენ გიბოძეთ ყოფლის კაცისაგან უცილებლად. გქონდეს და გიბედნიეროსთ ღთნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა, არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა შეზატრონეთაგან. აწე გიბძანებთ, კარის ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, ბძანება ჩვენი თქვენცა ასრე გაუთავეთ, რა რიგადაც ამა ჩვენგან ნაბოძებს ფარმანსა შინა ეწეროს. ღაიწერა ბძანება და ნიშანი ესე კელითა კარის ჩვენის მღვიან მწიგნობარის თუ მახინი შვილის გივიისითა, ქჰსა ტოზ. მეორე გვერდზე უზის სპარსული ბეჭედი.

123. ბრძანება გიორგი XI-სა, 14,5×15 სანტ., დაწერილია ქალღუბე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებით ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის, მაგრამ ბრძანება ეკუთვნის პირველ ხანას გიორგი XI-ის მეფობისას, ესე იგი 1675—1688 წლებს.

1675—1688. ქ. უზედესთა მოკახსენებ და უქვედესთა გიბძანებთ ვინ-გინდა-ვინ ბძანებისა ჩვენისა მორჩილნი იფუნეთ საბარათაშვილთა თავადნი, ახნაურნო და კლეხნო, მერმე ერთ ამხანაგად საბარათაშვილთა მებზახნობა ამასდად ო რ ბ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს გ ა



ხ უ შ ტ ი ს ა ვ ი ნ გ ე ბ ო ძ ე ბ ი ა . უ ო ე ლ მ ა ნ კ ა ც მ ა ნ კ ა რ გ ა დ ა ს ა ქ მ ე თ და ჩ ე ვ ნ ი ბ ო ძ ნ ე ბ ა ა თ ა ვ ე ბ ი ნ ე თ , ს ა დ ე დ ო ფ ე ლ ო ს ს ა ბ ა ლ ა ხ ე ს გ ა რ დ ა ი ს დ ს ა მ ე ფ ო ს ე ს ა ი ლ ე ბ დ ე ს . გ ი ო რ გ ი ( ხ ა რ თ უ ლ ა თ ) .

**124.** ნასყიდობის წიგნი, 28,5X15,5 სანტ., დაწერილია მოყვი-  
თანო ქალაღზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია  
ორ-ორი წერტილი.

1689, თიბათვის 7. ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისთა  
ესე უგუნისამდე ჩამთა და ხანთა გასათავებელი, მიზეზ-შემოუღებუ-  
ლი და დრო-მოუღევარი, უოჯლის კაცისაგან უტილებელი და ჩხუბის  
და ილათისაგან გამოსული, სამკვიდრო და საბოლოო ნასყიდობისა წი-  
გნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ონაშვილებმა მას-  
მუკამა, შვილმა ჩემა ქიტიამა, კაკონამა, ძმისწულმა ჩემა  
თამაზამა, თევდორამა, კიდევუ შვილმა ჩემა იერუამა, ბა-  
სილამა, ძმისწულმა ჩემა მახარამა და მომავალთა სახლისა ჩე-  
ნისთა თქვენ, წინამძღური შვილს გიორგის, ძმას  
თქვენსა ზაალს, ძმისწულსა შენსა ზაატასა, შვილსა შენსა ბე-  
რუასა, ბაკასა, დავითს, ლომკაცსა, ბეჟანს, ხო-  
სიასა, ძმისწულსა შენსა ბერსა, ივანასა, იესეს და მო-  
მავალთა სახლისა თქვენისთა, ასრე რომე შიმშილობისა წელიწადსა  
დაგეგვირა, სულს იქით აღარა გუქონდა, მოგედიო, შემოგეგეწეთ  
და მოგედიეთ ისრევე თქვენი გამონაცვალნი სუტუნაური მამული.  
თქვენვე მოგეადე ჩემი წილი\*) სათიბის მიწა ბელაურას განაცვალა  
და ჭალის ვენაკი, ზედაფვარს ახო ჩემი წილი, კიდევ მთაში ახო,  
ყაკეში ნახევარი, ამას გარეთ კიდევუ სახლი, კარი, ქვევრი, მარანი,  
შესავალი, გასავალი და ავიდეო ფასა სრული და უკლებელი, რი-  
თაც ჩვენი გული შესწერდებოდა. აღარა დარჩა რა საღაზარაკო. ესე  
ასრე გაკითხვდეს და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და სხვა-  
თა ჩვენთა ნათესავთაგან. კინცა და რამსცა აღაძის გვართა კაცთა,

\*) აქ ქალაღი ამოხეულია და დაწებებულს სხვა ქალაღის ნა-  
კერზე ეს სიტყვა დაწერილია სხვა ხელით.

ანუ დიდთა, ანუ შვირეთა, ძღუდელმან. გინა ბერმან, ანუ კრისკატ-  
თა, თავადმან, კელმწიფემან, გლეხმან თუ რამანცა ძის ძეთა, თესლ-  
ტომთა კაცთა ესე ჩვენგან მონასეიდობა მოციშალოს, თავადმც რი-  
სხავს ღთი დაუსამამო, მამა, ძე და სულიწმიდა და უოველნი ანგუ-  
ლოზნი ღთისანი, ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორ-  
ცილნი, და შემტყუდების კეორი გეზისი, შიშთვილი იუდასი, ძრწოლა  
კენისი, მუხდატეხილობა დიოსკორესი. ცოცხლიუ დანთქმა დათან და  
აბირონისი, ნურათმცა ხსნითა და სინანულითა ნუ დაიხსნება სული  
მისი დღესა მას სანებელსა დიდსა განკითხვისსა, ჩვენის ცაღვის  
მონაზღაულე იუოს და ზასუხის გამცემი. დამამტკიცებულნი ამისნი  
ღთნ დამტკიცოს. არიან ამისნი მოწმენი და დამხდურნი კბილადე  
გოგილა, ალექსიშვილი ნონია, იხანაშვილი თუვლორე, კ ა ნ დ ე ლ ა -  
ბ ი შ ვ ი ლ ი \*) ბერი, ხაბელაშვილი ჰაატა, ზურაბ ა შ ვ ი ლ ი \*\*) ნი-  
კოლოზ, გულიაშვილი ბერუკა, ზებედეშვილი ბიძინა, თურქელაძე გი-  
ორგი, ალექსიძე რამაზ, წინამძღურიშვილი ჰაატა, დირბელი დათუ-  
ნა. მე ბ ა დ დ ა დ ე ლ ი ძ ე ს ბედისმწერლიშვილს ნ ა თ ა ნ ა ე ლ ს და-  
მიწერია და მოწამეტა ვარ. უწეის ღთნ მართალიც არის ეს ნასეი-  
დობა. დაიწერა ქვს ტრზ, თიბათვე ერთ კვირა გამოსულს.

125. ნასეიდობის წიგნი ხითარ კიტირაშვილისა, 40×25 სანტ.,  
დაწერილია ქალაღზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ  
ნახმარია სამ-სამი წერტილი. შესავალი და ბოლოს წყველა  
განგებ გამოვუშვით.

1690. ...ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და  
შეუცვალელებელი, უხერხო და უტყუარი, დღეთ სიკუდილამდი მოუშ-  
ლეული ფიცი, წიგნი და ნასეიდობის ჰირობა მოგეცით ჩუენ ჟ ა ვ ა -  
ხ ი შ ვ ი ლ მ ა ზ უ რ ა ბ, ჯ ა ვ ა ხ ი, შ ე რ მ ა ზ ა ნ და შვილმა ჩუ-

\*) ეს ორი სიტყვა სხვა ხელითაა დაწერილი დაწებებულს ქა-  
ლაღზე.

\*\*) ხაზ-გასმული ასოები სხვა ხელითაა დაწერილი დაწებებულს ქა-  
ლაღზე.

ენმა და სხლისა მომავალმა ჩუენისაჲ თქუენ, გორელს კ ი ტ ა რ ა -  
 შ გ ი ლ ს ხ ი თ ა რ ა ს ა, შვილსა თქუენსა ბ ე რ ი ნ ა ს ა, მ ა რ ტ ი -  
 რ ო ზ ა ს ა და სხლისა მომავალსა აქუენისთა უოველთავე მას ჟამ-  
 ს, ოდეს დაგვეჭირა და მოგვიდეთ ჩუენი მკუიდრი სკრელი ბ ა დ უ -  
 რ ა შ ვ ი ლ ე ბ ი გ ი ო რ გ ი და ი ნ ა უ რ ი ა და ამ ბიჭების და ლელა  
 მოგვიდეთ და ავიდეთ თქუენგან ფასი სრული, რითაც ჩუენი გული  
 შესჯერდებოდა. ადარა დარჩა რა ჩუენი თქუენს კელთ, არცა ერთის  
 იოტის ფასი. გუუნდეს და გიბედნიეროს ღთვამა, როგორაც მრავალს  
 ალაღს ნასყიდს მართებდეს. კელგეწიფოდეს გასყიდვად, გაზითვად,  
 რათაც ფერად მოსახმარისად გინდოდეს, ვერაფერს შემოგვეცილოს თუ-  
 ინიერ ერთის ღთვის მეტი. თუ ვინმე შემოგვეცილოს და წაგართვას  
 ვინმე ეს ბიჭები, ამათი სანაცვლო სხუა ბიჭები მოგცე... არიან ამი-  
 სი მოწამენი: აბუღვარდიშვილი ბერი, აბუღვარდიშვილი იონათამ,  
 გორელი მამასახლისი ხითარაშვილი ზურაბ მამასახლისი  
ზურაბ, როსტუ-

ყანაშვილი მამუკა როსტვენაშვი-  
ლი მამუკა, ბასტამაშვილი ბუკია ბუკია.,  
 ალადადაშვილი ხოსინა, დიანნიშვილი გიორგი და მე, წ ა ტ უ რ ა -  
 შ ვ ი ლ ს გ ო რ გ ი ნ ა ს დამიწერია და მოწამეტა ვარ. დამიწერა აზრი-  
 ლის ექუსა, ქვს ტ ო ზ ზურაბა. + +.

126. წინა ნასყიდობის წიგნის შემდეგ იმავე ქალაღბზე სხვა ხე-  
 ლით მეორე სიგელია დაწერილი. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი  
 წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

1697, მკათაჲვის 10. ქ. ნუბითა, მკწეწნითა მღვთისითა  
 ესე წიგნი მოგვეცი მე ხ ი თ ა რ ა ს ა მ, ჩემს მუილმა ბ ე რ ი ნ ა ს ა და  
 მ ა რ ტ ი რ ო ზ ა მ შ ე ნ. ტ ე რ გ რ ი ქ ო რ ა ს შ ვ ი ლ ს ს ა ა -  
 კ ა ს და შენს ძმას ტ ე რ გ რ ი ქ ო რ ა ს, შენს შვილს ე ს ტ ა -  
 ტ ე ს და გ ი ო რ გ ი ს და მ ა კ ა რ ს. სხლისა მომავალსა შენი-  
 სსა, ასე რომ ჭ ა ვ ა ხ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ ბიჭები ბ ა დ უ რ ა ს -  
 შ ვ ი ლ ე ბ ი მეუიდა გ ი ო რ გ ი და ი ნ ა უ რ ი ა, მე და შენ სსა-  
 მართლთ შეგვექნა, სამართაღმა მე მომცა; მას უკან ფასი გამო-

კართვი და მოგვიდე, რადგან ამათი ბიძებიც შენ გეყვანდა, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა, ეს ჩემა ნასყიდობის სიბუკელიც შენ მოგუცი, ბატონის განახენიც შენ მოგუცი, არც მე და ჩემს შვილებს და არც ჯავახისშვილს ხელი არ გუქონდეს. ღმერთმა მოკახმაროს, რისაც იურად მოსახმარად გინდოდეს განსუიფად, გამზითაფად. არის ამისი დამხდური და მოწმე ფირაღისშვილი მდივანი დავით

მონა მლთი-  
სა დავით, როსტეგანასშვილი მამუკა, ამირაღასშვილი ფარსადან, ხუდაღასშვილი ბადღასარ, მამიჯანასშვილი ათაბეგა, დიაკუნისშვილი გიორგი, ბარამასშვილი ჯუღაბა. მე გორის მამასახლისის შვილს ფ ა რ ს ა დ ა ნ ს დამიწერია, მოწამეცა ვარ ამისი. ქვს ტ ზ ე, მკათათვის ი. + + + +.

127. ნასყიდობის წიგნი დავით ჯავახიშვილისა, 32 X 21 სანტ., დაწერილია ქალაღლზე მრგვალი მხედრუღლის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი. შესავალი და ბოღოს წყვეღა გამოვეუშვით.

1690, მარტის 12. ...ესე ამიერ უკუნისამდე ჟამთა გასათაგებელი, უთუო, უთუმცო, დრო-შეშორუგდებელი და მიზეზ დაუდებელი ნასყიდობის წიგნი დაგიწერეთ და მოგუციო ჩვენ კ ო ლ ი ა - შ ვ ი ლ მ ა შ ი ო მ ა და მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ მ ა, მ ა ს ი ა მ ა, თ ე ვ დ ო - რ ე მ დ ი ე ს ტ ა ტ ე მ ა, შვიღათა და მომავალთა სახღისა ჩვენისათა უოკუღათავე თქვენ, ჩვენს ბატონს ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს დ ა ვ ი თ ს, ძმას თქვენსა ზ ა ზ უ ნ ა ს ა, ა ვ ა ნ ე ს ა და ბ ე რ უ კ ა ს ა და მომავალთა სახღისა თქვენისათა უოკუღათავე მას ჟამსა, ოღეს დაგვეჭირა და მოგუიღეთ ჩვენი შკვიდრი, აღალი მამული ჭღლის ზირს, საძის დღის მიწა თქვენის ხოღაბუნის ბოღოს კუნეღათს, კერხუა-შვიღის მიწის გვერდხედა, საქვენაქრო გვერდი კერხუაშვიღის მიწის რუმიდი, საზენაქრო სამღღკარი ჩვენს მიწამდი, ბოღო კიღვეა ჩვენის მიწის მიღგამდი და თაგი თქვენს ხოღაბუნამღის, და ავიღეთ ფასი სრული, რომღითაც ჩვენი გული შეგჯერდებოღათ. აღარა დაჩომიღლა რა ჩვენი თქვენხედა არც ერთის იოტიღ ფასი. არიან ამისი შუა

კაცნი კარდამწვევტელებნი და მოწამენი თავად ღთო და ყოველნი მი-  
სნი წმიდანი, კაცთაგან: ზედგინიძე იასე, მაწონაძე კაცია, ზაზანა-  
შვილი ლაზარე, ბიბიაშვილი აბრამ და დათუნა, დუღიური მამუკა,  
ხუციშვილი ბერი, კეჩხუაშვილი ქუმსია, ქორჩაშვილი ნიკოლა, მამია-  
შვილი გიორგი და ბერი, ბიძას ბიჭი ბერი, კახიშვილი აბრამა. თუ  
ვინმე წამოგედაოს, ზირისა და ზასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ... დაი-  
წერა წიგნი ესე მარტის ი ბ, ქქს ტ ბ ს. კელითა იასეს შვილის  
ზ ა რ კ ა ძ ი ს ბ ი ძ ი ნ ა ს ი თ ა. + + +.

128. წყალობის წიგნი ლუარსაბ მეფისა ბაგრატიონ-დავითიშვი-  
ლისადმი, 30X20,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე მრგვა-  
ლი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი.

1610, მაისის 13. ნებითა და შეწევნითა ღთისათა, ჩუენ,  
ღთივ გუირგუინოსანზან, მეფეთ მეფემან, ზატრონმა ლუარსაბ  
ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყაღეთ და გიბოძეთ თქვენ,  
ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა უმასსა, ბოქაულო-უხუ-  
ცესა, ზატრონსა და ვითს, თქვენსა შვილსა კოსტანტილეს,  
ელეზბარსა და შიოშს მას უმას, ოდეს მოგუიდეგით კარსა  
და მამულის წყალობას გვიჯგნით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვე-  
ნი და შეგიწყაღეთ და გიბოძეთ გორს ერთი ერასვილი სო-  
ლადა და ავრანაშვილი მათის სამართლიანის მამულისა  
და სამძღვრითა, რისაც მქანებულნი იუვენს, სრულბით თქვენთვის  
გუიბოძებია. გქანდეს და გიბედნიეროს ღთნ ჩუენსა ერდგულად  
სამსახურშია. აწე გიბრძანებთ, კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდი-  
ვანნო და სხვანო მოსაქმუნო, ვინ-გინდა-ვინ იუვენთ და ახუ ვინ-  
გინდა-ვინ იქნებოდეთ, და გორის მოურაო და მამასახლისო, თქვენ-  
ცა ასრე გაუთავეთ, რა რიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობეგს ფარვანა-  
ში ეწეროს, ნურცა რას თქვენ შეუშლით და შეეცდილებით, თვინიერ  
თანადგომისა და შეწევნისგან კიდე. დაიწერა ნიშანი და ბრძანება  
ესე ქქს ს უ ს. მაისის ი გ. კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა  
რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი ს ქ უ მ ს ი ს ა თ ა 

სპარსული ბეჭედი
--------------------

 ლუარსაბ (ჩარ-  
თულათ).

**129.** წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ბაგრატიონ-დავითიშვილისადმი, 12×16 სანტ., დაწერილია ქალაქლზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი.

1633, მკათათვეს 21. ქ. ესე წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძე(თ) ჩუენ, მეფემან, ჰატრონმან როსტომ, თქუენ, ჩუენტა ერდგულთა უმათა და ვითა იძვილთ, ბოქაულთ უხუცეს და ვითს და შენთა შვილთა ელიზბარს და კოსტანდილეს, ასრე რომე ბრეთის წიგნები გქონდა, და ბრეთი ავალიშვილს ქაიხოსროს მივეცით. და სადამდი ამ ქუეყანას იეოს, მისთვის გუიბოძებია, და რა ის ააფის ალაგს წავიდეს და აქ აღარ იეოს, თქუენთუინ გუიბოძებია, ყოფლის კაცის უცდილებად. ქვსტკა. მკათათვეს კა. □. (სპარსული ბეჭედი. მეორე გვერდზედაც ორი სპარსული ბეჭედი).

**130,** წყალობის წიგნი როსტომ მეფისა, 19×17 სანტ., დაწერილია ქალაქლზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თავი აკლია.

1642, თებერვლის 15. ...წყალობის წიგნი და ნიშანი შვიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენს ერდგულს ემასა გოგროშიუილს ფაივლასა და შვილთა თქუენტა იამაფს და ჯაშისა და ჩამომავლთა სხლის თქუენსთა ყოველთავე მას ჟამს, ოდეს თქუენის ბიძაშვილის ბეჟანის კერძს მესხს გლენებსა და ჩუენგან ბოძებულს ჩუენს სხასოს სკუვროს ჯალას. გუიანჯინთ, ჩუენგა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენა და ბეჟანის შვილებსაც დაენებებინა, ჩუენც ასრე გიბოძეთ ბეჟანის კერძი მესხი გლენები და სკურის ჯადა სრულებით, რაც ჩუენი სხასო სანადროთი ყოფილიყოს. გქონდეს და გიბადნიეროს ღონ ჩუენს ერდგულთა სამსახურსა შინა. ქვსტლ, თებერვლის იე. კელითა შვიგნობრისა ყარდასაშიუილით შერასბისთა. როსტომ (ჩართულათ)

131. წყალობის წიგნი პაატა აბაშიძისა, 33X14,5 სანტ., დაწერილია ქალაქში მორგვალო მხედრულის ხელით. ნიშნებით ნახმარია ორ-ორი წერტილი,

1691. ქ. ნებიტა და შეწევნიტა მდთისთა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისთა, ესე ამიერთ უკუნისამდე ყაშთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალელებელი ყოფლის საქმით უმიზნო და მიზნო-შამოუღებელი წყალობის წიგნი, შეგიწყალებ და გიბოძებ ჩვენ, ა ბ ა შ ი ძ ე მ ა, ბატონმა პ ა ტ ა მ ა და თანა-მეტყუდრემ ჩვენმა ფაღვანდიშვილის ასულმა, ბატონმა მ ა რ ი ა მ, შვილმა ჩვენმა გ ე დ ე ვ ა ნ, შვილმა და მომავალმა სახლის ჩვენისამან ყოველთავე თქვენ, ჩვენს ერთგულსა(წი) და თავდადებით ნამსახურს, აზნაურიშვილს ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე ს მ ა მ უ კ ა ს ა, შვილსა შენსა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს და ბ ე უ ა ნ ს და შვილთა და მომავალთა სახლის თქვენისთა ყოველთავე, ასე და ამა პირსა ზედა, რომე სწულისბიროს წყალობას შამოგვეხვეწებით, და გიყავით წყალობა და გიბოძებ ჭკლისთავს წყალი საოჩსე და საფიჩხულე, თავს სავანლის მიდგამში, ბოლოს შარა რომ ჩამოვა, იმის სწორათ დაკიდებულამდი. მოგცეს და გიბედნიეროს ღთნ ჩვენს ერდგულად სამსახურშია. ამისად გასათავებლად (მოგვიცემია) თავად ღთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისა და ქვეყნისანი, ხორციელი და უხორცილნი; კაცთაკან მოწამე: სახლთხუცესი თამაზა და სავანელი გიორგი. მე ჯ ა შ ი შ ვ ი ლ ს დ უ შ ი ა ს დამიწერია და მოწამეტა ვარ ქვსა. ტრთ.

აბაშიძე  
პაატა

მარი-  
ამ.

აბაშიძე  
გედევნ

132. სიგელი მეფისა გიორგი XI-სა, 29X15 სანტ., დაწერილია ქალაქში ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებით ნახმარია ორ-ორი წერტილი.

1692. ქ. ნებიტა და შეწევნიტა ღმთისთა ჩუენ, ღმთივ გვირგვინოსანმა, მეფეთ მეფემს, პატრონმა გ ი ო რ გ ი და თანამე-

ცხედრებს ჩუენმა, დედოფალთ დედოფალმა, პატრონმა ხორაშან, პირმშობა და სასურველმა ძემა ჩუენმა, პატრონმა ბაგრატ, ესე ამიერ უკუნისმდის ჟამთა და სანთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყაღეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა დიდად ერდგულთა და ნამსახურთა დემურაშვილსასლანასა, ძმასა შენსა ამირხანასა და ამფასსა და შვილთა თქუენტა ალიბეგასა და მამავლთა სახლისა თქუენისთა უოველთავე მას ჟამსა, ოდეს მოგვივიდა საქმე და იმერეთს კარდავბანდით და იქილამ სამცხეს მოგედით და თქუენ ჩუენ გვიახელით და ბევრი გუმისხურეთ, პატრონ თქუენტანაცა და სდაც გვინდოდა ჩუენი სამსახური და სასაქმო, ყუულა კარგად მოიჭირეთ, და თქუენის ერდგულად სამსახურის მუქფად ჩუენც ეს წყალობა გიუაფით, თუ ღან წყალობა გვიეთს და ჩუენი საბატონო ვიმოვნოთ, სადედოფლოთა ავადიდიანი, რაც თავდიდაშვილს ჭქონებია, მისის მითითა, ბარიას, წყლითა, წისქვილითა, საგნავითა, უგნავითა, ველითა, ვენახითა, სასაფლაოთა და ყოველის მისის სამართლიანის სამძღურითა. თქუენთვის და თუენთა შვილთათვის გვიბოძებია ყოველის კაცის უცდილებად. გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ ჩუენსა ერდგულობასა და სამსახურსა შიგან. ესე ასრე გავითავადეს და არა ოდეს არ მოგეშაფოს არა ჩუენგან და არა ჩუენთა ჩამომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან. თუ ვინმე ამ მამულის სიგელი გამოაჩინოს, სიგელითა ამითა გაგვიცუდებია. მტკიცე ესეთდენ არს. აწე გიბძანებთ, კარის ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ბძანება და ნიძანი ჩუენი თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ, რა რიგადაც ამ ჩუენგან ნაბოძებსა ფარვანსა შიგან ეწეროს. ნურცა რას თქუენ მოუშლით და შეეცდილებით თვინიერ თანა-დგომისა და შეწყენისგან კიდე დაიწერა ბძანება ესე ჩუენი ქვს ტპ. კელითა კარისა ჩუენისა მდივნის შანშეან მარტიროზაშვილის ბეგთაბეგისათა. კიორგი. ხორაშან (ჩართულები).

133. წყალობის წიგნი ტატიშვილისა, 23 X 14.5 სანტ., დაწერილია ქალაქზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თავი აკლია.

1692, გიორგობისთავის 10. ...სიგელი შეგიწყაღეთ და  
21.



გობოქთ ჩვენ, ტ ა ტ ი შ ვ ი ლ მ ა, ჰატრონმან ს ე ხ ნ ი ა მ და ჰატრონმან დედამან ჩვენმან ა ნ ა ხ ა ნ უ მ, შენ, ჩვენს ერთგულსა და ნამსახურსა უმასა ჩვენსა შ ი ქ ე ლ ა შ ვ ი ლ ს ა შ ო შ ი ტ ა ს ა, ძმასა შენსა ი ო ვ ა ნ ე ს, ს ე ხ ნ ი ა ს და გ ი ო რ გ ი ს, შვილსა და მომავალსა სახლისა შენისასა უოფელთავე მას უმასა, ოდეს დაგვეჭირა ობლობასა ჩვენს და ჩვენითვე შემოკუთითთ გაგაბედვინეთ და დაგვეაჯე მამულისა ჩვენისაგან ნაწყალობევის ვენაკის სითარხნესა, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიუავით წყალობა შარაშვიტით ვენაკისა, ნაშენისა და უშენისა, ბეგრის უთხოვრობა და ჩვენი სახასო შიწა ქ ე უ ე მ ო ძ ვ ი მ ლ ე ე თ ს, კაცისა ბაგის თავიღამ ინდუაშვილის ბაგის შიდგამაშიდი, მოგვეცემია. გქონდეს და გიბედნიეროს ღ'თნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა. ვინცა და რამანცა ადამის მონათესავემ კაცმა, ან ჩვენთა შვილთა და მომავალთა, ან სხვათა მეზატრონეთა, ეს ჩვენგან ჩვენი ნებით შემოკუთილი ნაწყალობევი წიგნი და წყალობა მოგიძალოს, მასმც რისხავს ღ'თი დაუსაბამო, დაუსრულებელი, მამა, ძე და სული წმიდა, ზეცისანი და ქუეყანისანი, კორციელნი და უკორცონი; მასმცა ედების კეთრი გეზისი, მეხდატეხილობა დიოსკორესი, შიშთვილი იუდასი და ცოცხლიუ დანოქმა დათან და აბირონისი; და ნურათამცა სინანულითა ნუ იქნების კისნა სულისა მისისა, ნურცა წირვითა, ნურცა გლახაკთ მიცემითა, ნურცა იურუსალიმს წასვლითა; ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღ'თნ აკურთხოს. არიან კაცთაგან ამისი გამრიგენი თვითვან ბიძა ჩემი ჰეტრე; კიდევ ბიძა ჩემი დეკანოზის შვილი ელისბარ, ჩვენი ერთგული უმა ინდუაშვილი ბერა, კიდევ ჩვენი უმა მაზმადაშვილი გიორგი; კიდევ თამაზას უმა ვიგრიაშვილი ბერი; კიდევ იანტბელიძე შოშიტა და სულ ერთობით ჩვენი უმანი. მე, კემწიფის კარის დეკანოზის შვილს მდდელს გ ა ბ რ ი ე ლ ს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქ'ს ტ'პ. გიორგობისთვეს ათს, გიორგობას.

**134.** სიგელი დედოფლის ელენესი, მეფის ერეკლე I-ის დედისა, 54X25 სანტ., დაწერილია ქაღალდზე მრგვალი მხედრულის

ხელით. ნიშნებით ნახმარია ზოგჯერ თითო და ზოგჯერ სამ-  
სამი წერტილი.

W

1693, მკათაყვის გასულს. ქ. არსება დაუსაბამოს და და-  
ურსრულებელისა ღთისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა; ძლიე-  
რებითა ცხრველთ-მოფუფელისა, ჰატოისნისა ჯვარისათა, რომელსა ზედა  
განიპერნა უხრწნელი მკლავნი თვისნი კსნისათვის ჩუენისა; მეოხებო-  
თა უოვლად წმინდისა ღთის მშობელისა, მარადის ქალწულისა მ-  
რამისათა, ამათითა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობი-  
თა, ანგელოზთა და მთავარ-ანგელოზთა მიქიელ და კაბრიელისითა;  
მეოხებოთა წმინდისა წინასწარმეტყუელისა და წინამორბედისა, ნათ-  
ლის-მცემელისა იოვანესითა და იოვანე ქალწულ-მასხარებელისათა და  
სხვათავე მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა, მღუდელ-მოძღვართა,  
მოწამეთა, ამათითა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა;  
წმინდისა მოციქულისა ჰეტრესი და ჰავლესითა, კრიკოლ და მარ-  
კოზ, მათესითა, ლუკა და იოვანესითა და რანიტა წმინდანი და მო-  
ციქულნი და წინასწარმეტყუელნი დიდსა და ჰატოისანსა სვინაქსასა  
შიგან მოიხსენებინ, ამათითა თავდებობითა, მინდობითა და შუამ-  
დგომელობითა, ესე უთუო და უთუმცო, დრო-დაუდებელი და მიზეზ-  
შემოუდებელი, ხანთა და ჟამთა საბოლოოთ გასათავებელი, მტკიცე  
და შეუცვალელი წიგნი და ნიშანი შეგიწუაღეთ და გიბოძეთ ჩუენ  
მღთივ გვირკვინოსანმან, დედოფალთ დედოფალმან, ჰატრონმან  
ელენემ და ქემან ჩუენმან ჰირმშომან და სსურველმან, მეფეთ მე-  
ფემან, ჰატრონმან ნ ა ზ ა რ ა ლ ი ხ ა ნ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა და  
წესისებერ მრავალფერად თავდადებით ნამსახურს ა ბ ა ზ ა ძ ე ს ზ ა -  
ა ლ ს, შვილსა შენსა და ვ ი თ ს, ს ე ხ ნ ი ა ს ა, ძმისწულსა შენსა  
ქ ა ი ხ თ ს რ თ ს, რ თ შ ა ქ ს და გ ი ო რ გ ი ს, შვილის შვილთა და მ-  
შავადთა სახლის თქუენისათა, ასე და ამა ჰირსა ზედან, რომე ბა-  
ტონის დიდის გ ი ო რ გ ი მეფისაგან, ბატონის სვიმონისაგან, ბატო-  
ნის ჯეგანისაგან, ბატონის თეიმურაზისაგან და მეფის რ თ ს ტ ო მ ი -  
ს ა გ ა ნ, თქუენის ერდგულობისა და დიდის ნამსახურობისათვის წუა-  
ლობა ექნათ და თქუენის მამულებისა, ნასუიდისა, ნაწუალობებისა და  
თქუენის მამა-ჰაჰათ სამგვიდროს წიგნები გქონდათ და მათი ბოძებუ-

ლი სიგლები გინახეთ და ვითაც იმათგანაც გბოძებოდათ და წყალობა ექნათ, შოკვადგეთ კარს ჩუენსა და სიგლების გახსლებას დაგვიჯებით. ჩვენცა ვისმინეთ აჟა და მოხსენება თქუენი და რაც დიდს გიორგი მეფეს აქათ სხვათ მეფეთა და მეპატრონეთაგან წყალობა გჭირვებოდათ და ან გქონებოდათ: აღბეგაშვილი გოგინა შინდარას, კვახიაშვილი ბეუა და შაო, ნიქოხელი ბერუას შვილები და ჰარკაული მამული, ხაშურს ჩანანაძისეული მამული, ოძის ჯდენტი და დი-ჰარიტაშვილი, ნოზაური ვენაჯი, ცუდანი მისის კომლეურითა, მთითა, ბარიას, შესავლითა, გასაკლითა, სამსლურითა, სათბობითა, სახლითა, ჭურ-მარნითა, შიწითა, სარწყავითა. ურწყავითა, წყლითა, წინქუილითა და მამულითა, მთითა და ეკლესიითა, დღეს რისაც მქონებულნი იუენენ, უფლის მისის სამარაღიანის საქმით, უფლის კაცის უცდილებლად თქუენთავის გვიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღთს, როგორც ბატონის თეიმურაზის ერდგულნი ეოფილხართ, აგრევე ჩუენსა ერდგულობასა და სამსახურსა შიგან. არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხვათა მეპატრონეთაგან ამ თეცითა, რომელიც თავს ღთი და მისნი წმინდანი იხსენებიან, ამისად გამთავებლად, ღთს აკურთხნეს. აწე გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვექიდ-გეზირნო და სურამის ტიხისთაო, ვინცა-ვინ ჩუენის ბრძანების მოჩილნი იუენეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ ბრძანება და ნიძანი ესე. ქვს ტპპ, შკათათვის\*) გასულს. დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე კარისა ჩუენისა შვიგნობარისა თუ მანი შვილის ესტატეს კელითა. ელენე (ხართულათ).

მეორე გვერდზე სხვა ხელით სწერია:

ქ. ჩუენ საქართველოსა და კახეთის დედოფალთ დედოფალი, ბატონის დადიანის ასული, პატრონი დარეჯან, კურთხეულის ბატონის ელენე დედოფლისაგან ამ ბოძებულს წყალობის წიგნს ვამტკიცებთ. იანვრის ია, ქვს უად. დარეჯან.

**135.** ნასყიდობის წიგნი დავით დეკანოზისა ჯავახიშვილისა,

\*) აქ დედანში უზის ნოლი ქარაგმით და ქვემოთ ორი წერტილით.

43X22 სანტ., რაწერილია ქალღმერთზე მორგვალ მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. შესავალი და ბოლოს წყველა განგებ გამოვეუშვით.

